

178
1963/3.



საბჭოთა სამართალი

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1963

6

საბჭოთა სამართალი

№ 6

ნომერი—დეკემბერი

1968 წელი

ბამოცემის X წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

იურიდიული მეცნიერება კომუნისტური მშენებლობის პირობებში	3
ო. ქავთარაძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს ფუნქციებისა და ამოცანების შესახებ	18
ფ. გაჩეჩილაძე — სამეთვალყურეო კომისიების საბატიო მოვალეობა	23

კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

გ. ლეჟავა — დანაშაულის განმეორება, როგორც მაკვალიფიცირებული გარემოება	30
ნ. წერეთელი — მიწოდების ვალდებულებათა შეუსრულებლობისას სოციალისტური ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხისათვის	35


წინადადებათა ახალი კანონმდებლობისათვის

ს. ჯორბენაძე — ავტორები და მემკვიდრეები	44
---------------------------------------------------	----

10 ნომერის საზოგადოებრივი მართლის დღეა

ა. ოსეფაიშვილი — საბჭოთა ხალხის ერთგული გუშაგი	56
ოფიციალური მასალა	59
ა. აბრამოვი — შაეების საიდუმლო	69
ინფორმაცია	87
ბიბლიოგრაფია	93

9146.



СОДЕРЖАНИЕ

Юридическая наука в условиях коммунистического строительства	3
О. Кавтарадзе — О функциях и задачах следственного управления министерства охраны общественного порядка Грузинской ССР	18
П. Гачечиладзе — Почетная задача наблюдательных комиссий	23

КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Г. Лежава — Повторность преступления, как квалифицирующее обстоятельство	30
Н. Церетели — К вопросу об ответственности социалистических организаций за невыполнение обязательств по поставке	35

ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

С. Джорбенадзе — Авторы и наследники	44
------------------------------------------------	----

10 НОЯБРЯ — ДЕНЬ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ

А. Осепашвили — Верная стража советского народа	56
Официальный материал	59
А. Абрамов — Загадка черных	69
Информация	87
Библиография	93

სარედაქციო კოლეგია:

შეკვ. № 2811
ტირაჟი 5.500
უგ 04151

ა. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32, ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 13/XII-63 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-64 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14




იუკიდიუდი მესნიეკეპე კომუნისტური მხენებლობის პირობებში

(უზრნალ „КОМУНИСТ“-ის 1963 წ. № 16 სარედაქციო წმკილი)

სოცილისტური სახელმწიფო და სამართალი აქტიურ როლს ასრულებენ კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში. ახალი ადამიანის აღზრდაში. რაც უფრო მიზანშეწონილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურა და სახელმწიფო აპარატის ორგანიზაცია, რაც უფრო სრულყოფილია სამართლის მოქმედი სისტემა, მით უფრო მეტია მათი ეფექტურობა, მით უფრო შედეგიანია მათი ზემოქმედება კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაზე.

უკანასკნელ ათწლეულს პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ფართოდ გაშალეს მუშაობა ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობისა და კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ეს მუშაობა მიზნად ისახავდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოებას, მშრომელთა ჩაბმას საზოგადოებრივ საქმეების მართვაში, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებას, სოცილისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გარდაქმნილ იქნა სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა, გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები, დაჩქარდა საკოდიფიკაციო მუშაობა, გაუქმებულ იქნა მთელი რიგი მოძველებული კანონები. ამის შედეგად სოცილისტური საზოგადოების პოლიტიკური აღნაგობა უფრო სრულყოფილი გახდა.

პარტიის სამართალშემოქმედებითა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო სახელმწიფომცოდნეთა და სამართლისმცოდნეთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის აღმავლობას. განაზოგადოს ცოცხალი პრაქტიკა და მასების გამოცდილება კომუნისტური მშენებისათვის ბრძოლაში, გაბედულად, შემოქმედებითად განავითაროს რევოლუციური თეორია, იბრძოლოს მისი იდეური სიწმინდისათვის — საზოგადოებრივი მეცნიერების მუშაკების ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის 1963 წ. პლენუმის მიერ, წარმოადგენენ საბჭოთა იურისტების სამოქმედო პროგრამასაც. საბჭოთა იურიდიული მეცნიერების წინაშე დგას ორი მთავარი კომპლექსური პრობლემა: ჯერ ერთი, შეისწავლოს სსრ კავშირში სახელმწიფოებრივი მშენებლობის, სოცილისტური საზოგადოების მთელი პოლიტიკური ორგანიზაციის გამოცდილება და პერსპექტივები და მეორე, ანალიზი გაუკეთოს სამართლის მოქმედი ნორმების სოციალურ ეფექტურობას, შეიმუშაოს წინადადებანი მართლწესრიგის სრულყოფისა და კანონიერების განმტკიცებისათვის. თავისთავად ცხადია, რომ იურიდიული კვლევის გარეშე არ უნდა იქნეს დატოვებული ისტორიული შრომები, განსაკუთრებით სსრ კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემების დამუშავება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობის განხორციელებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სოცილისტური სახელმწიფოების სულ უფრო მზარდ კოოპერაციასთან დაკავშირებით და სხვ. მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი მიმართულება ნათლად



უნდა გამოიკვეთოს: ყოველმხრივ იქნას შესწავლილი საბჭოთა საზოგადოების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ზედნაშენის სტრუქტურა და ფუნქციონირება, მისი განვითარებისა და სრულყოფის გზები.

სკკპ XX და განსაკუთრებით XXII ყრილობების შემდეგ საბჭოთა იურისტების შრომებში სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული სტალინის შეცდომები სოციალისტური სახელმწიფოს ფაზისა და ფუნქციების საკითხში, მის მიერ იძულების როლის გაზვიადება სოციალიზმის პირობებში, კანონიერების დარღვევები. იურისტებმა კრიტიკულად განიხილეს და უარყვეს არასწორი თეორიული კონცეპციები და პრაქტიკული მითითებები ვიშინსკისა, რომელიც სტალინის რუპორი იყო სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მეცნიერების დარგში. პრობაგანდას უწევდა რა ყალბ თეზისს, თითქოს სტალინმა შექმნა „სრული და დამთავრებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ“, ავითარებდა და სამართლის მეცნიერებაში გადაჭკონდა რა სტალინის მცდარი და პოლიტიკურად მავნე მითითებები სსრ კავშირში სოციალიზმის განმტკიცებასთან ერთად კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ამით ვიშინსკი ქმნიდა იურიდიულ ბაზას მასობრივი რეპრესიების პოლიტიკის განხორციელებისათვის. იურიდიულ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ ანტიჰუმანისტური, მანკიერია მართლმსაჯულებაში ჭეშმარიტების პრობლემის, დემოკრატიის განვითარებისაგან, მოქალაქეთა უფლებების გარანტიებისაგან სოციალისტური კანონიერების მოწყვეტის ვაგება, რაც მოცემული იყო ვიშინსკის მიერ. უკუგდებულია მისი მავნე კონცეპცია, რომლის მიხედვითაც ბრალდებულის აღიარებას სახელმწიფო დანაშაულობათა საქმეებზე მინიჭებული ჰქონდა ძირითადი დამამტკიცებელი საბუთის ხასიათი. სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ვიშინსკის მიერ მოცემული სოციალისტური სამართლის განსაზღვრა, რომელიც უმთავრესად ყურადღებას ამახვილებდა სამართლის იძულებით, ძალდატანებით მხარეზე.

სამართლის მეცნიერებაში ამა თუ იმ დამახინჯებათა კრიტიკა გზას უხსნის სამართლის შემოქმედებით განვითარებას, იმ საკითხების დაყენებასა და გადაწყვეტას, რომელსაც აყენებს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა. მაგრამ იურიდიული მეცნიერების მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი პროცესების ღრმა, სისტემატური შესწავლის საფუძველზე შეიმუშაოს დასაბუთებული რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება საბჭოთა საზოგადოების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ სტრუქტურის სრულყოფას და გაუმჯობესებას.

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების, სასამართლო წყობილების კანონების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის კოდექსების მომზადებაში.

და მიუხედავად ამისა, იურიდიული მეცნიერება, ჯერ კიდევ, ვერ ასრულებს იმ როლს, რომლისთვისაც იგი მოწოდებულია გამოიყენოს კომუნისტური მშენებლობის პერიოდში. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლოვანება იმაში

მდგომარეობს, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლებრივი გამოკვლევებისა კვლავ სჯერდება იურიდიული ნორმებისა და ცნებების ფორმალურ ანალიზს, მოწყვეტილია საზოგადოებრივი პრაქტიკის რეალურ მოთხოვნებს, მუდმივ განვითარებად სოციალურ სინამდვილეს. არიან მაგალითად „მეცნიერები“, რომლებიც წერენ მრავალრიცხოვან შრომებს საკოლმეურნეო ან მიწის სამართალზე, თვითონ კი წლების მანძილზე არ დადიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სავსებით გასაგებია, რომ ამისთანა პუბლიკაცია არაფრის მომცემა.

ზოგიერთ მეცნიერ მუშაკს შეექმნა არასწორი წარმოდგენა იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის შესახებ. მათ სტატიებსა და წიგნებში ეს „კავშირი“ არცთუ იშვიათად იმით ამოიწურება, რომ მოყვანილი აქვთ სხვადასხვა „მაგალითები“, ხოლო შესასწავლი მოვლენის განვითარების ძირითადი ტენდენციების ღრმა თეორიულ ანალიზს და განზოგადებას არ ახდენენ, ფართოდ არ იყენებენ სტატისტიკურ მასალას. ამის შედეგად იშვიათი როდია, როცა გამოქვეყნებულ მასალას აკლია მეცნიერული დასაბუთება, არ შეიცავს აუცილებელ რეკომენდაციებს და პრაქტიკისათვის ინტერესმოკლებულია.

ვხვდებით მოქმედი სამართლებრივი აქტების ზერელე, უსაფუძვლო, არსებითად ნიჰილისტური „კრიტიკის“ შემთხვევებს. თქვა — „არა“ ეს რთული საქმე როდია. გაცილებით ძნელი და ამასთანავე გაცილებით აუცილებელია სისტემატური შესწავლა მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკისა, რომელიც დაეყრდნობა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზიდან გამომდინარე ფაქტებს. სუბიექტივიზმი მეცნიერებაში, დაუსაბუთებელი „აზრის“ საჯაროდ გამოტანა არანაკლებ მავნეა, ვიდრე სუბიექტივიზმი პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ცხოვრებასთან იურიდიული მეცნიერების სუსტმა კავშირმა თავისი გამოხატულება ჰპოვა საგამომცემლო საქმიანობაში. ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო იურიდიული ლიტერატურის გამომცემლობა უშვებს ბევრ ლიტერატურას, რომელზედაც მოთხოვნილება არ არის, ახდენს ცალკეულ გამოცემათა დუბლირებას. ამის შედეგად 1962 წელს ნახევარზე მეტი გამომცემული წიგნებისა წამგებია იყო. ასეთივე მდგომარეობაა მიმდინარე წელსაც. გამომცემლობის ხელმძღვანელობა ეყრდნობა ავტორთა ვიწრო წრეს, უშვებს ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებზე დიდი თანხით ჰონორარის უკანონო გაცემას.

ზოგან ვაწყდებით არხეინ და უდარდელ დამოკიდებულებას ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების მიმართ, რაც ყოველად მოუთმენელია საბჭოთა მეცნიერების წრეში. ეს იმაში გამოიხატება, რომ კრიტიკულად არ ითვისებენ ბურჟუაზიულ იურიდიულ კონცეპციებსა და სამართლებრივ ინსტიტუტებს. რა თქმა უნდა საკითხის გაუბრალოება იქნება მთლიანად უარგყოთ ბურჟუაზიული იურისპრუდენციის ესა თუ ის მიღწევა. მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთლიანად ბურჟუაზიული საზოგადოებრივი მეცნიერება ყალბ პოზიციებზე დგას, ემსახურება მონოპოლიების სახელმწიფოს. ამიტომ დაუშვებელია რაიმე კომპრომისი, რაიმე „ვისესხოთ“ მსოფლმხედველობის სფეროში. შეიძლება მხოლოდ სინანული გამოითქვას იმის გამო, რომ ზოგიერთ

მეცნიერს ესაჭიროება ყოველი მარქსისტისათვის ცნობილი ამ საყოველთაო ჭეშმარიტების განმარტება.

იმის გამო, რომ იურიდიული მეცნიერების ცალკეულ უბანზე სერიოზული ნაკლოვანებანია, საბჭოთა სახელმწიფომცოდნეობა და სამართლისმცოდნეობა ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რასაც პარტია და სახელმწიფო, კომუნისტური მშენებლობის ობიექტური მსვლელობა უყენებს იურიდიულ მეცნიერებას, მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური ხდება გაიმართოს დიდი საუბარი მეცნიერი იურისტების ამოცანების შესახებ.

* * *

უკანასკნელ წლებში სოციალისტური სახელმწიფოს თეორია გამდიდრდა, ახალი ფუნდამენტალური დებულებებით. სკკპ პროგრამაში ფორმულირებულია უმნიშვნელოვანესი თეზისი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გარდაქმნის შესახებ, განსაზღვრულია მისი არსი, ამოცანები და ფუნქციები. ეს დასკვნა ამოსავალი პუნქტი უნდა გახდეს საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სწავლების შემდგომი განვითარებისათვის სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში, აგრეთვე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისათვის.

ამის მიუხედავად სახელმწიფო მშენებლობის თეორიული პრობლემების გამოკვლევა მაინც მეტად ნელა მიმდინარეობს. სკკპ XXII ყრილობის შემდეგ ცოტა სტატია, ბროშურა, წიგნი როდი გამოქვეყნდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის შესახებ. მაგრამ მათი დიდი ნაწილი პოპულარიზატორულ, კომენტატორულ ხასიათს ატარებს. რა თქმა უნდა პოპულარიზაცია, კომენტარები აუცილებელია. მაგრამ ისინი კი არ უნდა ცვლიდნენ, არამედ უნდა ავსებდნენ მეცნიერულ კვლევას.

შემდგომი განვითარება სოციალისტური სახელმწიფოს თეორიისა, რომელიც არსებითად გადაიქცა დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად, მოითხოვს ახალი პრობლემების დაყენებას და ახლებურად მიდგომას ისეთი საკითხებისადმი, როგორცაა სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ეტაპები, დარწმუნება და იძულება, როგორც საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის მეთოდი და სხვა. სკკპ პროგრამაში ნათქვამია, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი გაშლა და სრულყოფა, ყველა მოქალაქის აქტიური ჩაბმა სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებაში და მისი საქმიანობისადმი სახალხო კონტროლის განმტკიცებაში. ბუნებრივია, რომ ასეთივე უნდა იყოს გამოკვლევების მთავარი მიმართულებანი სოციალისტური სახელმწიფოს თეორიაში. კერძოდ, შემდგომ დეტალურ შესწავლასა და განზო-

გადებას მოითხოვს სახელმწიფო აპარატის ის სტრუქტურა და საქმიანობის მეთოდები, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობენ ხელს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას. საჭიროა გაძლიერდეს ეროვნული სახელმწიფოებრიობის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში საბჭოთა მშენებლობის პრობლემების დამუშავება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1962 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით განხორციელებული სახელმწიფო ორგანოების გარდაქმნის გამოცდილების შესწავლა. ხელისუფლების მმართველობის ორგანოების აგებამ და ჩამოყალიბებამ საწარმოო პრინციპის მიხედვით უფრო უნდა მიუახლოვდეს სახელმწიფო ორგანოები მშრომელებს, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ (განსაკუთრებით ეკონომიურ) ურთიერთობათა სახელმწიფოებრივი რეგულირების ეფექტურობის ამაღლებას. რა თქმა უნდა საკითხი ეხება არა იმას, რომ აღმოვაჩინოთ სახელმწიფოებრიობის რაღაც აბსოლუტურად სრულყოფილი ფორმები და ისინი გამოვაცხადოთ ერთხელ და სამუდამოდ ხელშეუხებლად. გონივრულ ჩარჩოებში ელასტიური, მოქნილი პოლიტიკური სტრუქტურა, მისი უნარი მალე შეეგუოს შეცვლილ ვითარებას — სასარგებლო და საჭირო თვისებაა.

აუცილებელია შევისწავლოთ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების პრაქტიკა, შევისწავლოთ თუ ნამდვილად როგორ ხორციელდება სოციალისტური დემოკრატია, როგორ იზიდავენ მასებს საზოგადოების საქმეების სახელმწიფოებრივ მართვაში. სახელმწიფო ორგანოების ისეთი სტრუქტურის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მასების კიდევ უფრო აქტიურ და უშუალო მონაწილეობას მმართველობაში, წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფომცოდნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას. სახელმწიფომცოდნეები მოწოდებული არიან იმუშაონ საარჩევნო სისტემის სრულყოფის, მუდმივმოქმედი კომისიების უფლებათა გაფართოების საკითხებზე, მმართველობის ორგანოების სტრუქტურაში ზედმეტობისა და პარალელიზმის აღმოფხვრისათვის.

დიდი ხნის მანძილზე მმართველობის აპარატისა და მართვის ტექნიკის სრულყოფის საკითხები არსებითად იურისტების ყურადღების გარეშე იყო დატოვებული. მაშინ, როდესაც ცნობილია თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა ვ. ი. ლენინი მმართველობის საკითხებს. იგი ამბობდა, რომ ჩვენი რევოლუციურობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა დარგში „ყოველი ფხვის ნაბიჯზე იცვლება ყველაზე უფრო დამყაყებელი რუტენიორობით“ მმართველობის ტექნიკის თვალსაზრისით, გასაოცარი გაუბედაობით, როდესაც საქმე ეხება რომელიმე სრულიად უმნიშვნელო კანცელარულ რეფორმას. დღეისათვის ასეთი მდგომარეობა ზოგან ჯერ კიდევ შემორჩენილია. სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკა მოითხოვს გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოთ რუტენიორებს, განვსაზღვროთ ძირითადი მიმართულებანი, და დავსაბოთ კონკრეტული ღონისძიებანი მმართველობის აპარატის ორგანიზაციისა და საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

დიდი ამოცანები დგას იურიდიული მეცნიერების წინაშე სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შესახებ. მეცნიერები მოვალენი არიან განაზოგადონ კონტროლის ახალი ფორმების პრაქტიკული გამოცდილება, შენიშნონ ყოველი ძვირფასი შემდგომი სამართალშემოქმედებისათვის, განაგრ-



ძონ უფრო სრულყოფილი ფორმებისა და მეთოდების ძიება.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და სირთულე იმ ამოცანებისა, რომლებიც ამჟამად დგანან საბჭოთა სახელმწიფომცოდნეობის წინაშე იმით განისაზღვრება, რომ ყოველი პრობლემა სოციალისტური სახელმწიფოებრიობის კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობად გადაზრდისა, უკლებლივ ყველა მშრომელის ჩაბმისა საზოგადოების საქმის მართვაში წყდება საერთო პერსპექტივის გათვალისწინებით. სახელმწიფო საჭირო აღარ იქნება, როდესაც ყველა გახდება „სახელმწიფო“ მოღვაწე. სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მასების რეალური მონაწილეობის გაზრდა — ასეთია სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურის გარდაქმნის პროგრესულობის მთავარი კრიტერიუმი.


თავისთავად პოლიტიკური ფორმები ჯერ კიდევ არ განსაზღვრავენ ჩვენთვის საჭირო შინაარსს, საქმიანობის ხასიათს. ავიღოთ მაგალითად, ისეთი ღონისძიება, როგორცაა სახელმწიფო ორგანოების ზოგიერთი ფუნქციის საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გადაცემა. იურისტები ბევრს დაობენ ამ ფუნქციების ბუნების შესახებ. მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ძირითადს: რა რეალური ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ამ ფუნქციების გადაცემით, საზოგადოებრიობის რა წრე მონაწილეობს რეალურად მის განხორციელებაში, რამდენად ეფექტურად ხორციელდება ისინი. და სწორედ ამაში კვლავ პოულობს თავის გამოხატულებას მეცნიერ მუშაკების ცხოვრებისგან მოწყვეტა.

ანდა ავიღოთ უშუალოდ დემოკრატიის საკითხები. რევოლუციამდე ცოტახნით ადრე ვ. ი. ლენინი პასუხობდა რა იმათ, ვინც მმართველობაში მასების ასეთი მონაწილეობის ფორმას თვლიდა პრიმიტიულად, განვლილ ეტაპად, წერდა: „სოციალიზმის დროს ბევრი რამ „პრიმიტიული“ დემოკრატიიდან აუცილებლად გაცოცხლდება, ვინაიდან ცივილიზებულ საზოგადოებათა ისტორიაში მოსახლეობის მასა პირველად ამიღდება დამოუკიდებელ მონაწილეობამდე არა მარტო კენჭისყრასა და არჩევნებში, არამედ ყოველდღიურ მმართველობაშიც“¹.

უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი დოკუმენტების საერთო-სახალხო განხილვა მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. სკკპ პროგრამა ითვალისწინებს მმართველობაში მასების მონაწილეობის ამ ფორმის შემდგომ განვითარებას. რეფერენდუმები, საერთო-სახალხო გამოკითხვა შეიძლება გამოყენებულ იქნას რესპუბლიკის, ოლქის, რაიონის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრის დროსაც. იურიდიული მეცნიერების ამოცანაა — შეიმუშაოს მიზანშეწონილი სამართლებრივი ფორმები ასეთი განხილვის, გამოკითხვის, რეფერენდუმის ჩასატარებლად. ამისათვის აუცილებელია შესწავლილ და განზოგადებულ იქნას საერთო-სახალხო განხილვის პრაქტიკა. მეცნიერ მუშაკები მოწოდებული არიან შეიმუშაონ წინადადებანი თუ როგორ ფორმებშია უკეთესი შეჯამდეს საერთო-სახალხო განხილვის მონაცემები, განისაზღვროს მისი შედეგები, მიღებული რეკომენდაციების რეალიზაციის გზები და მისი განხორციელების შესრულებისადმი კონტროლი.

სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო არა მარტო მნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარებაში, იგი, ამასთანავე დი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 25, გვ. 609.



დი ნაბიჯია წინ, კაცობრიობის პოლიტიკურ ისტორიაში. აი რატომ არის, რომ საერთო-სახალხო სახელმწიფოს თეორიის შემდგომ განვითარებას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს: ჩვენ ვქმნით, ვცდით პრაქტიკაში პოლიტიკურ ფორმებს, რომელთაგან ბევრი ამა თუ იმ ცვლილებით შეიძლება განმეორდეს სხვა ქვეყნებში კომუნისმის მშენებლობის კვალობაზე. შეძლებისდაგვარად შეიტანოს თავისი წვლილი ამ საქმეში — საბჭოთა იურისტების საპატიო მოვალეობა და ვალდებულებაა.

* * *

სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია სოციალისტური სამართლის სისტემის სრულყოფასთან. სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების ახალ პერიოდს — საერთო-სახალხო სახელმწიფოს — შესაბამება სამართლებრივი ნორმების კომუნისტური თანაცხოვრების ნორმებად გარდაქმნის კანონზომიერი ეტაპი.

საბჭოთა სამართლის საერთო-სახალხო ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მთელი ხალხის ნებას გამოხატავს, ფართოვდება აგრეთვე სამართლის ნორმების შექმნაში, მის რეალიზაციაში, დამნაშავეობასთან ბრძოლაში მასების მონაწილეობა. სამართლის დემოკრატიზმისა და აღმზრდელობითი როლის გაზრდა, სამართლისა და ეთიკური ნორმის ერთმანეთთან სულ უფრო მჭიდროდ შეზრდა, დარწმუნების როლის, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვაში შეგნებულობის ამიღება — ეს მიმართულებანი სამართლებრივი ზედნაშენის განვითარებაში სამართლისმცოდნეთა სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ამასთანავე აქაც მნიშვნელოვანია პირველ რიგში იქნას დაყენებული არა სამართლის გამოკვლევა ასე ვთქვათ თვით სამართლის ჩარჩოებში, არა სამართლებრივი ფორმის როგორც ასეთის ანალიზი, თუმცა ეს უეჭველად სერიოზული ამოცანაა, არამედ იმის გამოკვლევა თუ როგორ მოქმედებს სამართალი ადამიანების ურთიერთობაზე, საზოგადოებრივი პროგრესის მსვლელობაზე.

სამართლებრივი ნორმის გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებაზე — აი საბჭოთა იურისპრუდენციის ცენტრალური პრობლემა.

ერთ-ერთი პირველი ადგილი აქ უჭირავს საკითხს სამართლისა და ეკონომიკის თანაფარდობის შესახებ. სოციალიზმის სპეციფიკა ხომ სწორედ იმაშია, რომ მისი სამართლებრივი აღჭურვილობა იქცევა მნიშვნელოვან ფაქტორად ეკონომიური განვითარების შეგნებულად წარმართვისათვის და ბევრად განსაზღვრავს სამეურნეო მშენებლობის, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის და მის შესაბამის წარმოებით ურთიერთობათა შექმნის კონკრეტულ გზებსა და მეთოდებს. ეკონომიური პროცესების სამართლებრივი მოწესრიგების მეცნიერული მიდგომა მოითხოვს პირველ რიგში გაირკვეს მთავარი: როგორია ეკონომიკაში სამართლებრივი ჩარევის საზღვრები, ჩარჩოები. აქ ორი საშიშროებაა, იგრძნობა, იგრძნობა მხრივ, სამართლებრივი რეგლამენტაციით ზედმეტად გატაცება, ჰაიინ ეკონომიკებად მოქმედი იურიდიული ჩარჩოების შექმნა, რომლებიც ბოჭავენ ეკონომიკას, ზღუდავენ საწარმოთა დამოუკიდებლობასა და ინიციატივას. მეორეს მხრივ, მანება მეორე უკიდურესობაც: ეკონომიური პროცესების სამართლებრივი მოწესრიგების უგულებელყოფა. სიძნელე (და ამოცანა) იმაშია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიძებნოს სამართლებრივი ნორმის ზღვარი, ყოველმხრივ მისაღები, ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც წარმართავს ეკონომიკის განვითარებას ჩვენთვის საჭირო გზით.

აღბათ, საჭირო იქნება ვიდექროთ ცალკეული საწარმოს, ინდუსტრიული გაერთიანების სახალხო მეურნეობის საბჭოების მასშტაბით თავისებური ეკონომიურ-სამართლებრივი ექსპერიმენტების მეთოდისა და ორგანიზაციაზე. ეს შესაძლებლობას მოგვცემს შევამოწმოთ პრაქტიკით რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტი, უკუვაგდოთ მათ შორის ცუდი, ამოვარჩიოთ უკეთესი, სრულყოფით ისინი და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ საერთო-საკავშირო კანონად.

შეუძლებელია პარტიის მიერ დასახული ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტა თუ ზუსტად არ განისაზღვრება სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოებისა და საწარმოთა უფლებები და მოვალეობები, მათი ფუნქციები და კომპეტენციები, გაზრდილი პასუხისმგებლობა საგვემო დავალებათა შესრულებისათვის, ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახალხო მეურნეობის საბჭოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამართლებრივი მუშაობის, წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის ეფექტურობის პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადებას. ეს საკითხები წარმოადგენენ სამეურნეო ხელმძღვანელობის სამართლებრივ ასპექტს, მათი გადაწყვეტისაგან დამოკიდებულია სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების დაცვა სამეურნეო საქმიანობაში, სამეურნეო ორგანოებისა და საწარმოთა ზუსტი და შეთანხმებული მუშაობა, მთელი ჩვენი ეკონომიური მექანიზმის გამართულობა, სრული წესრიგის დამყარება სახალხო მეურნეობაში.

იურიდიული მეცნიერება სუსტად ამუშავებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა გამოყენება, შრომის მატერიალური სტიმულირების სისტემის შემუშავება და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მოქმედებისათვის, რამაც უზარალი მიაყენა სახელმწიფოს, ხელფასის მოწესრიგება, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები. აუცილებელია ყველა ამ პრობლემის დაწვრილებითი და ყოველმხრივი ანალიზი, შემუშავება სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციებისა, მეცნიერული ვარაუდისა, რომელიც დაეყრდნობა არა მარტო ზოგად მოსაზრებებს, არამედ ამა თუ იმ შესაძლებლობათა რაოდენობრივ შეფასებასაც.

ზემოთ ნათქვამი შეეხება არა მარტო ეკონომიურ-სამართლებრივ პრობლემებს. ნამდვილი მეცნიერული მიდგომა მნიშვნელოვანია ყველა ამოცანის და პირველ რიგში ყველა იურისტის საერთო ამოცანის გადაწყვეტისას — ესაა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება. არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ აღმოფხვრილი არ არის საბჭოთა კანონების, საბჭოთა მართლწესრიგის დარღვევები. ჯერ კიდევ გვხვდება ბიუროკრატიზმის და თვითნებობის, მოქალაქეთა კანონიერ მოთხოვნებისადმი არასწორი დამოკიდებულების ფაქტები. არც თუ ისე იშვიათად ირღვევა საგვემო დისციპლინა, სახელმეკრულებო ურთიერთობა საწარმოებს შორის. ჯერ კიდევ ბევრი ადამიანი სჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს. ყველაფერი ეს უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, ადამიანთა შორის დამოკიდებულებაზე, აფერხებს კომუნისმისაკენ ჩვენს წინსვლას.

იურიდიული მეცნიერების წინაშე მდგომ მრავალ პრობლემათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა იმ საკითხების დამუშავების აუცილებლობა, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა უფლებების დაცვასთან სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. პიროვნების თავისუფლება და უფლებები, ამ უფლებებისა და თავისუფლების გარანტია — სოციალისტური დემოკრატიის, ქვეყ-

ნის მთელი პოლიტიკური ცხოვრების საფუძველია. „კომუნიზმზე გადასვლა ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ნიშნავს პიროვნების თავისუფლებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებების ყოველი ღონისძიებით განვითარებას. სოციალიზმმა, მშრომლებს მიანიჭა და უზრუნველყო უადრესად ფართო უფლებანი და თავისუფლებანი. კომუნიზმს მშრომლებისათვის მოაქვს ახალი დიდი უფლებანი და შესაძლებლობანი“.

მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, თვითეული-საგან თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის ზუსტად შესრულების მოთხოვნა, ერთის მხრივ დაკავშირებულია დემოკრატიის შემდგომ განვითარებასთან და სოციალისტური საზოგადოების მთელი პოლიტიკური ორგანიზაციის სრულყოფასთან და მეორეს მხრივ დანაშაულობის აღმოფხვრასთან. ცხადია, იმისათვის, რომ წარმატებით ვებრძოლოთ დანაშაულს უნდა ვიცოდეთ მისი მიზეზები სოციალისტურ საზოგადოების პირობებში, გამოვძებნოთ დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების ეფექტური მეთოდები. მხოლოდ მაშინ, როცა შევისწავლით იმ პირობებს, რომლებიც ასაზრდოებენ დამნაშავეობას, ჩვენ შევძლებთ მეცნიერულად, საქმის ღრმა ცოდნით დავსახოთ ღონისძიებების ფართო სისტემა ამ სოციალურ ბოროტებასთან საბრძოლველად. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერები ამ მხრივ, ჯერ კიდევ, ნაკლებად ეხმარებიან პრაქტიკულ მუშაკებს. იურისტების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფილოსოფოსებთან, ეკონომისტებთან, ფსიქოლოგებთან, პედაგოგებთან ერთად ანალიზი გაუკეთონ დანაშაულობის წარმოშობა ფაქტორებს, გამოარკვიონ მათი შედარებითი ხვედრითი წონა დამნაშავე პიროვნების ფორმირებაში, შეისწავლონ სასჯელის გამოყენებული ზომის ქმედითობა და შედეგიანობა და მოგვცენ დანაშაულობასთან ბრძოლის მეცნიერული რეკომენდაციები.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცება განუყრელად დაკავშირებულია სასამართლო სისტემის სრულყოფასთან. სასამართლო ორგანოების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების მეცნიერული განზოგადება დიდი პრობლემაა. რომელიც მოითხოვს მეცნიერებისა და პრაქტიკული მუშაკების შემოქმედებით თანამშრომლობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ისეთი საკითხები, როგორიცაა სასამართლო ორგანოების კავშირის გაფართოება საზოგადოებრიობასთან, სასამართლოს გამაფრთხილებელი და აღმზრდელითი როლის ამღლება სამართლის დარღვევებთან ბრძოლის საქმეში.

დამნაშავეობასთან, სამართლის დარღვევებთან ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა, საბჭოთა კანონმდებლობის პოპულარიზაცია. ჩვენი სახელმწიფოს კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების პროპაგანდის, განმარტების ღონისძიებათა სისტემა ორ ამოცანას ისახავს. ჯერ ერთი, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს ძირითადი კანონების ცოდნა. თვითეული მოქალაქის მიერ თავისი უფლებისა და მოვალეობის ნათლად წარმოდგენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მართლწესრიგის, კანონიერების განმტკიცების აუცილებელი წინაპირობაა. მეორეც, აუცილებელია გავზარდოთ კანონებისადმი პატივისცემა, მივალწიოთ იმას, რომ მართლწესრიგის დაცვა, კანონიერებისათვის ბრძოლა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქის შინაგან მოთხოვნილებად. კარგი წიგნის დაწერა, თეორიული პრობლემების დამუშავება — დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი და არანაკლებ საჭიროა სამართლებრივი ცოდნის



შეტანა მასებში, ჩამოვუყალიბოთ მშრომელებს სოციალისტური მართლმშენებლობა, უნარიანად დავუყავშიროთ სამართლებრივი აღზრდა ზნეობრივ აღზრდასთან. ამასთან ანტისაზოგადოებრივ მოქმედებებთან, სამართლის დარღვევებთან და დანაშაულობასთან ბრძოლის ამომწურავი რეზერვები.

კანონმდებლობის განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოქმედი კანონმდებლობის კოდიფიკაციასა და სისტემატიზაციას, რის გარეშეც შეუძლებელია კანონების ნამდვილი სტაბილობა. უკანასკნელ წლებში ჩატარდა გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ნორმატიული მასალის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის დარგში. მაგრამ ამოცანა მთლიანად, ჯერ კიდევ, არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან.

ჩვენს ქვეყანაში მოქმედებაშია ნორმატიული აქტების დიდი რაოდენობა, რომლებიც თვისობრივად ერთმანეთთან ყოველთვის არ არიან შეთანხმებულნი, ხოლო ხანდახან კიდევ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ეს აფერხებს სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოებისა და საწარმოების საქმიანობას, ხელს უშლის კანონიერების ზუსტად დაცვას.

* * *

ბუნებრივია, რომ საკითხი იმის შესახებ თუ რა და რისთვის იქნეს შესწავლილი განუყრელია იმ საკითხისაგან — თუ როგორ იქნეს შესწავლილი, მეცნიერული კვლევის მეთოდებისაგან. ზიანი, რომელიც პიროვნების კულტმა მიიყენა იურიდიულ მეცნიერებას, პირველ რიგში, იმაში მდგომარეობდა, რომ შეაქმნა უძრავობისა და სულიერი კონსერვატიზმის ატმოსფერო; იბორკებოდა და იხშობოდა თეორიული ინიციატივა; ინერგებოდა შემგუებლობა და ფარისევლობა, შიშის გამო არ ხდებოდა კონკრეტული კვლევა და ფართო სოციოლოგიური განზოგადებანი. ამიტომ იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მეცნიერული მუშაობის თვით ხასიათის, მიმართულების, მეთოდოლოგიის გადამწყვეტი გარდაქმნა.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გადასვლა ახალ სტილზე შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, სამართლებრივ გამოკვლევაში დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების მოფიქრებულად და თანმიმდევრობით გამოყენების საფუძველზე. ლაპარაკია იმაზე, რომ ფილოსოფიის ცოდნა და გამოყენება გადაიქცეს სოციოლოგიური ანალიზის მოქმედ ინსტრუმენტად. მთელი ფრონტი იურიდიული კვლევისა უნდა მობრუნდეს ცხოვრებისაკენ, პრაქტიკისაკენ.

მეცნიერებისა და პრაქტიკის მჭიდროდ დაკავშირებამ არ უნდა მიგვიყვანოს ვიწრო პრაქტიციზმამდე, არ უნდა შებოროტოს შემოქმედებითი აზრი. მეცნიერებას მხოლოდ მაშინ შეუძლია იქცეს ცხოვრების მიერ წინწამოწეული პრობლემების საფუძველად, თუ იგი გაუსწრებს პრაქტიკას. შესძლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება ნიშნავს აგრეთვე უნარი გქონდეს კრიტიკულად მიუდგე მას, განასხვაო „კარგი“ პრაქტიკა „ცუდისაგან“, შეამჩნიო სუსტი ადგილები მოქმედ სამართლებრივ აქტებში. ამასთანავე ასეთი კრიტიკა თვითმიზანი კი არ არის, იგი მთლიანად ექვემდებარება შემოქმედებით, კონსტრუქციულ ამოცანებს. სამართლებრივი მასალისა და მისი შეფარდების ნაკლოვანებათა ანალიზი ხომ საბჭოთა სოციალისტური მართლმშენებლის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

პარტია დაჟინებით ურჩევს საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენ-

ლებს გაბედულად დადგენ კონკრეტული სოციალური კვლევის ნიადაგზე. სულ უფრო ფართოდ იშლება ლაბორატორიებისა და სპეციალური ცენტრების ქსელი, რომელიც აწვავს ამგვარი კვლევის მეთოდებსა და საშუალებებს. შეიძლება აღინიშნოს, რომ საბჭოთა იურისტებს არ გადაუხვევიათ სოციოლოგიის განვითარების ამ მაგისტრალური ვიზიანი. მაგრამ ის, რაც გაკეთდა და კეთდება, — მხოლოდ დასაწყისია, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია მოვიფიქროთ კონკრეტული იურიდიული კვლევის კოორდინაციის სისტემა და, რაც მთავარია, მივაღწიოთ რომ მეცნიერთა დასკვნები და განზოგადებანი არ ჩაწვეს არქივის თაროებზე, არამედ პოულობდნენ უმოკლეს გზას იმ ორგანოებისაკენ, რომლებიც ეწევიან სამართალშემოქმედებას და სამართლებრივი ნორმების გამოყენებას.

აუცილებელია ფართოდ და სრულად იქნეს გამოყენებული უმდიდრესი სტატისტიკური მასალა. სტატისტიკა ხომ, კონკრეტული გამოკვლევების მსგავსად, — ის ჰაერია, ურომლისოდაც მეცნიერება ჩაკვდება, გადაგვარდება სქოლასტიკად.

კონკრეტული კვლევის ორგანიზაციისა და განხორციელებაში, ისევე როგორც მთელ სამეცნიერო მუშაობაში, წარმატების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სამართლისმცოდნეობასა და სახელმწიფო მშენებლობის დარგში მათი კომპლექსური ხასიათი. სრულიად ნათელია, რომ პრობლემატიკის დამუშავება, მაგალითად, შრომის ან სამოქალაქო სამართალში, შეუძლებელია ეკონომისტების კვალიფიციური მონაწილეობის გარეშე; კრიმინალისტიკა სულ უფრო მეტად უახლოვდება ტექნიკას; შრომა-გასწორებითი სამართლის ეფექტურობის ამაღლება წარმოუდგენელია პედაგოგებისა და ფსიქოლოგების მონაწილეობის გარეშე. კომუნისტური მშენებლობის მიერ გამოყენებული ამოცანების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომა, ხელს შეუწყობს უახლოეს დროში გარდაიქმნას კონკრეტული გამოკვლევები სამართლის სისტემის სრულყოფის მოქმედ იარაღად.

კონკრეტულმა გამოკვლევებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ არა მარტო მოქმედი სამართლის ნორმების შეფასებისას, არამედ ახალი სამართლებრივი აქტების მომზადების პროცესშიც. სამართალშემოქმედებასთან, საკანონმდებლო საქმიანობასთან მეცნიერული მიდგომა შეუთავსებელია სუბიექტივიზმთან და ვოლუნტარიზმთან, ე. ი. ნებელობით გადაწყვეტასთან, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული პიროვნების კულტის პერიოდში. გამოსცემს რა კანონს, კანონმდებელი მოვალეა განსჭვრიტოს, როგორი იქნება მისი სოციალური ეფექტი, რა მიმართულებით წარმართავს იგი მოცემულ სოციალურ პროცესს. ამასთან მეტად მნიშვნელოვანია სამართლებრივი რეგულირების არა მარტო უშუალო, არამედ ცალკეული, შორეული შედეგების ცოდნაც, უპასუხონ ყველა ამ საკითხს — ამისათვის არიან მოწოდებულნი სამეცნიერო-კვლევითი იურიდიული დაწესებულებანი, იურიდიული მეცნიერება.

საბჭოთა მეცნიერების წინაშე მდგარ ამოცანებს სწყვეტს იურისტ-მეცნიერთა დიდი არმია, რომლებიც თეორიულ გამოკვლევებს აწარმოებენ მრავალრიცხოვან სამართლებრივ, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებსა და პრაქტიკულ ორგანოებში.

ამ უკანასკნელ წლებში გაფართოვდა სამართლებრივი მეცნიერების ფრონტი. 1960 წელს განხორციელდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელ-




მწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის რეორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სამართლებრივი პრობლემების დამუშავების აქტივიზაციას და სახელმწიფოს საკითხებისადმი ყურადღების გამახვილებას. ინსტიტუტები, განყოფილებები და სექტორები, რომლებიც ეწევიან გამოკვლევას სახელმწიფოსა და სამართლის სფეროში, არსებობენ რესპუბლიკების 12 მეცნიერებათა აკადემიაში. მოკავშირე რესპუბლიკებში გაზრდილი ეროვნული კადრები, წარმატებით ავითარებენ იურიდიულ მეცნიერებას. სამეცნიერო კვლევის განვითარებაში სერიოზულ როლს თამაშობენ უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების იურიდიული ფაკულტეტები. კვლევით მუშაობას ეწევიან საუწყებო სამეცნიერო დაწესებულებები.

სამეცნიერო მუშაობის გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე წელს განხორციელებულ იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქსელის რეორგანიზაციას; იგი ხელს შეუწყობს იურიდიული მეცნიერების კავშირს პრაქტიკასთან, გააუმჯობესებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციას საბჭოთა სამართლისა და კანონმდებლობის დარგში, აგრეთვე დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემებზე. კრიმინალისტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გარდაიქმნა დამნაშავეობის მიზეზების შესწავლისა და გაფრთხილების ღონისძიებათა შემუშავების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. ახალ ინსტიტუტს — კრიმინალოგიურ პრობლემათა მთელი კომპლექსის შემუშავების მთავარ მარგანიზებელს — გადაეცა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სექტორები იურიდიულ მეცნიერებათა სრულიად საკავშირო ინსტიტუტიდან და დამნაშავეობის შესწავლისა და სოციალისტური მართლმსაჯულების პრობლემათა სექტორები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტიდან.

იურიდიულ მეცნიერებათა სრულიად საკავშირო ინსტიტუტი გარდაიქმნა საბჭოთა კანონმდებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. ამ ინსტიტუტმა უნდა შეისწავლოს და განაზოგადოს წინადადებები მოქმედი ნორმატიული აქტების შეცვლისა და დამატებისათვის და მონაწილეობა მიიღოს კანონპროექტთა მომზადებაში, დაამუშაოს კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხები. რაც შეეხება სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიას, სამოქალაქო სამართალსა და პროცესს, შრომის, მიწის, საკოლმეურნეო, სახელმწიფოსა და ადმინისტრაციულ სამართალს, ისინი თავმოყრილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში.

რეორგანიზაციის შედეგად ზუსტადაა განსაზღვრული თითოეული ინსტიტუტის ძირითადი მეცნიერული მიმართულებანი, პრობლემატიკა; ხელსაყრელი ნიადაგია შექმნილი სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციისათვის, კომუნისტური წმენებლობის მიერ წამოყენებული მთავარი, ყველაზე უფრო აქტუალური საკითხების დამუშავებისათვის.

სამეცნიერო კვლევის კოორდინაცია სახელმწიფოსა და სამართლის და-



რგში, მიუხედავად იმისა, რომ ნათლად ჩანს მისი დიდი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ არასაკმაო აქტივობით ხორციელდება. მეცნიერული ძალების ყურადღებას არ მიაპყრობენ მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებისა და პრობლემებისაკენ; არაიშვიათია დუბლირების შემთხვევები, პრობლემების შესწავლისადმი ზერელე დამოკიდებულება, ერთი და იგივე მასალის გამოყენება. მეცნიერული ძალებისა და საშუალებების დაქსაქსვა ხელს უშლის მეცნიერი იურისტების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას.

როგორც ჩანს აუცილებელია სახელმწიფომცოდნეობის და სამართლის-მცოდნეობის დარგში შემუშავდეს მეცნიერული კვლევის ერთიანი გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება სამუშაოთა ძირითადი თემები სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო იურიდიულ დაწესებულებებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეულ აქტუალურ პრობლემებზე მუშაობს რამდენიმე დაწესებულება უნდა განისაზღვროს თუ რომელი იქნება მათ შორის საყრდენი ორგანიზაცია, რომელსაც დაეკისრება ამ პრობლემაზე მუშაობის კოორდინირება. ამასთან დაკავშირებით დიდი ამოცანები დგება ამასწინათ შექმნილი სექციის „საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია“-ს წინაშე. ეს სექცია შედის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იმ სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც შეისწავლის პრობლემას „სოციალიზმის განვითარებისა და კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებანი“.

სამეცნიერო დაწესებულებების რეორგანიზაციას და მათი სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციას, რამდენადაც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ისინი, თავისთავად არ მიგყვართ იურიდიული კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. გადამწყვეტ როლს აქ ასრულებენ ადამიანები. ამიტომ მეცნიერებისათვის კადრების შერჩევა, ამ კადრების აღზრდა კვლავ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება. ჯერ კიდევ არც თუ იშვიათად მეცნიერებაში ხვდებიან შემთხვევითი ხალხი, რომლებსაც არა აქვთ სათანადო უნარი და სამეცნიერო დაწესებულებებში ადვილს იკავებენ ისე, რომ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. ცოტა არ არის შემთხვევები ისეთი დისერტაციების დაცვისა, რომლებსაც სარგებლობა არ მოაქვს არც მეცნიერებისათვის და არც პრაქტიკისათვის.

ახალგაზრდა კადრების სწორად შერჩევა, მათი მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლება შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. მათ შორის ერთერთია სამეცნიერო იურიდიულ დაწესებულებებთან იმ პრაქტიკოსების მიმაგრება, რომლებმაც მიღრეკილება გამოიჩინეს მეცნიერული კვლევისადმი. მეორე ფორმაა მოეწყოს რესპუბლიკური აკადემიის მეცნიერ მუშაკების, კერძოდ იურისტების სტაჟირება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში. აუცილებელია გაუმჯობესდეს აგრეთვე კადრების მომზადება ასპირანტების საშუალებით.

მეცნიერი მუშაკების მომზადების პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს არა მარტო მათ საქმიან კვალიფიკაციას, არამედ მათი პოლიტიკური, იდეური შეგნებულობის აღზრდას. ამასთან ეს ეხება, როგორც ახალგაზრდა

მეცნიერ მუშაკებს, ისე მათ, ვინც დიდი ხანია ეზიარა მეცნიერებას. მეცნიერების ყოველ დარგში ადგილი აქვს პირდაპირ თუ არაპირდაპირ იდეოლოგიურ ბრძოლას. მეცნიერება ხომ ფაქტების კრებადობა და აღწერა არ არის, არამედ მათი თეორიული განზოგადებაა, რომელიც წარმოუდგენელია გარკვეული მსოფლმხედველური წანამძღვრების გარეშე. იურიდიულ მეცნიერებაში, ისევე როგორც სოციალური ცოდნის ყველა სფეროში იდეოლოგიური ბრძოლა სავსებით გამოკვეთილად ჩანს. ის, თუ რამდენად სწორია მეთოდოლოგიური მითითებები, პარტიულობის იდეური პოზიცია — იმის აუცილებელი პირობაა, რომ მეცნიერულად იქნეს გადაწყვეტილი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პრობლემები.

საჭიროა შესწავლილ იქნას, აგრეთვე, მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიული განათლების სისტემასთან. თავის დროზე მკვეთრად იქნა შემცირებული მიღება იურიდიულ ფაკულტეტებზე. ამის გამო ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, „ჯუჯა“ ფაკულტეტად გადაიქცენენ. დღის წესრიგში დგას იურიდიულ ფაკულტეტებზე მიღების გადიდების და შესაძლოა ფაკულტეტების გამსხვილების საკითხიც, საჭიროა სასწავლო მუშაობაში ფართოდ მივიზიდოთ სასამართლოს, პროკურატურის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პრაქტიკული მუშაკები.

გადიდებული მოთხოვნები, რაც დგას სახალხო მეურნეობის გაძღოლის, საბჭოთა აპარატის საქმიანობის სრულყოფის დარგში დღის წესრიგში აყენებს იმის აუცილებლობას, რომ იურიდიული კადრების მომზადების პროცესში ყურადღება მიექცეს არა მარტო მმართველობისა და სამართლის მეცნიერების საფუძვლების შესწავლას, არამედ მრეწველობის ეკონომიკის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის შესწავლას და ა. შ. ეს ხელს შეუწყობს ახალი ტიპის იურისტის ჩამოყალიბებას, რომელიც დაკავშირებული იქნება პრაქტიკასთან, უპასუხებს სოციალისტური მეურნეობის ახალი ეტაპის მოთხოვნებს.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მთელი სისტემის მუშაობის სრულყოფა მოითხოვს გამახვილდეს ყურადღება ადმინისტრაციული და სამეურნეო აპარატის მუშაკების იურიდიული მომზადებისადმი. დასაძალი არ არის, რომ ბევრი მათ შორის, ჯერ კიდევ, ცუდად ერკვევა სამართლებრივ მასალაში, რასაც მიუყვებათ კანონის დარღვევამდე. მიზანშეწონილი იქნება, უკვე დაგროვილი გამოცდილების გამოყენებით, შევიმუშაოთ და დავამტკიცოთ იმ თანამდებობათა ნომენკლატურა, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ იურიდიული განათლება.

* * *

ჩვენი ქვეყნის შესვლა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში არ ამცირებს იურიდიული მეცნიერების როლს, მისი მნიშვნელობა ახალ პირობებში სრულიადაც არ კლებულობს.

აუცილებელია გადაჭრით უკუვაგდოთ უსუსური მტკიცება, რომელიც ჯერ კიდევ გვხვდება, თითქოს იურიდიული მეცნიერება „მომაკვდავი“, უპერსპექ

ტივო მეცნიერებაა. ასეთი მსჯელობა იმის ნათელი გამოხატულებაა, თუ როგორ მექანიკურად, უაზროდ და ამდენად არასწორად უფარდებენ საერთო პრინციპებს კონკრეტულ სიტუაციას, არ უკეთებენ რა ამ უკანასკნელს ანალიზს.

რა თქმა უნდა სახელმწიფო და სამართალი დროთა განმავლობაში მოკვდებიან, შეეზრდებიან საზოგადოებრივ თვითმმართველობას, კომუნისტური საერთო ცხოვრების წესებს. მაგრამ ჯერ ერთი ამას დასჭირდება საკმაოდ დიდი ისტორიული პერიოდი, რაც პოლიტიკურ-სამართლებრივი ზედნაშენის გაქრობის პროცესის მეცნიერულად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. მეორეც (ეს — მთავარია), ყველა საფუძველია ვიფიქროთ, რომ სოციალისტური სამართლის თეორია, სოციალისტური სახელმწიფოს თეორია შემდგომში გადაიზრდებიან საზოგადოებრივი თვითმმართველობის თეორიად, მეცნიერებად ადამიანების ქცევის წესების შესახებ, კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის მართვის მეცნიერების კომპლექსის მნიშვნელოვან დარგად.

9146.



საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგანგებო საგარეო საქმეთა და ამოსანების განყოფილება

მ. ჯავთარაძე,

საქართველოს სსრ სწდ მინისტრი,
შინაგანი სამსახურის მესამე რანგის გენერალი

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ ხანს განახორციელა დიდი ღონისძიებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების აღსადგენად, შექმნა სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა პიროვნებისა და პირადი ქონების ხელშეუხებლობის მტკიცე და რეალური გარანტია.

ჩვენს ქვეყანაში არავინ არ შეიძლება გასამართლებული იქნას და დასჯილი თუ არა კანონის შესაბამისად. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა უმკაცრესი პარტიული და სახელმწიფოებრივი კონტროლის ქვეშ იმყოფება. საბჭოთა კანონების ცხოვრებაში ზუსტად გატარების უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ჩაბმულია ფართო საზოგადოებრიობა. კანონის დარღვევის ყოველი ფაქტი იხილება და ფასდება, როგორც საგანგებო შემთხვევა.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების სტრუქტურაში ხდებოდა ცვლილებები. იგი იხვეწებოდა ამ მოცანების შესაბამისად, რომლებსაც აყენებდა ცხოვრება, ახალ ვითარებაში დანაშაულობასთან ბრძოლის თავისებურება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულმა კომუნიზმის მშენებლობის დიადნა პროგრამამ ახალი ამოცანები დასახა კომუნისტურ საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების, ახალი ადამიანის აღზრდის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის მანეე გადმონაშთების აღმოფხვრის, მართლწესრიგის განუხრელად დაცვის, სახალხო დოვლათისა და საბჭოთა მოქალაქის პიროვნების ხელმყოფთა დასჯის საქმეშიც.

საჭირო გახდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების გამტაცებელთა, მკვლელების, სპეკულანტების, მექრთამეებისა და სხვა საშიშ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის კონსოლიდაცია ერთ ორგანოში, რაც ხელს შეუწყობდა მათ წინააღმდეგ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონების უფრო სწორად და ზუსტად გამოყენებას.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებს ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში ეკისრებათ მეტად პასუხსაგები მოვალეობა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი საზოგადოების წინაშე.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების ძირითად ფუნქციას შეადგენს — დაუნდობლად იბრძოლონ სისხლის სამართლის დამნაშავეთა და



საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, ჩვენი ცხოვრების წინააღმდეგ სეგლის ყოველგვარ შემფერხებელ მოვლენათა წინააღმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 6 აპრილს მიიღო ბრძანებულება — „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების უფლების მინიჭების შესახებ“, რითაც კიდევ უფრო გააფართოვა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ფუნქციები.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 29 მაისის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების უფლების მინიჭება სისხლის სამართლის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის, მათი გამოვლენის ეფექტურობის გაძლიერებით იყო გამოწვეული.

სისხლის სამართლის საქმეებზე ჩატარებული წინასწარი გამოძიების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მისი წარმოება ერთი გარკვეული ორგანოს, მითუმეტეს ერთი და იგივე სამომხიბლოს მიერ, უზრუნველყოფს საქმის ყოველი დეტალის სათანადოდ დაუფლებას და შექმნილ გარემოებათა ყოველმხრივ და ღრმა შესწავლას. ასეთ პირობებში წინასწარი გამოძიების კარგი შედეგებით დამთავრება უფრო გარანტირებულია.


ამან განაპირობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების უფლების მინიჭება და აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „გამომძიებელი ნიშნავს პირს, რომელიც კანონით უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ე. ი. პროკურატურის გამომძიებელი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებელი, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებელი“, ხოლო ამავე კოდექსის 125-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სისხლის სამართლის საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის გამომძიებლები, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებლები და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებლები“.

ასეთივე ცვლილებები იქნა შეტანილი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაშიც.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემდეგ საჭიროდ იქნა მიჩნეული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებთან ჩამოყალიბებულიყო წინასწარი გამოძიების ორგანო, რისთვისაც სამინისტროებთან შეიქმნა სავამომხიბლო სამმართველოები ან განყოფილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 29 მაისის ბრძანებულებით — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების ახალი რედაქციით წინასწარ გამოძიებას იმ დანაშაულებზე, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 88, 91-93, 95-II ნაწ., 96, 98, 100-102, 110-115, 121, 122, 124, 126, 125, 150-158, 162, 164, 165, 167-169, 171, 172-II ნაწ., 174, 203, 204, 210-215, 228 II-ნაწ., 229, 230, 232, 237-243, 248, 249, 252-254 მუხლებით აწარმოებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებლები, რომლებსაც აერ-



თიანებს და ხელმძღვანელობს — რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველო. მას დაეჭვებდებარა, აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე აღძრული საქმეების გამოძიება. უკეთეს ეს დანაშაული გამოძიებულა მილიციის ორგანოების მიერ ჩატარებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შედეგად. ამასთან ერთად, იგივე ორგანოების გამოძიებლები აწარმოებენ წინასწარ გამოძიებას, სისხლის სამართლის კოდექსის 90¹, 197, 198, 201, 202, 205, 206 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, თუ ისინი, შექმნილ ვარაუდებთან გამო, დაკავშირებულნი არიან წინასწარ გამოძიებაში ქვემდებარეობით წარმოებულ საქმეებთან.

ცნობილია, რომ ზემოხსენებული ბრძანებულების გამოცემამდე და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანამდე, წინასწარ გამოძიებას აწარმოებდნენ მხოლოდ პროკურატურის და, გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, აგრეთვე, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამოძიებლები. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოები აწარმოებდნენ მართლოდ მოკვლევას, ხოლო ზოგიერთი სახის დანაშაულობაზე საქმეს ამთავრებდნენ საბრალდებო დასკვნის შედგენით, არაქვემდებარე საქმეებს კი 10 დღის მოკვლევის შემდეგ უგზავნიდნენ პროკურატურას წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების, ისევე როგორც სხვა ორგანოების გამოძიებლების უფლება-მოხილება განსაზღვრულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლით. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დრო გამოძიებელი მოქმედებს დამოუკიდებლად და ღებულობს ყველა გადაწყვეტილებას, რაც საჭიროა გამოძიების წარმართვისა და საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით გათვალისწინებულია პროკურორისაგან სანქციის მიღება.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების მიერ წინასწარი გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობას ანხორციელებს პროკურორი, რომლის მიერ მიცემული წერილობითი მითითების შესრულება სავალდებულოა გამოძიებლისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებელი არ ეთანხმება პროკურორის წინადადებას დანაშაულის კვალიფიკაციის შესახებ და სხვა მითითებებს, რაც საქმის წარმოებასთანაა დაკავშირებული, გამოძიებელს უფლება აქვს საქმე, წერილობითი მოსაზრებების დართვით, წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამოძიებლის უფლებას შეადგენს მის წარმოებაში მყოფ საგამომძიებლო საქმეზე მისცეს მოკვლევის ორგანოებს (მილიციის შესაბამის ოპერატიულ განყოფილებებს) დავალება სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ და მოითხოვოს მათგან დახმარება ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედების შესრულების დროს. გამოძიებლის ასეთი დავალების და მითითების შესრულება მოკვლევის ორგანოებისთვის სავალდებულოა. ასევე სავალდებულოა ყველა წარმოება-დაწესებულებისა და ორგანიზაციებისათვის თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის გამოძიებლის მიერ მის წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეზე კანონის შესაბამისად გამოტანილი ყველა დადგენილების შესრულება.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შექმნილია რესპუბლიკის საზოგადოებ-

რივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს ორგანოები — განყოფილებების, ქვეგანყოფილებების და ჯგუფების სახით, რომლებიც ადგილებზე ახორციელებენ საგამომძიებლო ფუნქციებს და ემორჩილებიან საგამომძიებლო სამმართველოს.

აფხაზეთის ასრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილება ხელმძღვანელობს ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების საგამომძიებლო ჯგუფებს; აჭარის ასრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილება — რაიონების საგამომძიებლო ჯგუფებს და გამომძიებლებს (ორ რაიონში გამომძიებელია) და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს საგამომძიებლო ქვეგანყოფილება — სამხრეთ ოსეთის რაიონის გამომძიებლებს (სამხრეთ ოსეთის რაიონებში საგამომძიებლო ჯგუფები არ არსებობს).

აფხაზეთის და აჭარის ასრ სწდს საგამომძიებლო განყოფილებებს ხელმძღვანელობენ განყოფილების უფროსები და მათი მოადგილეები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სწდ სამმართველოს საგამომძიებლო ქვეგანყოფილებას კი — ქვეგანყოფილების უფროსი. საპატიმრო ადგილების სამმართველოს, რკინიგზაზე, ქალაქებსა და რაიონებში არსებულ ქვეგანყოფილებებს ხელმძღვანელობენ ქვეგანყოფილებათა უფროსები, ხოლო საგამომძიებლო ჯგუფებს — უფროსი გამომძიებლები.

საქართველოს სსრ სწდ სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველო რესპუბლიკის მასშტაბით ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ ყველა საგამომძიებლო ქვეგანყოფილებებს, საგამომძიებლო ჯგუფებს და გამომძიებლებს, ახორციელებს კონტროლს მათი მუშაობის შემოწმებისა და შესწავლის საშუალებით, აძლევს მეთოდურ მითითებებს, იღებს ყველა ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საგამომძიებლო საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვისათვის.

საგამომძიებლო სამმართველო პასუხისმგებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებში გამოძიების წარმოებაზე. იგი ვალდებულია გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება გამოძიების ხარისხის გასაუმჯობესებლად, წინასწარი გამოძიებისათვის კანონით დადგენილი ვადების დასაცავად და მისი ჩატარების დროის შესამჭიდროველად. იგი ვალდებულია გაუწიოს პრაქტიკული დახმარება მუშაობაში საგამომძიებლო განყოფილებებს, ქვეგანყოფილებებს, ჯგუფებსა და გამომძიებლებს ადგილებზე, მოახდინონ განყოფილებების, ქვეგანყოფილებების, ჯგუფებისა და ცალკეული გამომძიებლების დადებითი მუშაობის განზოგადება, წახალისოს მოწინავენი, მკაცრად დასაჯოს ცალკეული არაკეთილსინდისიერი მუშაკები.

საგამომძიებლო სამმართველო ატარებს საჭირო ღონისძიებებს გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აწყობს გამომძიებლებისათვის მეთოდური ხასიათის შეკრებებს, სემინარებს, ატარებს ლექციებს, საუბრებს საგამომძიებლო საკითხებზე.

საგამომძიებლო სამმართველოს უფლება აქვს თავისი აპარატის მეშვეობით აწარმოოს გამოძიება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის ახალი რედაქციით გათვალისწინებული მისი ქვემდებარე ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე, პირველ რიგში კი ისეთებზე, რომ-

ლებიც შინაარსის სიძრულისა და გამოძიებაში არსებული სიძნელების გამო მოითხოვენ მაღალი კვალიფიკაციის გამოძიებელს.

საგამომძიებლო სამმართველო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გამოძიების ობიექტურად წარმართვას და აუცილებელ შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებას არაობიექტურობის აღმოსაფხვრელად. გამოძიების კანონიერების უზრუნველსაყოფად ახდენს საქმის გამოძიებელზე აცილებას და აკისრებს მის გამოძიებას სხვა გამოძიებელს ან იღებს ამ საქმეს სამმართველოს აპარატის წარმოებაში.

სამმართველო აკონტროლებს და ამოწმებს გამოძიების შეწყვეტის კანონიერებას ყველა საქმეზე; კანონის დარღვევის შემთხვევებში გამოაქვს დადგენილება საქმეზე გამოძიების განახლების შესახებ, აძლევს საჭირო მითითებებს მისი სწორად წარმართვისათვის, ხოლო, უკეთეს შემთხვევაში ეთანხმება ან ამტკიცებს პროკურორი, საქმეზე წარმოების განახლების საკითხს უთანხმებს ზემდგომ პროკურორს.

საგამომძიებლო სამმართველო თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს სსრ სწდს მოკვლევის ორგანოებთან (სათანადო ოპერატიულ განყოფილებებთან) კონტაქტში. სამმართველოს აპარატში წარმოებულ საქმეთა გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობას ანხორციელებს საქართველოს სსრ პროკურატურა. საგამომძიებლო სამმართველო და გამოძიების ორგანოები თავიანთ საქმიანობას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოებთან მჭიდრო კავშირში, ვინაიდან ორივე ორგანო ემსახურება ერთ მიზანს. ასეთი ურთიერთკონტაქტი ხელს უწყობს გამოძიების საქმის მაღალ დონეზე დაყენებას.

საგამომძიებლო სამმართველოს უფროსი ემორჩილება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრს და მის მოადგილეებს.

ათხაზეთისა და აჭარის ასსრ სწდს საგამომძიებლო განყოფილებები უშუალოდ ემორჩილებიან ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრებს და მის მოადგილეებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სწდს საგამომძიებლო სამმართველოს. ასევე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დებუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის სწდ სამმართველოს საგამომძიებლო ქვეგანყოფილება ემორჩილება ამავე სამმართველოს უფროსს, მის მოადგილეს და საქართველოს სსრ სწდს საგამომძიებლო სამმართველოს.

ასეთია, ძირითადად საქართველოს სსრ სწდს საგამომძიებლო სამმართველოს სტრუქტურა, მისი ფუნქციები და ამოცანები.

საქართველოს სსრ სწდს საგამომძიებლო სამმართველო და გამოძიების ადგილობრივი ორგანოები დაკომპლექტებულია უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე კადრებით, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე მუშაკებით.

ეჭვი არ არის, რომ საგამომძიებლო სამმართველო და მისი ადგილობრივი ორგანოები წარმატებით გაართმევენ თავს მათზე დაკისრებულ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას — სოციალისტური კანონიერების დაცვას.

საგეოგრაფიკო კომისიების საკავშირო მოვადეობა

მ. ბაჩქალიძე

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის უდიდესი სიყვარულით არის გარემოსილი საბჭოთა ქვეყანაში ადამიანი. ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის ძირითადი მიზანია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამას სამართლიანად უწოდებენ ხალხთა ბედნიერების პროგრამას. ჩვენი ეპოქის ამ დიადი მანიფესტის ყოველი სტრიქონიდან ნათლად ჩანს, რომ იგი გამსჭვალულია ზრუნვით ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალური მდგომარეობისა და კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. საბჭოთა ადამიანები მასში ხედავენ თავიანთ ნათელ მომავალს.

კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლისათვის საჭიროა არა მარტო მაღალგანვითარებული საწარმოო ძალები და ტექნიკა, არამედ, აგრეთვე, საზოგადოების ყოველი წევრის შეგნებულობის მაღალი დონე. ამიტომ, კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად აუცილებელია ავამაღლოთ თვით ადამიანების შეგნებულობაც საზოგადოებრივი ურთიერთობის უფრო მაღალ ფორმებზე გადასვლისათვის.

კომუნისტური გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა მოქალაქეებს მოეთხოვებათ დიდი ორგანიზებულობა, კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების მტკიცე დაცვა, წარსულის გადმონაშთებთან და, პირველ რიგში, დანაშაულობასთან შეურიგებელი ბრძოლა. ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს მასების კომუნისტურად აღზრდის მიზნით, ქმნიან ყველა საჭირო პირობას, რათა აღმოიფხვრას სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევის, ბოროტმოქმედების, ადამიანთა ღირსების შელახვისა და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სხვა გამოვლინებათა შემთხვევები.

საბჭოთა წყობილების პირობებში არ არსებობს სოციალური მიზეზები დანაშაულის წარმოშობისათვის. ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანია მოისპო უმუშევრობა. ისტორიას ჩაბარდა სიღატაკე და სიდუხჭირე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

საბჭოთა მოქალაქეების დიდი უმრავლესობა შეგნებულად იცავს სახელმწიფოებრივ დისციპლინას, პატივისცემით ეკიდება საბჭოთა კანონებს და განუხრელად ასრულებს მას. მათ ახასიათებთ მაღალი იდეურობა, კოლექტივიზმი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას უპასუხებენ გმირული შრომით მრეწველობასა თუ სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა თუ ტრანსპორტზე, სწავლასა თუ სხვა საქმიანობაში. მათ ღრმად სწამთ, რომ „საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომა თვითეული ადამიანის

წმინდა მოვალეობაა. ყოველგვარი შრომა საზოგადოების სასარგებლოდ, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი, პატივსაცემი და საპატიოა“¹.

მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ შემორჩენენ ისეთი პირობები, რომლებიც გაურბიან პატიოსან შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, ითვისებენ სოციალისტურ საკუთრებას და მოქალაქეთა პირად ქონებას, ხელყოფენ პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსებას, ეწევიან სპეკულაციას, თაღლითობასა და სხვა ისეთ საშიშ ქმედობას, რაც შეუწყნარებელია ჩვენი საზოგადოებისათვის.

სკკპ XXII ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშიოვი ამბობდა: „ჯერ კიდევ გვყავს ადამიანები, რომლებიც კომუნიზმს უყურებენ, როგორც უქმად ყოფნისა და უსაქმურობის საზოგადოებას... კომუნიზმის შესახებ ასეთი წარმოდგენა დამახასიათებელია სულეერად ღარიბი ადამიანისათვის, ობივატელებისა და მუქთახორებისათვის“.

ადამიანთა შეგნებაში და მოქმედებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად საბჭოთა სახელმწიფო სულ უფრო მეტად იყენებს დარწმუნების და აღზრდის მეთოდებს, საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს. მაგრამ თუ ყოველივე ამას სასურველი შედეგები არ მოჰყვება, მაშინ მთელი სისასტიკით მოქმედებს სახელმწიფო იძულება, სისხლის სამართლის სასჯელი. ამასთანავე საჭიროა, უნარიანად იქნეს შეთავსებული იძულებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები.

სასჯელი საბჭოთა სახელმწიფოში მიზნად იმას როდი ისახავს, რომ გათელოს ადამიანის ღირსება ან ფიზიკური ტანჯვა მიაყენოს მას, სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის. იგი ამასთანავე მიზნად ისახავს გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს სამართლებრივი ნორმების დამრღვევნი. იგი წარმოადგენს აგრეთვე გაფრთხილებას როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირთა მიერ ახალ დანაშაულთა ჩადენის თავიდან ასაცილებლად.

როგორც ცნობილია, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ წლებში დიდი ღონისძიებები გაატარეს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. გადასინჯული და გაუქმებული ან შესწორებულია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები. მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, სასამართლო წყობილების კანონები. გატარდა სათანადო ღონისძიებანი მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. გაიზარდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განსაკუთრებით მძიმე და საშიში დანაშაულისათვის. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა საბჭოთა კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა უნდა გაიშალოს; როგორც საზოგადოების აქტიური ზემოქმედების, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენების გზით. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით ახლა, როცა საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში დამანაშავეობის სრული აღმოფხვრის საკითხი პირველად ისმება, როგორც უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას კომუნიზმში გადასვლის პერიოდში.

იმ ღონისძიებებიდან, რომელთაც საბჭოთა სახელმწიფო მიმართავს დანა-

¹ სკკპ პროგრამა, სახელმწიფო გამომცემლობა, 1961 წ. გვ. 131.

შაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შრომა-გასწორების დაწესებულებებს, რომლებსაც ევალებათ სასჯელის მიზნის პრაქტიკულად განხორციელება. მაგრამ ამ მეტად სერიოზული ამოცანის გადასაწყვეტად საკმარისი არ არის მარტოდენ შრომა-გასწორების დაწესებულებათა შტატიანი მუშაკების ძალები. აუცილებელია ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდეს ფართო საზოგადოებრიობა. წარსულში შრომა-გასწორების დაწესებულებები მსჯავრდებულთა აღზრდა-გამოსწორებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს წყვეტდნენ თავიანთი ძალებით, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ზოგჯერ არც კი უშვებდნენ ამ დაწესებულებათა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომ არაფერი ვთქვათ მათ ჩაბმაზე მსჯავრდებულთა აღზრდის საქმეში.

თანამედროვე ეტაპზე ბევრი ფუნქცია, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ, თანდათანობით გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების გამგებლობაში. ამალდა მათი როლი სამეურნეო და კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში, მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში. სულ უფრო ფართო და ქმედით ადგილს იკავებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, ძლიერდება საზოგადოებრივი აზრის ძალა დანაშაულის ჩამდენთა წინააღმდეგ.

შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების იმ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, რომელთა ტერიტორიაზეც არსებობენ შრომა-გასწორების დაწესებულებები 1957 წლიდან შეიქმნა სამეთვალყურეო კომისიები. ეს კომისიები მოწოდებული არიან ქმედითი დახმარება გაუწიონ შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციას იმაში, რომ ამ დაწესებულებებმა გამოასწორონ მსჯავრდებულები და აღზარდონ ისინი პატიოსანი ცხოვრებისათვის, მიაღებინონ საწარმოო პროფესიები და დანერგონ მათში შრომითი ჩვევები, უკეთ მოაწყონ მსჯავრდებულთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, შრომის სწორი ორგანიზაციის, პროფესიულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების საქმე. ამ კომისიებმა ხელი უნდა შეუწყონ აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებს სამუშაოზე მოწყობასა და საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამეთვალყურეო კომისიების საქმიანობას. 1961 წლის ივნისში პრეზიდიუმმა შეისწავლა და განიხილა ზოგიერთი სამეთვალყურეო კომისიის მუშაობა და დაუსახა მათ სათანადო ღონისძიებები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. შარშან ნოემბრის თვეში სამეთვალყურეო კომისიების მუშაობის გამოცდილებათა გაზიარების მიზნით მან საქართველოს სსრ პროკურატურასა და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან ერთად მოაწყო ამ კომისიების თათბირ-სემინარი, ხოლო წელს სექტემბერში განიხილა, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა გამოსწორება და მათი ხელახალი აღზრდა და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამეთვალყურეო კომისიების მუშაობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა სამეთვალყურეო კომისიამ სწორად გაიგო

თავისი ამოცანები და სერიოზულ ზემოქმედებასაც ახდენს შრომა-გასწორებულ დაწესებულებათა საქმიანობაზე.

ამ კომისიებს მკიდრო კავშირი აქვთ დამყარებული შრომა-გასწორების დაწესებულებებთან და აქტიურად ეხმარებიან მათ იმ ღონისძიებების გატარებაში, რაც ხელს უწყობს მსჯავრდებულთა ხელახალ აღზრდას და გამოსწორებას, მათ ჩაბმას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. ამ მიზნით ისინი აწყობენ მსჯავრდებულთა შეხვედრებს წარმოების მოწინავეებთან, რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან, წარმოებისა და დაწესებულებების შეფობას შრომა-გასწორების დაწესებულებაზე, კითხვა-პასუხის საღამოებს, ლექციებს და სხვა ღონისძიებებს. გარდა ამისა, ეს კომისიები სათანადო ყურადღებას აქცევენ და პერიოდულად ამოწმებენ, თუ როგორ არიან უზრუნველყოფილი მსჯავრდებულნი საყოფაცხოვრებო პირობებით, კვებით და რამდენად სწორია მათზე დისციპლინური სასჯელის დადების პრაქტიკა; თვალყურს ადევნებენ მსჯავრდებულთა გამოსწორებას იმათ მიმართ, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას. არსებული წესის გათვალისწინებით, აღძრვენ შუამდგომლობას მსჯავრდებულთა პატიების, ვადამდე ან პირობით ვადამდე გათავისუფლების, სასჯელის ვადის შემცირების შესახებ და სხვ. სამეთვალყურეო კომისიის წევრები ხშირად მიდიან შრომა-გასწორების დაწესებულებებში და ატარებენ პატიმრებთან ინდივიდუალურ საუბრებს, ისმენენ მათ საჩივრებს, განცხადებებს და ახდენენ მათზე სათანადო რეაგირებას.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ბევრ შრომა-გასწორების დაწესებულებაში, წინა წლებთან შედარებით იკლო მსჯავრდებულთა მიერ რეჟიმის დარღვევის და დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევებმა, ამალდა შრომის ნაყოფიერება, წარმატებით სრულდება საწარმოო გეგმები. მაგალითად, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებულმა სამეთვალყურეო კომისიამ (თავმჯდომარე ბ. ალოიანი) წელს ორჯერ მოაწყო მსჯავრდებულებთან წარმოების მოწინავეთა და კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრთა შეხვედრა, ხოლო ერთხელ — მწერლებთან და პოეტებთან; შრომის საქმიანობაში ჩააბა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებული 32 პირი, ექვსი უზრუნველყო საცხოვრებელი ფართობით და ა. შ. კომისია თვალყურს ადევნებს სასჯელმოხდელ პირთა შემდგომ ყოფაქცევას და ატარებს ღონისძიებებს, რათა ისინი კვლავ არ ასცდნენ ცხოვრების სწორ გზას. მრავალფეროვანია ამ კომისიის სხდომების დღის წესრიგი, რომლის ყველა საკითხი მიმართულია მათი სამოქმედო ობიექტის — შრომა-გასწორების კოლონიის საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ.

სამეთვალყურეო კომისიების შექმნამ, რომლებიც საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებენ შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობაზე, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსჯავრდებულთა ხელახალ აღზრდას და მათ დაბრუნებას პატიოსან შრომით საქმიანობაში.

ამ კომისიების მუშაობის გამოცდილებამ, იმ გარემოებამ, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაფართოვდა სამეთვალყურეო კომისიების სამოქმედო ასპარეზი, კერძოდ, დაარსდა მილიციის კომენდანტურები იმ ადგილებში, სადაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 15 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად იმყოფებიან გასახლებულები, — აგრეთვე იმან, რომ საზოგადოებრივ კონტროლს უნდა დაექვემდებარონ შრომა-გასწორებითი სამუშაოების ინსპექციები, პირობით მსჯავრდებულთა კონტიგენტი და

სხვა სასჯელის მქონე პირები, დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში ამ კომისიების შექმნის აუცილებლობის საკითხი. აქედან გამომდინარე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გასული წლის 30 აგვისტოს დადგენილებით დაამტკიცა ახალი დებულება „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების შესახებ“ და ძალადაკარგულად ჩათვალა 1957 წელს მიღებული დებულება.

ახალი დებულების შესაბამისად სამეთვალყურეო კომისიები შეიქმნებიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ყველა აღმასრულებელ კომიტეტთან და წარმოადგენენ საზოგადოებრივი კონტროლის ორგანოებს. ეს კომისიები იქმნება საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობის საფუძველზე. მის შემადგენლობაში შედიან საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურისა და სხვა ორგანოთა მუშაკები.

სამეთვალყურეო კომისიების ძირითადი ამოცანაა კონტროლი გაუწიონ შრომა-გასწორების დაწესებულებებს, გასახლებულთა დასახლების ადგილების მილიციის კომენდატურებს, შრომა-გასწორების სამუშაოების ინსპექციებსა და იმ დაწესებულებებს, სადაც მუშაობენ ისეთი სასჯელის მქონე პირები, რომელთა სასჯელი არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ეს კონტროლი მიზნად ისახავს გამოარკვიოს — როგორ იცავენ აღნიშნული დაწესებულებები მოქმედ კანონმდებლობას მსჯავრდებულთა აღზრდა-გამოსწორების საქმეში, რამდენად მიზანშეწონილად ხდება მსჯავრდებულთა შრომის გამოყენება და რამდენად უზრუნველყოფილი არიან ისინი საყოფაცხოვრებო, კულტურული, სამედიცინო და სანიტარული მომსახურებით, როგორ არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია, მსჯავრდებულთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, ზოგადსაგანმანათლებლო და საწარმოო-ტექნიკური სწავლება. ეს კომისიები შეამოწმებენ აგრეთვე მსჯავრდებულთა მიმართ დისციპლინური სასჯელის დადების პრაქტიკის სისწორეს.

სამეთვალყურეო კომისიის ერთ-ერთ მოვალეობას შეადგენს ჩაბას ფართო საზოგადოებრიობა მსჯავრდებულთა ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებაში, ხელი შეუწყოს თავისუფლების აღკვეთის, გასახლებისა და გადასახლების ადგილებიდან გათავისუფლებულ პირთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში დროულად ჩაბმას და მათ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას; ამასთანავე ქმედითი კონტროლი გაუწიოს ამ პირებთან შემდგომ აღმზრდელობით მუშაობას.

ამ ამოცანების გასახორციელებლად სამეთვალყურეო კომისიას, დებულების შესაბამისად, უფლება აქვს ინახულოს ყოველ დროს მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული თავისუფლების აღკვეთის ადგილები და ის ადგილები, სადაც დასახლებული არიან და მუშაობენ გასახლებულნი, ვადამდე პირობით გათავისუფლებულნი და ის პირები, რომლებსაც დადებული აქვთ სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან; შეამოწმონ მათი მუშაობა, მოსთხოვონ ადმინისტრაციას სათანადო დოკუმენტები და ცნობები, რაც საჭიროა კომისიის მუშაობისათვის, პირადად მიიღონ მსჯავრდებულები, ჩაატარონ მათთან ინდივიდუალური საუბრები, გაეცნონ მათ პირად საქმეებს,

მოსმინონ მათი საჩივრები, განცხადებები და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ ადგილებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; შეიტანონ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომში განსახილველად საკითხები, რომლებიც შეეხება შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობას, ამ დაწესებულებებიდან და აგრეთვე გადასახლების ადგილებიდან გათავისუფლებულ პირთა სამუშაოზე მოწყობას და იმ პირებთან აღმზრდელობით მუშაობას, რომლებიც გათავისუფლებული არიან სასჯელის მოხდისაგან და სხვ.

იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებმაც სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება, სამეთვალყურეო კომისიები უფლებამოსილი არიან, არსებული კანონების საფუძველზე აღძრან შუამდგომლობანი: მსჯავრდებულთა პატიების თაობაზე; ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე ან იმის შესახებ, რომ შეეცვალოთ მათ თავისუფლების აღკვეთა სასჯელის უფრო მსუბუქი ზომით, აგრეთვე დამატებითი სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ; იმ პირთა შესახებ, რომელთაც სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვთ პატიმრობა, რათა გადაყვანილი იქნან ეს პატიმრები სასჯელის შემდგომ მოსახდელად შრომა-გასწორების კოლონიებში; იმ პირთა ნასამართლობის ვადამდე მოხსნის შესახებ, რომლებიც გათავისუფლებული არიან სასჯელის მოხდის გამო ან ვადამდე პირობით.

დებულების შესაბამისად სამეთვალყურეო კომისიის წევრები, თავიანთი მოვალეობის შესრულებისას პასუხს აგებენ, როგორც თანამდებობის პირები.

ასეთია ძირითადად ის საპატიო ამოცანები და უფლებები, რომლებიც სამეთვალყურეო კომისიებს აქვთ მინიჭებული. მათი მონაწილეობა ამ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმიანობაში საბჭოთა დემოკრატიის ნათელი დადასტურებაა.

ეჭვი არ არის, რომ სამეთვალყურეო კომისიები გადაიქცევიან სერიოზულ საზოგადოებრივ ძალად სამართლის დამრღვევთა გამოსწორებასა და მათი ხელახალი აღზრდის საქმეში, რომ ამ კომისიების სწორი და მოქნილი მუშაობა ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, დანაშაულობათა სრულ ლიკვიდაციასა და მშრომელთა აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით.

* * *

გასული წლის 21—22 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოაწყო საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების თავმჯდომარეების თათბირ-სემინარი, რომელზეც განხილული იყო ამ კომისიების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები. მასში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ხელმძღვანელმა მუშაებმა.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ. თავის გამოსვლაში მან ილაპარაკა იმ დიდი ამო-

ცანების შესახებ, რომლებიც სამეთვალყურეო კომისიების წინაშე დასაბუთებლად
მსჯავრდებულთა ხელახალი აღზრდისა და პატიოსანი შრომითი ცხოვრებისა-
თვის მათი მომზადების საქმეში.

თათბირ-სემინარის მონაწილეთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით გა-
მოვიდნენ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის
მოადგილე ვ. ი. შადური, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებუ-
ლი იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მ. ყ. ლომიძე, რესპუბლიკის პროკუ-
რორის მოადგილე გ. ს. ბიწაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-
დიუმის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსა და რესპუბლიკის
პროკურატურის პასუხისმგებელი მუშაკები. თათბირ-სემინარის მონაწილენი
გაეცნენ დებულებას სამეთვალყურეო კომისიების შესახებ და სხვა სახელმძ-
ღვანელო დებულებებსა და ინსტრუქციებს.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა აზხ. ზ. ა. კვაჭაძემ.

დანაშაულის განმეორება, როგორც მკაცრი პირობის დამატება განმეორება

გ. ლეჟავა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების მსგავსად, დანაშაულის განმეორებით ჩადენას, რაც დანაშაულის მეტ სოციალურ საშიშროებაზე მიუთითებს, ორგვარ იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებს: 1. განმეორება, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ზოგადი გარემოება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად. ამ მუხლით „დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩადენილი აქვს რაიმე დანაშაული“, მიჩნეულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ისეთ გარემოებად, რომელიც პირველ რიგშია დასახელებული, და 2. განმეორება, როგორც დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის ელემენტი, ე. ი. როდესაც დანაშაულის ძირითად შემადგენლობასთან ერთად კანონმდებელი ითვალისწინებს შემადგენლობას ამ კვალიფიციური გარემოებით (განმეორებით).

დანაშაულის განმეორების ამ ორგვარ იურიდიულ მნიშვნელობიდან ორი სხვადასხვა პრაქტიკული შედეგი გამომდინარეობს. თუ პირველ შემთხვევაში სასამართლო მოცემულ კონკრეტულ დანაშაულის ჩადენისათვის კანონით დაწესებულ სასჯელის ფარგლებში მხედველობაში იღებს განმეორებას და კოდექსის ზოგადი ნაწილის (მისი 39-ე მუხლის) გამოყენებით ამძიმებს დანაშაულის პასუხისმგებლობას, მეორე შემთხვევაში მოცემულ კონკრეტული დანაშაულისათვის თვით კანონმდებელი ითვალისწინებს უფრო მძიმე სასჯელს განმეორების გამო და ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დამამძიმება კოდექსის ზოგადი ნაწილის მომარჯვებით არ ხდება.

დანაშაულის განმეორების პირველ იურიდიულ მნიშვნელობას მიეძღვნა უკრანალ „საბჭოთა სამართლის“ 1961 წელს დაბეჭდილი წერილი სათაურით: „დანაშაულის განმეორების საკითხები ახალ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“. ამ წერილის ავტორმა, გ. ტყეშელიაძემ, სავსებით საფუძვლიანად გააკრიტიკა პროფ. ა. ა. გერცენზონი, რომელიც ავითარებს იმ მკდარ მოსაზრებას, რომ დანაშაულის განმეორებას ადგილი აქვს „მაშინაც, როდესაც პირველი დანაშაულის ჩადენიდან გასულია ხანდაზმულობის ვადა, ან როდესაც პირი ნასამართლობის არმქონედ ითვლება“.

უნდა ითქვას, რომ ასეთი შეცდომები სასამართლო პრაქტიკაში, ჯერ კიდევ გვხვდება. სამწუხაროდ, მსგავს შეცდომებს ადგილი აქვს არა მარტო დანაშაულის განმეორების იმ მნიშვნელობის მიმართ, რომელსაც ჩვენ პირობითად პირველი ვუწოდეთ. ასეთი შეცდომები დაშვებულია აგრეთვე მაშინაც, როცა საქმე გვაქვს განმეორების მეორე იურიდიულ მნიშვნელობასთან. ხშირად განმეორებას დანაშაულის მაკვალიფიციურებელ გარემოებად თვლიან ისეთ შემთხვევებშიც, როცა ნასამართლობა ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის მოხსენილია

კანონით დადგენილი წესისამებრ ან გასულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები.

სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი თუმცა განმეორებას პირველ რიგში ასახელებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა შორის, მაგრამ განსხვავებით სხვა გარემოებათაგან იქვე მითითებულია, რომ „სასამართლოს უფლება აქვს არ მისცეს პირველ დანაშაულს მისი ხასიათის მიხედვით დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა“, ე. ი. მას ერთგვარად ფაქულტატიური მნიშვნელობა აქვს. ეს მაშინ, როცა სასამართლო უფლებამოსილი არ არის განმეორების ნიშნით კვალიფიცირებად არ ჩათვალოს დანაშაული, თუ კოდექსის შესატყვისი მუხლის დისპოზიცია ამას ითვალისწინებს.

ამის გამო კანონის აზრის სწორად გაგება იმ საკითხში, თუ როგორ უნდა გვესმოდეს განმეორების მნიშვნელობა დანაშაულის კვალიფიკაციისათვის, ჩვენი აზრით, უფრო აქტუალურია და ამაში შეცდომა უფრო სავალალოა, ვიდრე ის შეცდომა, თუ რა პირობებში აქვს დანაშაულის განმეორებას ზოგადად პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა.

დანაშაულის განმეორებით ჩადენის გამოსახატავად კოდექსი მხოლოდ ერთ გამოთქმას როდი იყენებს. ეს აზრი გადმოცემულია ისეთი გამოთქმებით როგორცაა: განმეორება, ასეთივე დანაშაულის ჩადენა ადრე, წინათ მსჯავრის დადება, წინათ გასამართლება, მოცემული დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტისაგან და სხვა. ყველა ეს გამოთქმები შეიძლება დაეყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ დანაშაულის ისეთი განმეორება, როცა ადრე ჩადენილ დანაშაულისათვის მსჯავრი არ დაუდვიათ, ხოლო მეორე ჯგუფი მოიცავს შემთხვევებს, როცა პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებული იყო.

დანაშაულის განმეორება მაკვალიფიცირებელია ზოგ შემთხვევაში მხოლოდ მაშინ, თუ ადრინდელ დანაშაულისათვის პირი უკვე იყო მსჯავრდებული, ხოლო ზოგ შემთხვევებში ამისათვის საკმარისია მხოლოდ ხელახლა ჩადენა გარკვეული დანაშაულისა, თუნდაც ადრე მსჯავრის დადებას არ ჰქონდეს ადგილი.

ასე მაგალითად: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებას მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით აკვალიფიცირებს ამ დანაშაულის განმეორება, თუნდაც არ ჰქონდეს ადგილი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრის დადებას (სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლი); განზრახ მკვლელობის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელია ნიშანია თუ დამნაშავეს „ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახ მკვლელობა“ (სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტი); გაუბატოტურების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია მისი ჩადენა „იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ასეთივე დანაშაული“ (სისხლის სამართლის კოდექსი 117-ე მუხლის II ნაწილი) და ა. შ. მეორეს მხრივ, სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება კვალიფიცირდება თუ დამნაშავე, „წინათ მსჯავრდებული იყო ქურდობისათვის“ (სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლი); ცილისწამება კვალიფიცირდება თუ იგი ჩადენილია „იმ პირის მიერ, რომელიც ადრე იყო მსჯავრდებული ცილისწამებისათვის“ (სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი); ხულიგნობის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია თუ ასეთი ჩადენილია „იმ პირის მიერ, რომელიც გასამართლებული იყო ხულიგნობისათვის“ (სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლი).

ასეთ შემთხვევაში კი, როცა დანაშაულის მაკვალიფიცირებელია მისი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს მეორე ჯგუფის მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან, რადგან დანაშაულის ასეთ სუბიექტს აუცილებელია ჰქონდეს ნასამართლობა ადრინდელი დანაშაულისათვის.

აქედან აშკარაა, რომ კანონი ძირითადად დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად ხდის მის ისეთ განმეორებას, როცა პირი ადრინდელ დანაშაულისათვის მსჯავრდებულია და ამ ღონისძიებით იგი გამოსწორებული ვერ იქნა. ასეთი პირი სოციალურად უფრო საშიშია, ვიდრე ის პირი, რომელსაც თუმცა ჩაუდენია ადრე ასეთივე დანაშაული, მაგრამ მას ჯერ არ განუცდია მართლმსაჯულების ზემოქმედება. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ კანონი უშვებს შემთხვევებს, როცა დანაშაულის მაკვალიფიცირებლად ხდება ისეთი განმეორება, როცა ადრინდელი დანაშაულისათვის მსჯავრის დადებას არ ჰქონია ადგილი. ეს უმეტესად ეხება ისეთ მძიმე დანაშაულთა კვალიფიკაციას, როგორცაა განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება და სხვ.

საკითხი იმის შესახებ, ნასამართლობის მოხსნა ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლა უკარგავს თუ არა განმეორებას დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ფაქტორის მნიშვნელობას, სადავოა ახალი კოდექსის შემოღებიდან დღემდე.


ზოგჯერ სასამართლოები თვლიან, რომ დანაშაულის განმეორება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ყოველთვის აკვალიფიცირებს დანაშაულს და აქ ნასამართლობის მოხსნას და ხანდაზმულობის ვადის გასვლას მნიშვნელობა არა აქვს. ეს გაგება უთუოდ მცდარია და იგი ნაყოფია დანაშაულის განმეორების გამომხატველი ზემოაღნიშნული გამოთქმების შინაარსის მექანიკური გაგებისა.

მართლმსაჯულების სწორად გატარების საქმეში ამ უსწორობის დანერგვას დიდად შეუწყობ ხელი იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულმა მცდარმა შეხედულებებმა მოცემული საკითხის შესახებ.

გარდა პროფ. ა. ა. გერცენზონისა, რომელმაც უსწოროდ გაიგო კანონმდებლის აზრი ამ საკითხში, ჩვენს პერიოდულ ლიტერატურაში მსგავსი მცდარი შეხედულება გამოთქვას სხვებმაც. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად, რაც შეესატყვისება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტს, განზრახ მკვლელობის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა მისი ჩადენა იმ პირისაგან, ვისაც წარსულში ჩაუდენია განზრახი მკვლელობა. მაგრამ ისმება კითხვა: აქარწყლებს თუ არა ადრინდელი ნასამართლობის მოხსნა განმეორების მაკვალიფიცირებელ გარემოების მნიშვნელობას?

ს. ბოროდინი ამ საკითხს უარყოფითად წყვეტს. იგი გამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ განსხვავებით რსფსრ-ს სისხლის სამართლის „ძველი“ კოდექსის 47-ე მუხლის „ვ“ პუნქტისაგან, რომელიც პირდაპირ შეიცავდა მითითებას: „გარდა შემთხვევებისა, როცა ეს პირი ითვლება ნასამართლობის არმქონედ“, რსფსრ-ს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 39-ე მუხლი მსგავს მითითებას არ შეიცავს, — ასევე, „ასეთ პირობებში სრული საფუძველია ჩავთვალოთ, რომ განზრახ მკვლელობის განმეორებით ჩამდენი პირის მიმართ რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ი“ პუნქტის მომარჯ-



ვების საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელობა არა აქვს ადრე ჩადენილი მკვლელობისათვის ნასამართლობის მოხსნას ან დაფარვას¹.

ჩვენის აზრით, ასეთივე მცდარი მოსაზრება გამოთქვა ი. კუჟარსკიმ გაუპატიურების შესახებ, მაგრამ სხვა დასაბუთებით. ამ ავტორის აზრით გაუპატიურების მაკვალიფიცირებელია განმეორება ისეთ შემთხვევაშიც, როცა პირს ადრინდელი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი აქვს კანონით დადგენილი წესით. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად იგი დასძენს, რომ საკითხის საწინააღმდეგოდ გავების შემთხვევაში, უადგილო იქნებოდა რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის II ნაწილში გაუპატიურების განმეორებით ჩადენის დასახელება ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ფაქტორად, რადგან ეს თავისთავად იქნებოდა ამავე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული იმის მხედველობაში მიღებით, რომ ასეთი პირი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს წარმოადგენს².

მიუხედავად ამ დასაბუთებათა მახვილგონიერებისა, კანონის ასეთი გავება მცდარია და მას მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლია მართლმსაჯულების სწორად გატარების საქმისათვის.

ნასამართლობის გაქარწყლება საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპთაგანია და ახალი სისხლის სამართლის კოდექსით მას არამცთუ მნიშვნელობა არ დაუკარგავს, პირიქით იგი კიდევ უფრო გაღრმავებულია და შეუძლებელია დაშვებულ იქნას მისი უგულებელყოფა განმეორების ნიშნით დანაშაულის კვალიფიკაციის თუნდაც ცალკეულ შემთხვევებში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელს არ მოუცია სისხლის სამართლის კანონის ისეთი კონსტრუქცია, რომელიც მნიშვნელობას დაუკარგავდა ნასამართლობის მოხსნას, კერძოდ, დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხში. მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით ნასამართლობის გაქარწყლება ნიშნავს, რომ მის მიმართ ადრე მსჯავრდადების სამართლებრივი შედეგები აღარ არსებობს, ეს პირი ნასამართლები არ არის, მას უფლება აქვს განაცხადოს, რომ სამართალში არ ყოფილა, ხოლო სასამართლო მოვალეა ნასამართლობა მოხსნილი პირის მიმართ განაჩენში არ მოიხსენიოს წარსული ნასამართლობის შესახებ.

ამ მოსაზრების სისწორეს ასაბუთებს თვით სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული ნორმები და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი.

საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, „პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობისათვის საფუძვლად არ შეიძლება ჩაითვალოს... ნასამართლობა, რომელიც მოხსნილია ან დაფარულია კანონით დადგენილი წესით“. განა ამით გასაგები არ არის, რომ კანონი ნასამართლობის გაქარწყლებას ჯეროვან მნიშვნელობას ანიჭებს?

„სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 31 მარტის დადგენილების მე-19 პუნქტის II ნაწილში მითითე-

¹ „Применение нового уголовного кодекса РСФСР по делам об убийствах“. Социалистическая законность“. № 9, 1961 г. გვ. 23.

² „Некоторые ошибки судебно-следственных органов по делам об изнасиловании“. „Советская юстиция“, № 1, 1963 г. გვ. 12.

ბულია: „გატაცება არ შეიძლება დაკვალიფიცირებული იქნეს როგორც განმეორებითი, თუ დამნაშავეს ნასამართლობა წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის მოხსნილი აქვს ამნისტიით ან პატიების წესით, ან უკეთეს იგი (ნასამართლობა) გაქარწყლებულია ან მოხსნილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე თუ გატაცების ჩადენის მომენტისათვის გასული იყო წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის დევნის ხანდაზმულობის ვადა“.¹

იგივე აზრია გატარებული „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ ზოგიერთი საკითხების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილების მე-11 პუნქტის II ნაწილში, სადაც ნათქვამია: „რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ი“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესატყვისი მუხლებით მკვლელობა არ შეიძლება კვალიფიცირებული იქნას, თუ დამნაშავეს ადრე ჩადენილ განზრახ მკვლელობისათვის მოხსნილი აქვს ნასამართლობა ამნისტიის ან შეწყნარების წესით ან დაფარულია და მოხსნილია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე თუ მკვლელობის ჩადენის მომენტისათვის გასულია სისხლის სამართლის დევნის ხანდაზმულობის ვადები ადრე ჩადენილ დანაშაულისათვის, გათვალისწინებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 41-ე მუხლით“.²

ნასამართლობის გაქარწყლების მნიშვნელობა ასევე განმარტა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილებაში „პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. კერძოდ, ამ განმარტების მე-7 პუნქტით „პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად აღიარება თავის სამართლებრივ ძალას ინარჩუნებს მხოლოდ იმ ნასამართლობათა მოხსნამდე თუ დაფარვამდე, რომლებიც გახდა საფუძველი ამისათვის“.³

პლენუმის ეს განმარტებანი, მიღებული სასამართლო პრაქტიკის მიერ ამ დანაშაულთა საქმეების განხილვისას დაშვებული შეცდომების გამო, თუმცა ზოგადი ხასიათისა არ არის, მაგრამ იგი მომარჯვებულ უნდა იქნას ყველა შემთხვევაში, ე. ი. დანაშაულის განმეორების ისეთ შემთხვევებში, როცა ადრინდელ დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილია კანონით დადგენილი წესით ან თუ ჩადენილ დანაშაულისათვის გასამართლებას არ ჰქონია ადგილი, თუ გასულია სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები.

ზემოთქმულიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ უკლებლივ ყველა შემთხვევაში, დანაშაულის განმეორება კარგავს მაკვალიფიცირებელი ვარემოების მნიშვნელობას, თუ გაქარწყლებულია ადრინდელი ნასამართლობა, ან მისი ჩადენიდან გასულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები.

¹ „საბჭოთა სამართალი“ № 4, 1962 წ. გვ. 64.

² „Советская юстиция“, № 17, 1963 წ. გვ. 27.

³ იქვე, გვ. 25.

მინორეების ვადღეუბნებთან შეუსრულებლობისას სოსიანისგუჩი ოკგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხისათვის

5. წერილები

სოციალისტური ორგანიზაციების ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას, რომლის მიხედვითაც ვალდებულებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის პირობად მიჩნეულია ბრალი ე. ი. ქონებრივი პასუხისმგებლობა წარმოიშობა მხოლოდ ბრალის (განზრახვის ან გაუფრთხილებლობის) არსებობის დროს (საფუძვლების 37-ე მუხლი).

ამ მეტად გარკვეული დებულების მიუხედავად სამოქალაქო სამართლის კოდექსების პროექტების შემუშავებისას ზოგიერთმა მეცნიერმა და პრაქტიკოსმა იურისტმა წამოაყენა მოთხოვნა, რათა კოდექსში ყოფილიყო მუხლი, რომლის მიხედვითაც მოვალე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოწვეულია მის მიმართ სხვა პირთა მიერ თავის ვალდებულებათა დარღვევით.

ამ ნორმის მომხრეები ცდილობენ სამოქალაქო სამართლის კოდექსში აღადგინონ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის 42-ე მუხლი, რომელიც საჯარო განხილვის შედეგად უარყოფილი იქნა და საფუძვლებში არ იქნა შეტანილი. ზემოხსენებული მოთხოვნა მის მომხრეებს ახლაც სადისკუსიოდ მიაჩნიათ, მაგრამ ეს მოთხოვნა მოკლებულია საფუძველს და ცხადია იგი გაზიარებული ვერ იქნება.

სამოქალაქო სამართლის კოდექსში ხსენებული ნორმის შეტანის მომხრეებს არ შეუძლიათ არ სცნონ, რომ ეს არის ბრალის პრინციპიდან გადახვევა, რომ ეს წარმოადგენს „პასუხისმგებლობის შემთხვევას სხვისი ბრალისათვის“.

თავის სტატიაში „პასუხისმგებლობის საერთო საწყისები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიხედვით“ ე. ა. ფლეიშიცი აღნიშნავს რა, რომ საფუძვლების თანახმად ვალდებულებათა შეუსრულებლობის პასუხისმგებლობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს ბრალი, ამასთანავე სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ საფუძვლებში არ არის აღდგენილი საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული პროექტის 42-ე მუხლი და მასში არ არის მითითება ბრალის პრინციპიდან გადახვევის შესახებ¹. იგი ამტკიცებს, რომ საფუძვლების მიერ უარყოფილ ამ ნორმას დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ ყოვლისა, კოოპერირებული მიწოდებებიდან გამომდინარე ურთიერთობისათვის. ე. ა. ფლეიშიცი მხარს უჭერს, რათა სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების მიზნით მიმწოდებლებმა პასუხი აგონ მყიდველების წინაშე მათი სუბმიწოდებლების უწყისეობის დროსაც, რადგან

ეს დებულება იურიდიულად დასაბუთებულია და ეკონომიურადაც წლების მანძილზე გამართლებული.

სამოქალაქო სამართლის კოდექსში შემოხსენებული ნორმის შეტანის მომხრეთა პოზიცია უახლოვდება კონცეფციას, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად მიიჩნევა მარტოოდენ ზარალის მიყენების ფაქტი (ზარალის მიყენების პრინციპი). ამ კონცეფციის მომხრეები არ არიან დანტერესებული ზიანის მიყენების შინაგანი (სუბიექტური) მიზეზებით.

საკითხი იმის შესახებ, უნდა მიეცეს თუ არა მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლის სფეროში ზარალის მიმყენებლის სუბიექტურ მდგომარეობას, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის თეორიაში თითქმის ყველაზე უფრო სადავო საკითხს წარმოადგენდა. წინააღმდეგ ბრალის პრინციპის მომხრეთა შეხედულებებისა, რომელნიც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად, გარდა ობიექტური გარემოებებისა, სთვლიან აგრეთვე სამართალდამრღვევის ბრალეულობას, ზარალის მიყენების პრინციპის მომხრენი პასუხისმგებლობას აკისრებენ მიმყენებელს დელიქტის შედეგისათვის ან ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის. ისინი მხოლოდ ერთით არიან დანტერესებულნი — არსებობს თუ არა გარეგანი ობიექტური მიზეზობრივი კავშირი სამართლის საწინააღმდეგო მოქმედებასა და წარმოქმნილ ზარალს შორის. თუ ასეთი კავშირი არსებობს, ამბობენ ისინი, შემდგომი გამორკვევა მიზეზების, რომლებმაც ზარალი გამოიწვიეს, უნდა შეწყვეტილი იქნეს. სასამართლოს მხოლოდ ისღა რჩება, შეამოწმოს ზარალის ოდენობა და დააკისროს უწყისიგრო კონტრაგენტს ან დელინქვენტს მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ამ თეორიის მომხრეთა არგუმენტაცია, როგორც გ. კ. მატვეევი სამართლიანად შენიშნავს, პრიმიტიულია და მიდის იქამდე, რომ „თუ ზარალის ფაქტიური მიმყენებელი ბრალის არ მქონეა სრულიადაც არ არის ამაში დამნაშავე დაზარალებული და ამიტომ ზარალის ფაქტიური მიმყენებელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.“¹

სოციალისტურ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის სუბიექტურ საფუძვლად ბრალის ცნობას საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაში ბევრი მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ, რომელნიც ირწმუნებიან, რომ სოციალისტურ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის საფუძვლად ბრალის პრინციპის აღიარებას თითქოს მიყვევართ მათი სამეურნეო მოღვაწეობის შედეგთა პასუხისმგებლობის შესუსტებამდე, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობამდე. მათი აზრით (ისევე როგორც ზარალის მიყენების პრინციპის მომხრეთა აზრით), ხელშეკრულებითი ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა უნდა ეყრდნობოდეს მის ობიექტურ საფუძვლებს, რაც შეეხება პასუხისმგებლობის სუბიექტურ საფუძველს, ასეთი მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. ეს თვალსაზრისი ამ უკანასკნელ წლებში უფრო გამოკვეთილად ჩამოაყალიბა ლ. ი. კარტუჟანსკიმ. ეყრდნობა რა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 19 დეკემბრის დადგენილებაში მოცემულ დებულებას — სამეურნეო ორგანოთა შორის ხელშეკრულებებში მიმწოდებელთა პასუხისმგებლობის რაიმე შეზღუდვის დაუშვებლობის შესახებ, იგი დაასკვნის, რომ ამით კატეგორიულ ფორმაშია გამოსახული ხელშეკრულების რეალობის პრინციპი. ასეთ პირობებში ხელშეკრულების ყოველგვარი შეუსრულებლობა ყოველთვის დაუშვებელია მოცუ-

¹ Г. К. Матвеев. „Вина в советском гражданском праве.“ изд. Киевского госуд. университета 1955. стр. 97—98.

ლობის, ვადების, ხარისხის და სხვათა მიხედვით და ამიტომ ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ არის დაკავშირებული ბრალთან დადებითი ან უარყოფითი აზრით¹.

მაგრამ ძნელი არ არის დავრწმუნდეთ ასეთი არგუმენტაციის უსაფუძვლობაში, რადგან აქ ერთმანეთშია არეული სამეურნეო ორგანიზაციათა შორის ხელშეკრულებითი ვალდებულებების რეალური შესრულება და მატერიალური პასუხისმგებლობა ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობისა.

საერთოდ ცნობილია, რომ როგორც სახელშეკრულებო ისე დელიქტური პასუხისმგებლობა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიხედვით ერთ და იმავე პრინციპს ემყარება. მათ შორის მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ ძირითადი ცნებები, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ როგორც სახელშეკრულებო, ისე ხელშეკრულების გარეშე პასუხისმგებლობის დადგენისას, საერთოს წარმოადგენენ.² ასეთ საერთო ცნებებს, როგორც ცნობილია, წარმოადგენენ: სამართალსაწინააღმდეგო მოქმედება (დელიქტი ან ხელშეკრულების დარღვევა), ამ მოქმედების საზიანო შედეგი, მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და შედეგს შორის და დელიქტენტის ან ხელშეკრულების დამრღვევის ბრალი³.

ის ავტორებიც კი, რომელნიც ხელშეკრულებათა მიმართ ადგენენ აუცილებელ წესს „ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრინციპიალური დაუშვებლობის შესახებ“, წინადადებას იძლეოდნენ დადგენილი ყოფილიყო მხოლოდ საერთო დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას „იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც შესრულების შეუძლებლობა იქმნება უწყისიერო მოვალის მუშაობაში რაიმე საწარმოო-ტექნიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო დეფექტების დამოუკიდებლად და როდესაც მას არ შეუძლია აიცილოს წარმოშობილი წინააღმდეგობანი, მიუხედავად მის მიერ, როგორც სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოს მიერ, გამოყენებული ყველა შესაძლებლობებისა“⁴.

სთვლიან რა სამოქალაქო სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის საფუძვლის სუბიექტურ ელემენტად სამართალდამრღვევის ბრალს, ბრალის პრინციპის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ ელემენტის გარეშე არ არსებობს სამოქალაქო სამართალდარღვევის შედგენილობა და მაშასადამე, არ არსებობს არც პასუხისმგებლობა⁵.

როგორც გ. კ. მატვევი აღნიშნავს იურიდიული პირი, ისე როგორც მოქალაქე, პასუხს აგებს სამართალდარღვევისათვის, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ, როდესაც დადგენილი იქნება, რომ ის მოქმედებდა (უმოქმედობას იჩენდა) არა მართლზომიერად, რომ მან მისი არამართლზომიერი მოქმედებით (უმოქმედობით) ზარალი მიაყენა სხვას, რომ მისი არამართლზომიერი მოქმედება (უმოქმედობა) იმყოფება ობიექტურად აუცილებელ კავშირში დამდგარ ზარალ-

¹ Л. И. Картужанский, Ответственность за исполнение договоров в социалистическом хозяйстве. „Вестник Ленинградского Университета 1950. № 5. стр. 105.

² М. М. Агарков, К вопросу о договорной ответственности. сб. „Вопросы советского гражданского права“, М. 1945, стр. 144.

³ ციტირებულია გ. კ. მატვევის მიხედვით.

⁴ А. В. Венедиктов, Договорная дисциплина в промышленности. 1935, стр. 175.

⁵ გ. კ. მატვევის ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

თან და რომ, ბოლოს მისი მოქმედება ბრალეულია, ე. ი. ჩადენილია განხრახვით ან გაუფრთხილებლობით. დამტკიცებას აღარ საჭიროებს საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში აღიარებული დებულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური სამოქალაქო სამართალი სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლის საკითხში თანმიმდევრულად ატარებს ბრალის პრინციპს. ბრალის პრინციპი საფუძვლად უდევს მთელ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც სახელმეკრულებოს, ისე დელიქტურს.¹

იმ ავტორებს, რომელნიც ბრალის პრინციპიდან გადახვევას მოითხოვენ, ავიწყლებათ, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხის მექანიკურ გადაწყვეტას ხშირად მიყვებათ სოციალისტურ საწარმოთა ეკონომიური ძლიერების, მათი სამეურნეო ანგარიშიანობის შესუსტებისავე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე ამხანაგი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი მიუთითებდა, რომ პროდუქციის გამოშვების გეგმები ყოველთვის არ არის შეთანხმებული მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების და კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმებთან, ხოლო მშენებლობის გეგმები — ფულად ასიგნებებთან, მატერიალურ ფონდებთან, მოწყობილობათა მიწოდებებთან.²

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმზე, შეეხორა ჩვენი საგეგმო ორგანოების საქმიანობის ნაკლოვანებებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ მრავალრიცხოვან ცვლილებათა და შესწორებათა პრაქტიკა, რაც გეგმაში შეაქვთ, ადასტურებს, რომ არის შემთხვევები, როცა ეს გეგმები არასაკმაოდ არის მოფიქრებული და დასაბუთებული. წარმოების და კაპიტალური მშენებლობის გეგმები სუსტად არის შეთანხმებული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმებთან. რაც შემთხვევებში ხელოვნურად ამცირებენ ნედლეულისა და მასალის ხარჯვის ნორმებს, რესურსებში შეაქვთ, ვთქვათ პირველ კვარტალისათვის მასალები და მოწყობილობანი გამოსაშვები ისეთ საწარმოების მიერ, რომელნიც მოქმედებაში შევლენ მესამე ან მეოთხე კვარტალში.³

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში გარჩეულ საქმეთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ზოგ შემთხვევაში სოციალისტურ ორგანიზაციათა მიერ მიწოდების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების მიზეზს წარმოადგენს სწორედ პროდუქციის გამოშვების გეგმების შეუთანხმებლობა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებთან. ამის შესახებ არა ერთი და ორი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა.

სადირექტივო ორგანოების განკარგულებით თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს დამატებით დაეშვა დავალება „საქტანსაცმელვაჭრობისათვის“ 1961 წლის მეოთხე კვარტალში 1.630 ათასი მანეთის თეთრეული ტრიკოტაჟის მიწოდების შესახებ. ეს დავალება მიცემული იქნა იმ ანგარიშით, რომ იმავე წლის 15 აგვისტოსათვის უნდა დამთავრებულიყო და ექსპლოატაციაში შეეყ-

¹ გ. კ. მატევეის დასახელებული ნ. შრომი, გვ. 207.

² Н. С. Хрущев. Отчет Центрального Комитета КПСС XXII съезду партии. Госполитиздат. Москва. 1961 г. стр. 66.

³ Доклад товарища Н. С. Хрущева на пленуме ЦК КПСС 19 ноября 1962 г. „Развитие „экономики СССР и партийное руководство народным хозяйством“.

ვანათ ამ კომბინატის ახალი ფაბრიკა. იმის გამო, რომ ფაბრიკის მშენებლობა მენარდე ორგანიზაციის მიერ დაუშვებლად ჭიანჭურდებოდა სატრიკოტაჟო კომბინატმა უარი განაცხადა „საქტანსაცმელვაჭრობასთან“ ხელშეკრულების დადებაზე, მაგრამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა თავისი 1961 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით აიძულა კომბინატი დაედო ხელშეკრულება (საქმე № 448 ს/დ). კომბინატი არა ერთხელ აყენებდა სათანადო ორგანოებში საკითხს ფაბრიკის მშენებლობის გაჭიანურების შესახებ. ფაქტიურად ფაბრიკა დამთავრდა და ექსპლოატაციაში შევიდა 1961 წლის 24 დეკემბერს და ცხადია კომბინატი დარჩენილ ექვს დღეში ასეთ დიდ დავალებას ვერ შეასრულებდა. მიუხედავად ამისა იმავე არბიტრაჟის 1962 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით (რომლისთვისაც ეს ყველაფერი კარგად იყო ცნობილი) კომბინატს გადახდა ჯარიმა 59866 მანეთის რაოდენობით ხსენებული მიწოდების შეუსრულებლობისათვის (საქმე № 1/2924).

სახელმწიფო არბიტრაჟის 1962 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე № 5/596) ცხაკაიას ხაოიანი მაულის ფაბრიკას საქართველოს საფეიქრო ნაწარმის ვაჭრობის სასარგებლოდ გადახდა ჯარიმა 38340 მანეთი, 1961 წლის მესამე კვარტალში პლუშის უკმარმიწოდებისათვის. ამ ფაბრიკას მესამე კვარტალში დაგეგმილი ეს პროდუქცია არ შეეძლო გამოეშვა, რადგან არ ქონდა შემღებ-გამომყვანი საამქრო, რომელიც ვერ იქნა დამთავრებული სათანადო იმპორტული მოწყობილობის მიუღებლობის გამო. ეს მოწყობილობა მან მიიღო მარტოდენ 1961 წლის მეოთხე კვარტალის ბოლოს.

იმავე არბიტრაჟის 1962 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე № 5/6228) თბილისის ჟაკარდის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას გადასახდელად დაეკისრა საქართველოს საფეიქრო ნაწარმის ვაჭრობის სასარგებლოდ 15142 მანეთი. ჯარიმა, 1961 წლის მესამე კვარტალში „დამასეს“ ქსოვილის უკმარმიწოდებისათვის, მაშინ როდესაც ამ ფაბრიკის მოწყობისათვის საჭირო იმპორტული საქსოვი დაზგები და დამხმარე ხელსაწყოები ინგლისის ფირმა „ბრიტიშ-ნორტონისაგან“ მიღებული იქნა მხოლოდ 1961 წლის დეკემბრის ბოლოს.

ასევე ხსენებულ არბიტრაჟის გადაწყვეტილებებით ექვს საქმეზე (№ 5/576, 5/577, 5/578, 5/580, 5/581) საქონსერვტრესტის ქარხნებს გადახდათ ჯარიმა 22466 მანეთი და 87 კაბ. 1961 წლის მესამე კვარტალში ბოსტნეულის კონსერვების უკმარმიწოდებისათვის, რისი მიზეზიც იყო ის, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი გვალვისა და მოუსავლიანობის გამო ვერ შესძლეს საქონსერვტრესტის ქარხნებზე ბოსტნეულის მიწოდება და ამ უკანასკნელებს კი ამ მიზეზით არ შეეძლოთ ბოსტნეულის კონსერვების მიწოდების ვეგმის შესრულება. ეს დადასტურებულია საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, სოფლის მეურნეობის და დამზადების სტატსამმართველოს მიერ გაცემული ცნობებით.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს არბიტრაჟის 1963 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ლითონ-მომარაგება-გასაღების სამმართველოს სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა ჯარიმა 44340 მანეთი, 1962 წლის მესამე კვარტალის ფონდის პროდუქციის უკმარმიწოდებისათვის, მაშინ როდესაც ქარხანას საგრძნობლად შემცირებული, თითქმის შეწყვეტილი ჰქონდა ელექტროენერჯის მიწოდება.

კიდევ მეტი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ამ შემთხვევებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხის ასეთი მექანიკური გადაწყვეტა და ჭარბების გადახდევინება, მაშინ როდესაც მოვალეთა ბრალი გამორიცხებულია, არამც თუ მიზანშეწონილია, არამედ არაფრით არ არის გამართლებული.

საარბიტრაჟო ორგანოების ვალდებულებაა ყოველმხრივ გამოარკვიონ სოციალისტურ ორგანიზაციათა მიერ მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების მიზეზები. ზოგ შემთხვევაში კი ეს ასე არ ხდება. ამის შესახებ სწორად აღნიშნავს ვ. პ. ეფიმოჩკინი, რომ უკმარმიწოდებისათვის ყოველმიზეზგარეშე პასუხისმგებლობის დამყარებას მივყევართ იქამდე, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ხშირად არ არკვევენ მიზეზებს და არ ლებულობენ ზომებს მათ ასაცილებლად, მაშინ როდესაც ეს შეადგენს მათ უმნიშვნელოდანს ამოცანას.¹

ე. მ. იაკოვლევა განიხილავს რა საკითხს იმის შესახებ, უარყოფით გავლენას მოახდენს თუ არა სახელშეკრულებო დისციპლინაზე მიმწოდებლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება უკმარმიწოდებისათვის ყველა შემთხვევაში, როდესაც იგი დაამტკიცებს მისი ბრალის არ არსებობას, საფუძვლიანად დასკვნის, რომ პირიქით ეს უფრო განამტკიცებს სახელშეკრულებო დისციპლინას, რადგან მიმწოდებელმა უნდა იცოდეს, რომ მისი პასუხისმგებლობა აუცილებელია თუ მან არ მიიღო ყველა საჭირო ზომები მიწოდების თავის დროზე შესრულებისათვის. მაგრამ თუ ყველა შესაძლებელი ზომები მისგან მიღებული იქნა და სათანადო შედეგი მიღწეული მაინც არ იქნა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მიმწოდებელი უკმარმიწოდების პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებული უნდა იქნას.²

საფუძველს მოკლებულია ზოგიერთის შიში იმის შესახებ, რომ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას მოვალე ხშირად თავს გაიმართლებს თავისი მიმწოდებლის უწესივრობით, რომელმაც მის მიმართ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი, მიმწოდებელი თავის მხრივ მისი მიმწოდებლების უწესივრობით და ასე შემდეგ და ამგვარად თითქოს შეიქმნებოდა „ურთიერთუპასუხისმგებლობა“. რ. ო. ხალფინა სამართლიანად შენიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში თუ არ არსებობს მოვალის ბრალი, ცხადია არსებობს სხვა პირების ბრალი. რომლებმაც განაპირობეს ვალდებულებათა დარღვევა და ამ პირთა ხარჯზე უნდა იქნას დაკმაყოფილებული კრედიტორის მოთხოვნა. არბიტრაჟმა ან სამედიატორო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ვინ არის სინამდვილეში დამნაშავე შეუსრულებელ ვალდებულებათა „ჯაჭვში“ და დააკისროს ნამდვილ დამნაშავეს მისი ბრალის გამო დარღვეულ ვალდებულების ყველა ქონებრივი შედეგი.³

¹ В. П. Ефимочкин, Вопросы работы государственного арбитража. Вопросы правового регулирования народного хозяйства, сб. статей под общей редакцией В. В. Лаптева, М., 1962. стр. 169.

² Е. М. Яковлева—„Ответственность за несвоевременное исполнение и неисполнение плановых обязательств.“ Душанбе—1962 г. стр. 123.

³ „Советская юстиция“, 18 сентябрь 1962 г. стр. 10—12 статья проф. Р. Халфиной „Исполнение обязательств по основам гражданского законодательства“.

ზემოთქმულს საჭიროა დავუმატოთ, რომ თუ საქმის განხილვისას არ დადგინდება ვალდებულ პირთა ბრალი, თუ დარღვევის მიზეზი შედგება ისეთი გარემოებისა, რომლის აცილება არ შეეძლო მოვალეს, ქონებრივი პასუხისმგებლობიდან იგი უნდა გათავისუფლდეს. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე მუხლი; მისი დაცვა სავალდებულოა და საჭირო, თუ არ გვინდა გადავაქციოთ საქმის გამარჩევი ორგანოები მექანიკურ, სანქციის დამშტამპველ ორგანოებად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოციალისტურ ორგანიზაციათა ურთიერთობაში ჯარიმის გადახდევინება არ უნდა წარმოადგენდეს თვითმიზანს, სანქციები გამოყენებული უნდა იქნეს როგორც „ეკონომიური ბერკეტი“ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაზე ზემოქმედებისათვის. ყოველგვარი ზედმეტად გადახდევინებული ჯარიმის თანხა ბორკავს სოციალისტური ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობას, ამცირებს მისი საბრუნავი სახსრების ფონდს.

ის გარემოება, რომ საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებათა დებულებები ითვალისწინებენ სათანადო სანქციებს ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, სრულიად არ ნიშნავს ყველა შემთხვევაში და ბრალის დამოუკიდებლად მათი გამოყენების აუცილებლობას. ცხადია არავის არა აქვს უფლება იდავოს, რომ სოციალისტური ორგანიზაციები ვალდებული არიან უზრუნველყონ პროდუქციის მიწოდების გეგმების და დავალებების უეჭველი შესრულება, რომ სახელმწიფო გეგმა მათთვის კანონია და რომ პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა წარმოადგენს სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევას (ამის შესახებ გარკვევით არის აღნიშნული პროდუქციის მიწოდების დებულების მე-2 და მე-6 მუხლებში), მაგრამ ეს იმას სრულიად არ ნიშნავს არ გამოვარკვიოთ და არ შევისწავლოთ მიწოდების ვალდებულებათა შეუსრულებლობის კონკრეტული გარემოებანი და მექანიკურად გადავჭრაოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საწარმო-ტექნიკური პროდუქციის მიწოდების დებულების მე-14 მუხლის თანახმად, მკაცრად იყო რეგლამენტირებული მხარეთა ვალდებულებანი — დაედოთ ხელშეკრულება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო გეგმის საფუძველზე და თუ მყიდველი დარწმუნდებოდა, რომ მას გამოყოფილი აქვს ზედმეტი ან არა საჭირო პროდუქცია, ვალდებული იყო განრიგის მიღებიდან 3 დღის ვადაში აღეძრა შუამდგომლობა პროდუქციის გამოყოფ ორგანიზაციის წინაშე პროდუქციის განაწილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ მისი შუამდგომლობა არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, ვალდებული იყო განრიგი მიეღო აუცილებელი შესრულებისათვის და გაეფორმებინა ხელშეკრულება. ეს დებულება ამჟამად რამდენადმე შეცვლილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 ივნისის № 648 დადგენილებით „საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის პროდუქციის მიწოდებაზე ხელშეკრულებათა დადების წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომლის მიხედვითაც საწარმოებს და ორგანიზაციებს, მათი სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცებისა და მატერიალურ და ფულადი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით უფლება მიეცათ უარი განაცხადონ მათთვის ზედ-

მეტად და არა საჭირო პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულების დადებამდე და ამ უარის შესახებ 10 დღის განმავლობაში აცნობონ მიმწოდებელს, ფონდის მფლობელს და განრიგის გამცემ ორგანოს.

სხვა ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში ან მოკავშირე რესპუბლიკებში აგრეთვე საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმების და დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენი კანონმდებლობა, როგორც ცნობილია, სანქციების გამოყენების გარდა სხვა ღონისძიებებსაც ითვალისწინებს. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლით ასეთის სისტემატური შეუსრულებლობისათვის სათანადო სასჯელია გათვალისწინებული ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირთა მიმართ.

როგორც ცნობილია „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში. ესე იგი ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“ (მუხ. 3). ეს პრინციპი სავსებით სამართლიანად განამტკიცეს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა და იგი ყოველგვარი გადახვევისა და ნიუანსების გარეშე უნდა იქნას გათვალისწინებული ჩვენს ახალ სამოქალაქო სამართლის კოდექსშიც.

სამოქალაქო სამართლის კოდექსში იმ ნორმის შეტანის აუცილებლობას, რომლის მიხედვითაც მოვალე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ მის მიმართ თავის მხრივ სხვა პირებმა არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი, ე. ა. ფლეიშიცი ასაბუთებს იმით, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მოვალის პასუხისმგებლობის არაერთ შემთხვევას ბრალის მიუხედავად. მაგალითად მას მოყავს საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების 59-ე და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების 57-ე მუხლები, რომელთა მიხედვით მიმწოდებელი პასუხს აგებს უკმარისობისათვის იმ შემთხვევაშიც თუ სატრანსპორტო ორგანიზაციამ, გადაზიდვის გეგმის დარღვევის შედეგად, არ მიაწოდა მას სატრანსპორტო საშუალებანი, რაც აუცილებელი იყო მიწოდების შესრულებისათვის. მაგრამ იგი თვითონვე არ უარყოფს, რომ ამ დებულების ეკონომიური გამართლება გამოკვლევას მოითხოვს რადგან, როგორც იგი სწორად აღნიშნავს, სატრანსპორტო ორგანიზაციის პასუხისმგებლობა გადაზიდვის გეგმების შეუსრულებლობისათვის გამოიხატება მცირე ოდენობის ჯარიმების გადახდაში, მაშინ როდესაც მიმწოდებელი, რომელიც ვერ ასრულებს ამ მიზეზით მიწოდების ვალდებულებას საგრძნობ ზარალს უნაზღაურებს მყიდველს.¹

მართლაც, მიწოდების დებულებათა ხსენებული მუხლები გადასინჯვას მოითხოვენ, რადგან ისინი ახლა უკვე აღარ შეესაბამებიან სოციალისტურ ორგანიზაციათა ეკონომიკის განვითარებას.

თვითელი საწარმო პასუხს უნდა აგებდეს მისი ბრალის საფუძველზე და ფარგლებში. ჩვენი ერთიანი სახალხო მეურნეობის ინტერესები მოითხოვენ ყოველმხრივ გამოვარკვით კონკრეტული დამანაშავენი მიწოდების ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და არავითარ შემთხვევაში არ დაეუშვათ სო-

¹ სმ. „Советское государство и право“ № 3, 1962 г. стр. 40—41.

ციალისტური ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხის ფორმალური დაწვეტა. ს. ნ. ბრატუსი მოხსენებაში „ახალი ეტაპი სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის განვითარებაში“ აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის საფუძვლად ვალდებულების დარღვევისას საერთო წესის მიხედვით ცნობილია ბრალი მოვალისა (როგორც ორგანიზაციის, ისე მოქალაქის), რომ მოვალის დისციპლინებულობა აიძულებს მას მიიღოს გადამჭრელი ზომები ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და ამასთან ერთად განსაზღვრავს პასუხისმგებლობის გონივრულ ფარგლებს.¹

ახლა, როცა პარტიისა და მთავრობის მთელი ღონისძიებანი მიმართულია სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის აყვავებისაკენ, სამეურნეო ანგარიშთანობის განმტკიცებისაკენ და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური მტკიცე ბაზის შექმნისაკენ, ბრალის პრინციპიდან გადახვევა სოციალისტურ ორგანიზაციათა ურთიერთობაში უნდა მინიმალურად განისაზღვროს, ბრალის პრინციპი აუცილებლად და თანმიმდევრულად უნდა იქნას გატარებული.

¹ см. Тезисы докладов научной сессии, посвященный Основам Гражд. Законодательства. Изд. Всесоюз. Инст. Юрид. Наук при министр. Юстиции РСФСР М.—1962, стр. 7.

აკვორები და მემკვიდრეები¹

აკვორის მემკვიდრეთა უფლების საკანონმდებლო

სრულყოფისათვის

დოც. ს. ჯორბენაძე

საბჭოთა კანონმდებლობა ყოველმხრივ იცავს ავტორის ინტერესებს. ავტორის გარანტირებული აქვს უფლება თავისუფლად და დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ნაწარმოები, გამოსცეს იგი საკუთარი სახელით, პირობითი სახელით (ფსევდონიმით) ან კიდევ სახელის აღუნიშნავად (ანონიმურად).

გამოსაქვეყნებლად ნაწარმოების გადაცემის მომენტს მარტოოდენ ავტორი ადგენს. ავტორი პირველი წყვეტს თუ რამდენადაა სრულყოფილი ნაწარმოები გამოცემისათვის. ავტორის შრომა უაღრესად სპეციფიკურია. ამიტომ სრულიად გაუმართლებელია ავტორის „დაჩქარება“ თუ ეს უკანასკნელი ნაწარმოების ხარისხზე, მის სრულყოფაზე მოქმედებს. როგორც ცნობილია, სერიოზული მხატვრული ტილოების შექმნა არა მხოლოდ დიდ და მომქანცველ შემოქმედებით შრომას თხოულობს, არამედ ხანგრძლივ დროსაც. არ შეიძლება ავტორს განუესაზღვროთ დროის მკაცრი რეგლამენტი. მართალია, ნორმატიულად დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მოწესრიგებულია მხატვრული ნაწარმოებების მოზადება შეკვეთის გზით, მაგრამ ამას ერთი მიზანი აქვს: ნიჭიერ ავტორთა შემოკრება გამომცემლობასთან და შემოქმედებით შრომაში მათთვის აუცილებელი მხარდაჭერა. საბჭოთა კანონი პრინციპულად უარყოფს ბურჟუაზიულ გამომცემლობის პრაქტიკისათვის ცნობილ შემთხვევებს, როცა ისინი იძენენ გამოცემის უფლებას არა მარტო ავტორის უკვე დაწერილ ნაწარმოებებზე, არამედ იმაზეც რასაც ის მომავალში დასწერს. ჩვენ არ მივუთითებთ საყოველთაოდ ცნობილ მრავალ ფაქტზე, როცა ამგვარ კაბალურ ხელშეკრულებებს უმძიმეს მატერიალურ მდგომარეობაში ჩაუგდია ავტორები. ლიტერატურულ შეკვეთას საერთო არაფერი აქვს საბჭოთა ავტორის უფლებების შეზღუდვასთან. პირიქით, ის ავტორებზე საზოგადოების ზრუნვითაა ნაკარნახევი. ავტორს ამ ხელშეკრულებით საშუალება ეძლევა მიიღოს ავანსი გამოსაცემი ნაწარმოების ჰონორარის ანგარიშში. მას უფლება რჩება უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამას შედეგად შეიძლება მოჰყვეს დავა მარტოოდენ ავანსის დაბრუნების შესახებ.

საბჭოთა კანონმდებლობა განუხრელად იცავს ავტორის უფლებას — მოითხოვს ყველასაგან მისი ნაწარმოების ხელშეუხებლობას. ავტორთა უფლებების ფარგლები პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებითაა განსაზღვრული. საბჭოთა კანონმდებლობა უშვებს ავტორის თანხმობის გარეშე მისი ნაწარმოების გამოყენების ცალკეულ შემთხვევებს, თარგმნის თავისუფლებას, საავტორო უფლების გამოსყიდვის შესაძლებლობას. ასევე პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებითაა განსაზღვრული ავტორის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეთა უფლებამოსილება.

შესაძლებელია ავტორის მემკვიდრე გახდეს, მაგრამ არ შეიძლება ავტორი

¹ განხილვის წესით.

ვანდე მემკვიდრეობით. სწორედ ამიტომ გარდაცვლილი ავტორის მემკვიდრეებზე გადადის რიგი უფლებამოსილებისა, თუმცა ამითი ისინი როდი იძენენ ავტორობას.

* * *

საავტორო სამართლის წარმოშობიდან, რაც წიგნის ბეჭდვის გამოგონებით იწყება, მეტად მნიშვნელოვანია მემკვიდრეებზე უფლების გადასვლის მოწესრიგება.

რა მოცულობით უნდა გადადიოდეს მემკვიდრეებზე ავტორის უფლებები? ეს კითხვა დიდი ხანია აწუხებს საზოგადოებრიობას. „ლიტერატურული საკუთრების“ მემკვიდრეები ისე ხომ არ უნდა ექცეოდნენ გარდაცვლილი ავტორის შემოქმედებას, როგორც მის მიერ დატოვებულ საოჯახო ავეჯსა და მოწყობილობას? ბურჟუაზიულ სინამდვილეში ურიცხვი მაგალითებია იმისა, რომ საავტორო უფლებების არსებობას ხელი არ შეუშლია გამოჩენილი მწერალი შიმშილით მომკვდარიყო, ხოლო მისი გარაცვალების შემდეგ შვილებს ასევე ვაჭირვებაში ეცხოვრათ და მამების მემკვიდრეობა აუქციონზე გაეყიდათ.

გასაგებია, როცა წიგნის ბეჭდვა კერძო პირთა ხელშია, როცა შეიძლება „ლიტერატურული საკუთრების“ გაყიდვა, მას ადვილად ეუფლებიან მეწარმე-გამომცემლები და აღიარებული უფლებანი არსებითად გამომცემელთა პრივილეგიად იქცევა. მემკვიდრეობის ხანგრძლივობა მხოლოდ ხელს უწყობს ამას. შემთხვევითი როდია, რომ ბეჭდვის მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებანი დაჟინებით იბრძვიან საავტორო უფლების მემკვიდრეობის გახანგრძლივებისათვის. მათ ეს აწყობთ. ერთხელ ჩალის ფასად შექმნილი საავტორო უფლება შემდგომ დიდ პერიოდში (კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობაში 50 და მეტი წლითაა გათვალისწინებული საავტორო უფლების მემკვიდრეობა) მოგების უხვ წყაროდ იქცევა. მემკვიდრეები ყოველთვის ღირსეულად როდი აფასებენ გარდაცვლილი ავტორის შემოქმედებას. მემკვიდრეთა ბოროტი ნებით ხშირად მომხდარა, რომ ხელი შეშლია მხატვრული ნაწარმოების დროულ გამოცემას. ბევრი მეცნიერული აღმოჩენა საერთოდ დაკარგულა ისტორიისათვის.

ავტორის მემკვიდრეობის უფლების ბოროტად გამოყენების საზოგადოებრივად საშიშროების წინააღმდეგ მრავალჯერ აღუშალლებიათ ხმა.

1878 წელს ვიქტორ ჰიუგო საერთაშორისო ლიტერატურულ კონგრესზე მემკვიდრეთა უფლებების განსაზღვრისას მკვეთრად აყენებდა საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას: „ავტორი ჰქმნის წიგნს, — ამბობდა ჰიუგო, — საზოგადოება იწონებს, ანდა უარყოფს მას. წიგნის შემოქმედი ავტორია, მისი ბედისა კი — საზოგადოება. მემკვიდრე არ ქმნის წიგნს, მას არ შეუძლია ავტორის უფლებაზე ჰქონდეს პრეტენზია. მემკვიდრე არ ქმნის წიგნის წარმატებას. მას არ შეუძლია საზოგადოების უფლებაზე გააჩნდეს პრეტენზია“. ვიქტორ ჰიუგო არ კმაყოფილდება ამ ზოგადი დასკვნით. იგი კონკრეტულად მიუთითებს თუ რა დიდ ზიანს მოიტანდა მხოლოდ მემკვიდრეზე, რომ იყოს დამოკიდებული წიგნის გამოცემა. ამიტომაც „მემკვიდრეს არა აქვს უფლება რაიმე ამოშალოს, თუნდაც ერთი სტრიქონი მოსპოს, მას უფლება არა აქვს შეაჩეროს მისი გარდაცვლილი ნათესავის ნაწარმოების დაბეჭდვა, ანდა წიგნის ტირაჟი თუნდაც ერთი ეგზემპლარით შეამციროს“. ჰიუგო ერთადერთ უფლებას უტოვებდა მემკვიდრეებს: ეს იყო გამომცემულ ნაწარმოებზე ანაზ-



ლაურების ზომიერად მიღება შემოსავლის 5-დან 10 პროცენტამდე, მაგრამ არ უნდა გადაქცეულიყო დაბრკოლებად საზოგადოების უფლებებისათვის, წიგნის გავრცელების დაბრკოლებად“.

* * *

საბჭოთა სახელმწიფომ ოქტომბრის გამარჯვებისთანავე გამოამყლავნა თავისი პრინციპული დამოკიდებულება მემკვიდრეთა იმ უფლებებისადმი, რომლებიც კერძო გამომცემლების პოზიციებს აძლიერებდა. უკვე 1917 წლის 29 დეკემბრის დეკრეტი „სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ“ აღნიშნავდა რა წიგნზე შიშობის ქვეყანაში, განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე აყენებდა საკითხს ლიტერატურის კლასიკოსების იაფი სახალხო გამოცემის უზრუნველყოფის შესახებ. ხელახლა უნდა გამოცემულიყო იმ ავტორთა ნაწარმოებები, რომელთა საავტორო უფლების ვადები უკვე ამოიწურა. ამას გარდა, განათლების სახალხო კომისარიატს უფლება ჰქონდა ყოველი ავტორის, განსაკუთრებით ლიტერატურის კორიფეების ნაწარმოებზე გამოცხადებინა სახელმწიფო მონოპოლია ვადით ხუთ წლამდე. ამის მიხედვით 1918 წლის თებერვალში მონოპოლიზებულ იქნა 58 ცნობილი ავტორის ნაწარმოებები. ეს უფლება მალე გავრცელდა მთელ რიგ მუსიკალურ და სცენიურ ნაწარმოებებზე.

1918 წლის 26 ნოემბრის დეკრეტით „მეცნიერული, ლიტერატურული, მუსიკალური და მხატვრული ნაწარმოების სახელმწიფო კუთვნილებად ცნობის შესახებ“ განათლების სახალხო კომისარიატს შეეძლო მოეხდინა ყოველი ავტორის ნაწარმოების (გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი) ნაციონალიზაცია, ვის ხელშიც არ უნდა ყოფილიყო ისინი. ნაწარმოების ნაციონალიზაცია როდის იშინავდა ავტორებისა და მათი მემკვიდრეების ექსპროპრიაციას, როგორც ამას ამტკიცებდნენ ოციან წლებში. სინამდვილეში რევოლუციის დეკრეტები კაპიტალისტური გამომცემლების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს დეკრეტები აღიარებდნენ და იცავდნენ ავტორობას, აყენებდნენ მემკვიდრეთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი ავტორების და მათ მემკვიდრეთა უფლებების საკანონმდებლო ჩამოყალიბების პროცესში დამკვიდრებულ იქნა ისეთი შეზღუდვები, რომლებიც არ იყო ნაკარნახევი საბჭოთა საავტორო სამართლის განვითარების აუცილებლობით.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1925 წლის 30 იანვარს მიღებული საკავშირო კანონი „საავტორო სამართლის საფუძვლების შესახებ“. ამ აქტით საავტორო უფლების ზოგად ვადად დადგინდა 25 წელი. შეიზღუდა შესაბამისად მემკვიდრეთა უფლებებიც, თუ ნაწარმოების გამოცემიდან 25 წლის ვადაში გარდაიცვლებოდა ავტორი, მემკვიდრეებზე უფლებები გადადიოდა დარჩენილ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 15 წლისა. გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე მემკვიდრეების უფლება განსაზღვრული იყო მხოლოდ 15 წლით. ოცდახუთი წლის გასვლის შემდეგ, სიცოცხლეშივე ავტორისათვის უფლების წართმევა დიდ უხერხულობას ქმნიდა. ეს ბუნებრივია, სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. არ შეიძლება ამასთან დაკავშირებით არ მოვიყვანოთ ადგილები ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის მიერ ა. ვ. ლუნჩარსკისადმი 1925 წლის 9 აპრილს გაგზავნილ წერილიდან. იგი ზემოთ დასახლებული კანონის თაობაზე წერდა: „დიდი უსამართლობაა მშრომელი ადამიანის ძირითადი უფლებების წინააღმდეგ 25 წლიანი ვადის დადგენა თავისივე ლიტერატურულ შრომაზე საავტორო უფ-

ლებით სარგებლობისა. უფრო ადვილად შეიძლება ამ უფლებების მემკვიდრეობის მოსპობა, თუმცა ესეც მისი ყოვლად გაუმართლებელი, უადრესად მიძიმე შეზღუდვა იქნებოდა, ვიდრე წაართვა ცოცხალ მწერალს ის, რაც მისი პირადი შრომითა და ნიჭითაა შექმნილი და წაართვა სწორედ მაშინ, როცა მისი ძალები სუსტდება, როცა კლებულობს მისი ნაყოფიერება. სამართლიანია თუ არა ერთი ან ორი წლის შემდეგ წაართვა გორკის უფლება „ფსკერზე“ ანდა ცოცხალს, მაგრამ ჭლეით დაავადებულ ჩეხოვს უკვე ჩამოართვათ უფლება „თოლიაზე“, „სამ დაზე“ ანდა „ძია ვანოზე?“ თქვენ იცით რა მატერიალურ გაჭირვებაში მიმდინარეობდა ოსტროვსკის მთელი ცხოვრება. რა იქნებოდა მისთვის მოხუცებულობის წლებში, როცა იგი 7—8 სულს არჩენდა, წაგვერთმია უფლება იმ ნაწარმოებებზე, რომელიც მისი ახალგაზრდული გენიის მიერაა დაწერილი“. შემდეგ ა. ი. სუმბათაშვილი, როგორც დრამატურგი ეხება საკუთარ თავსაც და დასძენს: „მე ვკარგავ ყველა უფლებას ჩემს თითქმის 20 ბიესაზე, რომელიც 1901 წლამდეა დაწერილი, გარდა 2—3-ისა, რომელიც გვიანაა დაწერილი. რისთვის? რა სამართლებრივ საფუძველზე? და ვის სასარგებლოდ? რესპუბლიკის სასარგებლოდაც არა, არამედ ამა თუ იმ თეატრალურ მეწარმეთა სასარგებლოდ, იქნება ეს კოლექტივი თუ ინდივიდუალური პირები“. ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინი მიუთითებდა მწერლებისა და ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების საერთო უკმაყოფილებაზე. იგი თხოვლობდა შესაბამისი ცვლილებები შეეტანათ კანონში იმ სულისკვეთებით, რომ ავტორს ნაწარმოებზე უფლება სიკვდილამდე ჰქონოდა, ხოლო მემკვიდრეობის უფლება გაფართოებულიყო იმის მიუხედავად ავტორის სიკვდილამდემდე იმდენი ხნით ადრე იყო გამოცემული ესა თუ ის ნაწარმოები.

ა. სუმბათაშვილი-იუჟინის წერილს სათანადო რეაქცია მოჰყვა. უკვე 1925 წლის ივლისში „კურნალისტში“ განათლების სახალხო კომისარი ა. ვ. ლუნინარსკი წერდა იმის შესახებ, თუ რა მიძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ხანდაზმულ მწერლებს, რომლებსაც უკანასკნელ წლებში არ უწერიათ. საავტორო უფლების 25 წლიანი ვადა მართალია, კანონით დაუყოვნებლივ არ გაუქმებულა, მაგრამ 1928 წელს მიღებული საავტორო სამართლის ახალი საფუძველები უკვე აღიარებდნენ ავტორის უფლების არსებობას მის სიკვდილამდე. გამონაკლისები, როცა ზოგიერთ სახის ნაწარმოებზე საავტორო უფლება შეიძლება ავტორის სიცოცხლეშივე შეწყდეს, მხოლოდ ადასტურებენ იმ წესს, რომ ავტორის სიკვდილამდე გრძელდება მისი უფლებანი. მეტიც, საბჭოთა კანონმდებლობამ იცის ავტორის მემკვიდრეთა უფლებების გაგრძელების პრაქტიკაც. ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით უკრაინის სსრ საავტორო კანონმდებლობის მაგალითი. 1929 წლის უკრაინის საავტორო კანონის მე-15 მუხლი ითვალისწინებდა, რომ „იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკური ანდა კულტურული ჩაგვრის შედეგად რევოლუციამდელ ავტორს ანდა მის მემკვიდრეებს წართმეული ჰქონდათ საშუალება ესარგებლათ საავტორო უფლებით ამ მუხლში აღნიშნულ ვადაში, მემკვიდრეებზე ავტორის უფლებები შეიძლება გაგრძელებულ იქნეს. ვადის ამგვარი გაგრძელება შეიძლება განახორციელოს უკრაინის სსრ სახალხო კომისარტა საბჭომ, ყოველ ცალკეულ შემთხვევისათვის განსაკუთრებული დადგენილებით“. მართლაც, რამდენიმე გამოჩენილი უკრაინელი მწერლისა და კომპოზიტორის მემკვიდრეებს მთავრობის სპეციალური დადგენილებით გაუგრძელდათ საავტორო უფლება. ის ფულადი თანხები, რაც კოციუბინსკის

მემკვიდრეებს ერგებოდათ, ამ უკანასკნელთა სურვილის შესაბამისად მწერლის უკვდავსაყოფად იქნა გადარიცხული.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეებს გაუგრძელდათ საავტორო უფლების მემკვიდრეობა. საქართველოში ამჟამად მოქმედი საავტორო კანონის მე-18 მუხლით გარდაცვლილი ავტორის მემკვიდრეებზე უფლებამოსილებანი გადადის თხუთმეტი წლის განმავლობაში, ხოლო თუ ნაწარმოების სპეციფიკურობის გამო შემოკლებული ვადები არსებობდა (მაგალითად, ათი წლით განისაზღვრება საავტორო უფლების სარგებლობის ვადა ქორეოგრაფიული და საპანტომიმო ნაწარმოებზე, ხუთი წლით ცალკე ფოტოგრაფიულ და ფოტოგრაფისებური საშუალებებით დამზადებულ ნაწარმოებზე და ა. შ.) დარჩენილი ვადის ფარგლებში.

ავტორის მემკვიდრეთა უფლებების განმსაზღვრელ მოქმედ კანონმდებლობას მნიშვნელოვანი ხარვეზები და ნაკლოვანებანი ახლავს. ახლა რაცა ჩვენში დიდი მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაქმნელად საავტორო კანონმდებლობის სრულყოფისათვის მეტად ხელსაყრელი ვითარებაა შექმნილი.

უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს მემკვიდრეთა უფლებამოსილების ფარგლები. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმადაა უარყოფილი ის შეხედულება, თითქოს მემკვიდრეებზე სრულად გადადის ავტორის უფლებები. მაგრამ კანონმდებლობაში ზუსტად როდია განსაზღვრული ჰონორარის მიღების გარდა კიდევ რა უფლებები გადადის მემკვიდრეებზე. თუ საქმე ეხება ავტორობისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვას მემკვიდრეთა მიერ, საკითხავია, რატომ უნდა იყოს იგი განსაზღვრული ვთქვათ 15 წლის ვადით. ამასთან დაკავშირებით სრულიად გაუგებარია იმათი წინადადება ვინც ითვალისწინებს, რომ გარდაცვლილი ავტორის ცოცხალ მეუღლეს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ხოლო მის შვილებს სრულწლოვანების მიღწევამდე უნდა ჰქონდეთ საავტორო უფლება. თუ აქ მხედველობაშია ავტორის პირადი უფლებების დაცვა, განა შვილს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ეს უკეთესად არ შეეძლო განეხორციელებინა. ავტორების და ნაწარმოების ხელშეუხებლობას არანაკლები გულისყურით უნდა გავუფრთხილდეთ 15 წლის გასვლის შემდეგაც ავტორის გარდაცვალებიდან. გამოდის, რომ აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს მემკვიდრეებზე გარდაცვლილი ავტორის პირადი უფლებების გადასვლის მოცულობა. ამასთან ვათვალისწინებულები უნდა იქნეს, რომ მემკვიდრეობა მაქსიმალურად ხელს უწყობდეს ავტორის ნაწარმოების პროპაგანდას, საავტორო უფლების დაცვას.

კმაყოფიანე ყოფნის მუქთახორული ფსიქოლოგია, მემკვიდრის უფლების ბოროტად გამოყენება ხანდაზმული პროფესორის ახალგაზრდა ქვრივის მიერ საფელეტონო გამოჩაქისია. ამას გარდა უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ჩვენ მრავალი ქმედითი სამართლებრივი ღონისძიებებით შეგვიძლია ვიმოქმედოთ. ავტორის მემკვიდრეობის უფლებას ღრმა სოციალური შინაარსი და გამართლება აქვს. მისი გაუქმება, როგორც ამას ზოგიერთი გვთავაზობს, სერიოზულ ზიანს მოუტანდა საზოგადოებას. თავისთავად ყოველი უფლება შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული. ამის შიშით უფლებაზე უარის თქმა ნამდვილი გაუგებრობაა. აღიარებულ და დაცულ უფლებებისაგან უნდა განვასხვაოთ თვითნებობა. ამიტომაც აუცილებელია ავტორის მემკვიდ-

რეთა უფლების ფარგლების ზუსტად დადგენა. რა თქმა უნდა, ინტელექტუალური შრომის პროდუქტი არ შეიძლება მემკვიდრეობის ისეთივე ობიექტი იყოს, როგორც ჩვეულებრივი ავეჯი და ნივთი გარდაცვლილი ავტორისა. საესებით სამართლიანია საზოგადოებრივი აზრის პროტესტი იმ შემთხვევების წინააღმდეგ, როცა გარდაცვლილი მხატვრის ნაწარმოებებს მემკვიდრეები ინაწილებენ, როგორც ჩვეულებრივ საოჯახო ნივთებს. სპეციალურად უნდა განისაზღვროს ამგვარი ქმედობის დაუშვებლობა.

დიდმნიშვნელოვანია ავტორთა მემკვიდრეების წრის დადგენა. საბჭოთა კანონმდებლობით მემკვიდრეებად მეუღლეს გარდა მარტო ახლო ნათესავები (მშობლები, შვილები, დები და ძმები) როდი ითვლებიან. ამით გარდა, მემკვიდრენი არიან შრომისუუნარო პირები, რომლებიც „გარდაცვლილის კმაყოფიანე იყვნენ სულ ცოტა ერთ წელიწადს სიკვდილამდე“. ამგვარ მემკვიდრეებად სულ ადვილად შეიძლება აღმოჩნდნენ პირები, რომლებსაც არა მარტო შორეული დამოკიდებულებაც არ ექნებათ გადარჩენილი ავტორის შემოქმედებასთან, არამედ მათ ხელში ავტორის ზოგიერთი უფლების გადასვლა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა საავტორო უფლების სწორ გამოყენებას. ამიტომ აუცილებელია საზოგადოდ კანონით დადგენილ მემკვიდრეთა წრისაგან განვსხვავოთ გარდაცვლილ ავტორთა შესაძლებელი მემკვიდრეები. ეს უნდა გაკეთდეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიღებასთან ერთად.

თავისთავად ნათესაური სიახლოვე როდია საქმარისი, რომ გარდაცვლილი ავტორის ინტერესები მთელი სისრულით იქნეს დაცული. მეტად იშვიათია ის იდეალური სიტუაცია, როცა შვილი მამის შემოქმედებითი მემკვიდრეცაა. ამ ვითარებაშიც კი არ არის სრული გარანტია მამისეული „შემოქმედებითი სულის“ გაგრძელებისა. მაგალითად, ბელეტრისტი მამის ნაწარმოების გადაკეთება დრამატულად შეიძლება დრამატურგ შვილზე არანაკლებ ნიჭიერად გააკეთოს გარეშე პირმა. მართლაც, ხელოვნებისა და ლიტერატურის რამდენი ნაწარმოები დაიკარგებოდა კაცობრიობისათვის, რომ „სისხლით ნათესავებს“, გარდა „სულიერი“ ნათესავები არ არსებულებიყვნენ. განსაკუთრებით დიდად დაზარალებოდა მსოფლიო საოპერო ხელოვნება. რამდენი შემთხვევაა მუსიკის ისტორიიდან, როცა მხოლოდ სულიერი ძმებისა და შვილების წყალობით მიუღია ოპერას დასრულებული სახე. მარტოდენ მემკვიდრეების ნებაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული მათი ბედი, ისინი ვერასდროს ვერ იქცეოდნენ ხელოვნების სრულყოფილ ნაწარმოებად.

კომპოზიტორ მეიერბერს დაუბეჭდავი და დაუმთავრებელი ნაწარმოებების დიდი რაოდენობა დარჩა. თავის ანდერძში ის წერდა: „ვთხოვ ცოლსა და შვილებს, წმინდა სიყვარულის ნიშნად, პატივი სცენ ჩემს უკანასკნელ ნებას და უარი თქვან საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანონ ჩემი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები“. მეიერბერი მხოლოდ ერთ შემთხვევაში უშვებდა ამ ნაწარმოებების გამოქვეყნებას. ეს მამინ თუკი მის შვილიშვილებიდან ერთ-ერთს აღმოაჩნდებოდა მუსიკალური ნიჭი. თუკი ეს არ მოხდებოდა შეკრებილი ხელთნაწერები უნდა გაენადგურებინათ. მეიერბერის დაუმთავრებელი ოპერა „გოეთეს ახალგაზრდობასაც“ მოსპობა ემუქრებოდა. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ამავე სახელწოდების დრამის ავტორმა ბლაზ-დე-ბიურიმ. საქმე საფრანგეთის სამართლოში იხილებოდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. მემკვიდრეების დამცველი კრემიე შემდეგნაირად ამშვიდებდა საზოგადოებას: „შეიძლება დადგესდრო, როცა მეიერბერის შვილიშვილებიდან ერთ-ერთს აღმოაჩნ-

დება მუსიკალური ნიჭი და მაშინ ეს სკივრი მის საკუთრებაში გადავა და ეს მემკვიდრეობითი შემოქმედება საზოგადოების კუთვნილებად იქცევა“. მეირბერის შვილიშვილებს მუსიკალური ნიჭი არ აღმოაჩნდათ. საბოლოოდ დაიკარგა მუსიკის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

გარდაცვლილი ავტორის ნება ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული, მაგრამ თუკი ეს ავტორის შემოქმედების სრულ სურათს ვერ წარმოგვიდგენდა, მაშინ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზოგადოებრივი დაინტერესება იმ ინტელექტუალური მემკვიდრეობით.

ახალი საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა, რომელიც სამოქმედოდ შემოღებული იქნა 1962 წლის პირველ მაისიდან, დიდად აფართოებს ანდერძით მემკვიდრეობას. ჩვენის ღრმა რწმენით ავტორს უნდა მიეცეს შეუზღუდავი უფლება არა მარტო მიუთითოს გარეშე პირზე (არა მემკვიდრეზე), რომელსაც ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვა დაევალებოდა, არამედ მასვე დააკისროს „ლიტერატურული ანდერძის“ შესრულება. ამ ურთიერთობაზე არ უნდა გავრცელდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 119-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც არასრულწლოვან და შრომისუუნარო პირველი რიგის მემკვიდრეებისათვის ითვალისწინებს სავალდებულო წილს სამკვიდრო ქონების სულ ცოტა ორი მესამედისა, თუნდაც რომ შეანდერძე ამას არ უშვებდეს. საავტორო უფლების მემკვიდრეობა მხოლოდ ქონებრივ უფლებების გადასვლას როდი ნიშნავს. ამიტომაც უნდა გამოიყოს ავტორის უფლება ანდერძით გადასცეს თავისი პირადი უფლება-მოსილება მის შემოქმედებასთან ახლოს მყოფ კომპეტენტურ პირს, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება გარდაცვლილთან არავითარ ნათესაურ კავშირში არ იყოს.

როცა მემკვიდრეთა უფლებებს ვსაზღვრავთ უნდა განვასხვაოთ მათი უფლება გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე. გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე მემკვიდრეთა ვადის დადგენის მომენტს აგრეთვე ნორმატული მოწესრიგება ესაჭიროება.

დაუბეჭდავ ნაწარმოებებზე მსჯელობისას არ შეიძლება არ შევეხოთ იმ წერილების გამოქვეყნების ბედს, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა და რომელზეც არ არსებობს გამოქვეყნების ავტორისეული ვეტო.

ყველა წერილი, რომელიც ავტორს დაჩნა უნდა გამოქვეყნდეს თუ არა, ვთქვათ, მისი ნაწარმოებების სრული გამოცემის ღროს? გარდაცვლილი ავტორის ცხოვრების ინტიმური მხარეც უნდა იყოს თუ არა ცნობილი საზოგადოებისათვის? ეს კითხვები სრულიად საპირისპირო პასუხს პოულობს სხვადასხვა ავტორთან.

ი. ა. გონჩაროვი 1889 წელს სტატიაში „ნების დარღვევა“ ეხება გარდაცვლილ ავტორთა კერძო წერილების გამოქვეყნების საკითხს.

არის ავტორის კერძო წერილები, თემებზე, რომელზედაც მას არ სურს ხმამაღლა მოგვითხროს, მაგრამ ვერც კი მოასწრებს ავტორი თვალის დახუჭვას, რომ მისი ევრეთ წოდებული „მეგობრები“ ესწრაფვიან მისი წერილების ძებნას, კრებენ მათ, წესრიგში მოჰყავთ, ბეჭდავენ და ნათქვამი „წუთიერი უკმაყოფილების, წარმავალი გულფიცხობის ანდა, თუნდაც მხიარული განწყობილების გავლენით, უცბად ყოველივე ეს ექოს პოულობს, გადაეცემა თითქოსდა ტელეფონით ყველას გასაგონად, მიღის თაობებში“, მაშინ როცა არის

კერძო ცხოვრების ისეთი კუნჭულები, რომლებშიც არ უნდა იჭრებოდეს საზოგადოების ყურადღება. კერძო ცხოვრების უაღრესად ინტიმური სფერო თავის საფარველს თხოულობს.

ი. ა. გონჩაროვის ამ მტკიცებაში ჭეშმარიტების ბევრი მარცვალია. მრავალი შემთხვევაა, როცა მეგობარ ქალისადმი, ანდა თუნდაც მეუღლისადმი გაგზავნილ წერილებში გამოჩენილი ავტორი გულუბრყვილო უშუალობით თავის ალერსსა და სიყვარულს გამოხატავს, მაგრამ ყოველთვის ეს როდი შეიძლება საზოგადოებრივი დაინტერესების საგანი იყოს. მეტიც, ამან განსაზღვრული უხერხულებაც კი შეიძლება შექმნას.

როცა ა. პ. ჩეხოვის მეუღლემ, ცნობილმა მსახიობმა კნებერ-ჩეხოვამ ქმრის მიერ გამოგზავნილი უაღრესად ინტიმური წერილები გამოაქვეყნა, ამან რუსული საბჭოთა ინტელიგენციის წრეებში სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო სრულიად საფუძვლიანად წერდა: „არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს იმაში, რომ ჩეხოვს რომ სცოდნოდა ცოლისადმი მისი წერილები, უაღრესად ინტიმური, დაიბეჭდებოდა, მაშინ შესაძლებელია ოთხმოცდაათ პროცენტს იმათგან არც კი დაწერდა“.

ავტორის კერძო წერილი, რომელიც მას არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონდა გამიზნული დასაბეჭდად, ყოველთვის როდი გვეხმარება იმისათვის, რომ მის შემოქმედებაზე სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ. მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ ი. ა. გონჩაროვის უკიდურეს დასკვნას, რომ მხოლოდ ის წერილი შეიძლება გამოქვეყნდეს, რომელზეც ავტორის ნებართვაა. დანარჩენი კი დაცულ იქნეს „ლიტერატურული არქეოლოგების“ შემოსევისაგან და ადრესატის გარდაცვალების შემდეგ მოისპოს. ამ მოთხოვნის განხორციელება (ი. ა. გონჩაროვი ამასვე თხოულობდა მისი გამოუქვეყნებელი ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართაც) თავის მხრივ დიდ ზიანს მოუტანდა გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედებითი ცხოვრების შესწავლას. არა მარტო ავტორისეული ვარიანტები, ფრაგმენტები და ესკიზები ე. ი. არა მარტო ის, რაც ავტორის შემოქმედებით ლაბორატორიას შეადგენს, არამედ კერძო წერილებიც შეიძლება მეტად დიდ როლს თამაშობდნენ მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტების დადგენაში, გარდა იმისა, რომ მათ, ამ წერილებს ღრმა ესთეტიკური ღირებულებაც შეიძლება გააჩნდეს. მაგალითად, დიდი ინტერესით იკითხება ილიას რამდენიმე ათეული წერილი გაგზავნილი თავის საცოლესა და შემდეგ მეუღლისადმი — ოღლა გურამიშვილისადმი, რომელიც ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის მეათე ტომშია შეტანილი. ამასთან ერთად სავესებით სწორად მიგვაჩინა პავლე ინგოროყვას დასკვნა, რომ „ჩვენ არ დავინახეთ საჭიროდ შეგვეტანა აქ წერილები და ბარათები საოჯახო-სამეურნეო ხასიათისა და სხვა უმნიშვნელო წერილები, რომლებიც არ წარმოადგენენ საზოგადოებრივ ინტერესს და არც რაიმეს იძლევიან ილიას ბიოგრაფიისათვის“¹. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის გაუგებარია რა მოსაზრებით არ შეიტანა პატივცემულმა მკვლევარმა ილიას წერილი სემინარიის რექტორ არქიმანდრიტ სერაფიმესადმი. წერილი, რომელიც ერის ინტერესების დაცვის უბრწყინვალესი დოკუმენტია, უნდა შესულიყო ილიას მიმოწერებისადმი მიძღვნილ თხზულებათა ხრული კრებულის X ტომში.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, გვ. 555.

გარდაცვლილი ავტორების კერძო წერილების გამოქვეყნების საკანონმდებლო მოწესრიგება უადრესად საჭირო საქმეა. ამ წერილების გამოქვეყნებას მართო ადრესატი და მემკვიდრე კი არ უნდა სწყყეტდეს, არამედ ყოველ აუცილებელ შემთხვევაში, როცა ეჭვი აღიძვრის კერძო წერილების გამოქვეყნების მიზანშეწონილობაზე, საჭირო უნდა იყოს იმ ორგანიზაციის დასკვნა, რომელსაც ავტორის ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვის ფუნქცია აკისრია.

მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები წარმოიშობა ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისი უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოების ხელახლა გამოცემასთან დაკავშირებით. მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობით ავტორის სიკვდილის შემდეგ და საავტორო უფლების მოქმედების ვადის გასვლამდე გამომცემელს უფლება არა აქვს ავტორის მემკვიდრეთა თანხმობის გარეშე შეიტანოს რაიმე დამატება, შემოკლება ან ცვლილება თვით ნაწარმოებში, მის სათაურში, ან ავტორის სახელის აღნიშვნაში და აგრეთვე დაურთოს ნაწარმოებს ილუსტრაციები. ამ ნორმის მიზანშეწონილობა სერიოზულ ეჭვს იწვევს. მემკვიდრეებთან თანხმობა გარდაცვლილი ავტორის ნაწარმოების შესწორებაზე, დამატებაზე, შემოკლებაზე ან სხვანაირ ცვლილებაზე როდი წარმოადგენს ნამდვილ გარანტიას იმისა, რომ ნაწარმოების ხელშეუხებლობა საუკეთესოდ იქნება დაცული. დაუშვებელია გარდაცვლილი ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებში ხდებოდეს რაიმე მნიშვნელოვანი (ტექნიკურსა და კორექტურულს გარდა) ცვლილებების შეტანა, თუნდაც რომ მემკვიდრე თვითონ იყოს გამოჩენილი მწერალი თუ დრამატურგი. მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსების გამოცემის თაობაზე არსებული ნორმატული აქტები სავალდებულო უნდა იყოს ყოველი გარდაცვლილი შემოქმედის მხატვრული ნაწარმოების გამოცემაზე. როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანადაა გამოცხადებული მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსების გამოცემა და ამ მიზნით ნამდვილი ავტორისეული ტექსტის დადგენა თანამედროვე ტექსტოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის მოთხოვნილებების შესაბამისად. ამასთან ნამდვილ ავტორისეულ ტექსტად იგულისხმება, როგორც წესი, ავტორის სიცოცხლეში გამოსული უკანასკნელი გამოცემა. საქმე ეხება არა, ქრონოლოგიურად უკანასკნელ გამოცემას, არამედ იმ გამოცემებს, რომელშიც ავტორი თვითონ ღებულობდა მონაწილეობას, ანდა რომლის გამოცემა ცნობილი და მოწონებული იყო ავტორის მიერ. ამ ტექსტების გამოცემაში მიიწვევიან შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ანდა კვალიფიციურ ტექსტოლოგები და ლიტერატურათმცოდნეები. ყოველი შემთხვევა ავტორისეული ტექსტიდან გადახვევისა, ისე, როგორც ამის საფუძველი, აღნუსხულ უნდა იქნეს თვითეულ ნაწარმოებზე დართულ სპეციალურ ცნობარში და დამტკიცებული იქნეს ტექსტოლოგიური კომისიის მიერ. რთული და სადავო საკითხების წარმოშობისას ტექსტის ნამდვილობის დადგენის თაობაზე სპეციალურმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ანდა საგანგებო ტექსტოლოგიურ კომისიებმა უნდა გადაწყვიტონ პრობლემა.

გარდაცვლილი ავტორის ნაწარმოებებში ცვლილებების შეტანა, როგორც აღვნიშნეთ, არ შეიძლება ავტორალთ მხოლოდ მეცნიერებისა და ლიტერატურის კლასიკოსების მიმართ. იგი საყოველთაო ხასიათის უნდა იყოს. ამასთან ყოველ გონიერ წესს გონიერი გამონაკლისი შეიძლება ახლდეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს უპირველესად იმ მეცნიერთა გამოკვლევები, განსაკუთრე-

ბით კი სახელმძღვანელოების სახით, რომლებიც ხელახალი გამოცემისას სახელმძღვანელო მასალით შეკრებას თხოულობენ. სხვანაირად მათი გამოცემა მიზანშეუწონელი იქნებოდა. რა თქმა უნდა არ არის გამორიცხული შემთხვევა, რომ მემკვიდრეთა შორის აღმოჩნდება სპეციალისტი, რომელიც შესაბამის შესწორებებს შეიტანს მეცნიერულ გამოცემაში.

მაშასადამე, იმ დროს, როცა, ვთქვათ გარდაცვლილი ავტორის სახელმძღვანელოს გამოცემა სასარგებლო საქმეა, კულტურის სამინისტროს, ან სხვა კომპეტენტური ორგანოს ნებართვით, თვით მემკვიდრეთა ნების წინააღმდეგაც, ამგვარ ნაწარმოებებში შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებანი. რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ყველაზე აუცილებელი ცვლილებანი. ცვლილებების ხასიათი შეიძლება სრულიად სხვადასხვანაირი იყოს. იგი შეიძლება გამოიხატოს ციფრობრივი მონაცემების შევსებაში, შეიძლება მას რედაქტორული ცვლილებების ხასიათი ჰქონდეს, ხოლო თუკი პირი მნიშვნელოვან შემოქმედებით ცვლილებებსაც შეიტანს, მაშინ დაისმის საკითხი მისი თანავტორობისა. გარდაცვლილი ავტორის სახელმძღვანელოში ან გამოკვლევაში ცვლილებების შეტანა თუკი მას აუცილებლობიდან და მიზანშეუწონილობიდან გამომდინარე გონივრულად გვაკეთებთ, მხოლოდ სარგებლობას მოგვიტანს. რად ღირს თუნდაც იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედა-ენის“ მაგალითი, რომელიც მასში შეტანილი აუცილებელი და მიზანშეუწონილი ცვლილებების შემდეგ ასე ახლობელი გახდა თანამედროვეობისათვის.

როგორც ვხედავთ, საჭიროა საკანონმდებლო წესით მოწესრიგდეს ავტორის მემკვიდრეთა უფლებამოსილების შინაარსი. სრულიად გაუმართლებელია მემკვიდრეთათვის ავტორის ნაწარმოებებში ცვლილებების შეტანის ფართო უფლების მიცემა გარდაცვალებიდან 15 წლის მანძილზე და შემდეგ მისი აკრძალვა. კანონმდებელს აქ უპირველესად მემკვიდრეებისათვის ჰონორარის მიცემის რეგულირება ჰქონდა მხედველობაში და არა სხვა უფლებები. სწორედ ამით არის ნაკარნახევი ის, რომ ზოგიერთი სახის (ქორეოგრაფიულ, კინემატოგრაფიულ, ფოტოგრაფიულ) ნაწარმოებზე საავტორო უფლებას შემოკლებული ვადა აქვს თვით ავტორის სიცოცხლეში და მემკვიდრეებზე მისი გადასვლა ხდება მხოლოდ ავტორის მიერ გამოუყენებელი ვადის ფარგლებში. საავტორო უფლების შემოკლებული ვადა სათანადოდ დასაბუთებული როდია ჩვენს კანონმდებლობაში. არაფრით არ არის გამართლებული, მაგალითად, ჩვეულებრივ დრამატულ ნაწარმოებისაგან განსხვავებით კინოსცენარზე საავტორო უფლების ათწლიანი ვადის დადგენა. ავტორის სიცოცხლეში მის ნაწარმოებზე უფლებების შეზღუდვა სრულიად გაუმართლებელია, თუკი საქმე ეხება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს. ამ უფლებების დაცვის ინტერესებისათვის განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ მომავალ კანონმდებლობაში საავტორო უფლებების შემოკლებული ვადის დადგენისას.

მომავალმა კანონმდებლობამ ზუსტად უნდა განსაზღვროს მემკვიდრეებზე საავტორო უფლების გადასვლის ხასიათი. ხდება იგი ერთჯერად, ე. ი. უშუალოდ მის მემკვიდრეებზე და შემდეგ წყდება, თუ შეიძლება იგი გადავიდეს მემკვიდრეთა მემკვიდრეებზე.

მემკვიდრეთა უფლებების გარდა კანონმდებლობამ მათი მოვალეობანიც უნდა განსაზღვროს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება მემკვიდრეს ის დავაკისროთ, რაც განუყოფელია ავტორის პირადი უფლებებისაგან. მაგალითად, რომ მემ-

კვიდრემ დაამთავროს ლიტერატურული შეკვეთით დაწყებული ნაწარმოები (პოემა, სახელმძღვანელო და ა. შ.). თვითონ ავტორს კი უფლება აქვს დატოვოს ანდერძი, რომლითაც შეუძლია მემკვიდრეთაგან ერთ-ერთს, ანდა გარეშე პირს დაავალოს თავისი ნაწარმოების დამთავრება.

სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს საავტორო ურთიერთობის პრაქტიკაში მიღებული წესი, რომელიც არ ითვალისწინებს მემკვიდრეებისაგან გარდაცვლილი ავტორის მიერ მიღებული ავანსის უკან დაბრუნებას.

ავტორის მემკვიდრეთა უფლების ვადის ხანგრძლივობის გაგრძელების უფლება უნდა ჰქონდეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს. რასაკვირველია, ამასთან ერთად საჭიროა გავითვალისწინოთ მემკვიდრეთა მხრივ უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საშუალებები. ძირითადად ასეთ საშუალებად საბჭოთა კანონმდებლობაში გათვალისწინებულია საავტორო უფლების იძულებითი სახელმწიფოებრივი გამოსყიდვის წესი. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს იძულებით იქნას გამოსყიდული ყოველგვარი ნაწარმოები, რომელიც პირველად გამოიცა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ან რაც ამ ტერიტორიაზე არის ხელნაწერის და ესკიზის სახით ან სხვა რაიმე ფორმით. ამგვარი გამოსყიდვა ნაწარმოების გამოცემაზე, საჭირო შესრულებასა, ანდა მის სხვაგვარ გამოყენებაზე შეიძლება როგორც ავტორისაგან, ისე მისი მემკვიდრისაგან. ასეთი ჩამორთმევა უფლებისა ყოველთვის სასყიდლით ხდება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით შეიძლება უფლების ჩამორთმევა და ამავე დადგენილებით უნდა განისაზღვროს გასამრჩელოს ოდენობა. რა თქმა უნდა, ამგვარი იძულებითი გამოსყიდვა საგანგებო შემთხვევებში და მხოლოდ იმ ვითარებაში შეიძლება მოხდეს, როცა საზოგადოებრიობის ინტერესი ამას გარდუვალობით თხოულობს. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის პრაქტიკამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე არ იცის თუნდაც ერთი შემთხვევა ცოცხალი ავტორისაგან მისი უფლების იძულებითი გამოსყიდვისა. მემკვიდრეთაგან კი საავტორო უფლების გამოსყიდვა უაღრესად იშვიათი შემთხვევაა. საავტორო უფლების იძულებითი გამოსყიდვა უნდა განვიხილოთ სახელმწიფოზე უფლების გადასვლად ავტორის გარდაცვალებიდან არა მარტო 15 წლის განმავლობაში, არამედ ვადის განუსაზღვრელად.

საბჭოთა კანონმდებლობით, თუ ავტორის სიკვდილის შემდეგ კანონით ან ანდერძით მემკვიდრე არ აღმოჩნდება, საავტორო უფლება მოისპობა, შეწყდება. ამგვარი ნაწარმოებები შეიძლება აღბეჭდილი, გამოცემული, გავრცელებული და შესრულებული იქნეს ყველა პირის მიერ შეზღუდვის გარეშე. ძნელი არ არის იმისი მიხვედრა, რომ კანონის ეს ნორმა უაღრესად მოძველებულია და მისი შეცვლა ჩვენი განვითარების ახლანდელი მოთხოვნების შესაბამისი ნორმით აუცილებელია.

სავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ ისპობა მემკვიდრეთა ქონებრივი უფლებანი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ავტორების ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება დაუცველია და ვისაც როგორ მოესურვება ისე გამოიყენებს ამ ნაწარმოებს. არ კმარა ის გამოჩაქლისი, რაც დაშვებულია იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელიც სახელმწიფო კუთვნილებადაა აღიარებული. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ მათი რიცხვი უაღრესად მცირეა. ამას გა-

რდა არ არის რაიმე პრინციპული სხვაობა უფლებრივ რეჟიმში, რაც სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებულ და საავტორო ვადაგასულ ნაწარმოებებს შორის არსებობს. შეხედულება, რომ მხოლოდ იმ ნაწარმოებზე უნდა ვიცავდეთ ავტორის პირად უფლებებს, რომელიც სახელმწიფო კუთვნილებადაა გამოცხადებული, მცდარია და მიუღებელი. მეცნიერებისა და ლიტერატურის კლასიკოსთა უმრავლესობა არ არის გამოცხადებული სახელმწიფო კუთვნილებად. მათი განსაკუთრებული დაცვა არ შეიძლება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მთავრობის სპეციალურ დადგენილების გამოცემას დაეუკავშიროთ. სულ სხვა საკითხია მთავრობის სპეციალური დადგენილების მიღება, რომლითაც რომელიმე სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას დაეკისრება მეცნიერებისა და ლიტერატურის კლასიკოსის ნაწარმოებთა გამოცემის განსაკუთრებული უფლება.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში, მსგავსად სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა, მთავრდება სამოქალაქო სამართლის კოდექსის შემუშავება. მხოლოდ შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაების ფართო მონაწილეობით შეიძლება სრულყოფილი საავტორო კანონმდებლობის მიღება, რომელიც სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნაწილი იქნება.



საბჭოთა მილიციის დღეა



საბჭოთა ხალხის ერთგული გუშაგი

ა. ოსეფაიშვილი,

ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს
უფროსი.

საბჭოთა მილიციამ 10 ნოემბერს იხეი-
მა თავისი არსებობის 46-ე წლისთავი.
ჩვენი მილიცია დიდი ოქტომბრის თანა-
ტოლია, იგი დაიბადა საბჭოთა სახელმ-
წიფოსთან ერთად, მასთან განვლო გმი-
რული ბრძოლისა და სახელოვანი შრო-
მის გზა. მილიციის ორგანოების საქმიან-
ობის ისტორია არის სამშობლოსა
და ხალხისადმი თავდადებული სამსახუ-
რის ისტორია, რომელიც გასხვივოსნე-
ბულია სოციალისტური მართლწესრი-
ვის, მოქალაქეთა პირადი და ქონებრი-
ვი უშიშროების მამაცურად დაცვის
მრავალწლიანი ტრადიციებით.

სოციალისტური სახელმწიფოს ფუ-
ძემდებელი ვ. ი. ლენინი, ჯერ კიდევ,
1917 წლის მარტში წერდა: „საჭიროა
გვეავდეს სრულიად სახალხო მილიცია,
რომელიც უნდა გამოხატავდეს ხალხის
უდიდესი უმრავლესობის გონებას, ნე-
ბასურვილს, ძალასა და ხელისუფლე-
ბას“. ოქტომბრის რევოლუციის გამარ-
ჯვების პირველსავე დღეებში 1917
წლის 10 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა ხელი
მოაწერა დეკრეტს სახალხო მილიციის
შექმნის შესახებ.

პირველი შეიარაღებული მილიციელები
წითელი სამკლავურებით გამოჩნდნენ
პეტროგრადის ქუჩებში და ამის შემდეგ
ლურჯფარაჯიანი მილიციის მუშაკები
გამოჩენილი პოეტის ვ. მაიაკოვსკის
თქმით, როგორც „მშრომელთა ფარი,
დგანან თავის უცვლელ საგუშავოზე“.

ჩვენ სიამაყით ვიგონებთ, რომ
ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტის შე-
სასვლელთან სმოლნში, მილიციელები
იდგნენ საგუშავოზე.

მძიმე პირობებში უხდებოდა სახალ-
ხო მილიციის პირველ რაზმებსა და და-
ნაყოფებს რევოლუციური მართლწეს-
რივის დაცვა. ისინი ჯარისკაცებთან
მხარდამხარ ებრძოდნენ ახალგაზრდა
საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. სა-
ქართველოს მილიცია, რომელიც მუშე-
ბის, გლეხების და წითელარმიელებისა-
გან შედგებოდა ყოველთვის იყო საბ-
ჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრ-
დენი.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით
შეიქმნა რესპუბლიკის მილიციის მთა-
ვარი სამმართველო.

მილიციის პირადი შემადგენლობის
იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და სამ-
სახურებრივი დისციპლინის განმტკიცე-
ბისათვის მილიციის ორგანოებში შეიქ-
მნა პოლიტკომისრების ინსტიტუტი,
რომელმაც დიდი როლი შეასრულა მი-
ლიციის ორგანოების ავტორიტეტის
ამაღლებსათვის მშრომელთა თვალში.

საქართველოს მილიციის ისტორია
აღსავსეა მისი მუშაკების გმირობისა და
თავდადების მაგალითებით. მილიციის
მუშაკები იარაღით ხელში იბრძოდნენ
თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, მო-
ნაწილეობდნენ კულაკთა აჯანყებების
ჩახშობაში, იჭერდნენ ჯაშუშებს, დივე-
რსანტებს და რევოლუციის სხვა
მტრებს.

როცა ფაშისტური გერმანია ვერაგუ-
ლად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას, მი-
ლიციის მუშაკებმა თავიანთი დაუღალა-
ვი მუშაობით და თავდადებით უზრუნ-

ველყვეს მტკიცე წესრიგი ზურგში, ხოლო ფრონტზე მილიციის არაერთმა მამაცმა მუშაკმა შესწირა სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საქმეს.

ომის შემდგომ წლებში მილიციის ბევრმა მუშაკმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სიმტკიცისა და მამაცობის, გამბედაობისა და გამჭირახობის გამოჩენისათვის სამშობლოს მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს. დღეს მილიციის რიგებში არიან პარტიისა და კომკავშირის წარგზავნილები, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები, სპეციალისტები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, კვალიფიციური იურისტები.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე პირველი რიგის ამოცანადაა მიჩნეული მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათ შეგნებაში წარსულის მათე გადმონათების დაძლევის, დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრის ამოცანები. ცხადია, რომ გადამწყვეტი ბრძოლა ქურდების, სოციალისტური საკუთრების გამტაცებლების, ხულიგნების და წესრიგის სხვა დამრღვევთა წინააღმდეგ, მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის საბჭოთა ადამიანს იცხოვროს, იშრომოს და დაისვენოს, მოითხოვს ფართო საზოგადოებრიობის, მთელი ხალხის აქტიურ მონაწილეობას.

ამიტომ, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მილიციის ორგანოების მუშაობის გაუჭობებისათვის, იმისათვის, რომ უზრუნველყვით საზოგადოებრიობის მობილიზაცია დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

უკანასკნელ ხანებში მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა ხელი შეუწყეს

მილიციის ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებას, მისი მუშაკების უფლებების გაფართოებას. მიღებულია ზომები მილიციის ტრანსპორტით, რადიოსა-შუალელებით, კავშირგაბმულობისა და სხვა უახლესი ოპერატიული ტექნიკით აღჭურვისათვის. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები სულ უფრო კონკრეტულად წარმართავენ და კონტროლს უწყვენ მილიციის ორგანოების მუშაობას.

მთელი ჩვენი ქვეყნის მილიციის მუშაკებთან ერთად ბევრ სასახლო საქმეებს ახდენენ საქართველოს დედაქალაქის მილიციის მუშაკებიც. აი, ზოგიერთი მაგალითი: მიმდინარე წლის ივლისში 26 კომისრის სახელობის რაიონში, მოსკოვის პროსპექტზე, ცეცხლმსროლელი იარაღით შეიარაღებულმა ბოროტმოქმედთა ჯგუფმა გ. აკოფაშვილის, შ. მარლიშვილის, დ. პეტრიაშვილის, გ. ჯამალაშვილის, მ. მუსაევის და სხვათა მონაწილეობით შეკრეს დარაჯი და გაძარცვეს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების № 2 სასწავლო საწარმოო კომბინატი, საიდანაც წაიღეს 35.058 მანეთის კაპრონის ნაწარმი.

ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლები, ამხანაგები გ. გუჩმაზაშვილი, დ. ონანაშვილი, შ. პოდაროვი, ამავე განყოფილების უფროსის ს. მამულოვის ხელმძღვანელობით შეიპყრეს ბოროტმოქმედები და გატაცებული საქონელი დაზარალებულ ორგანიზაციას დაუბრუნეს. ა. წ. 6 ოქტომბერს მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა შ. მალრაქემ და მილიციის უმცროსმა სერჟანტმა ზ. ნამგალაქემ საპატრულო სამსახურის შესრულებისას შეიტყვეს, რომ ავტომანქანა დაეჯახა მოქალაქე მ. ფ-ძეს და მძიმედ დაავა. მათ დააკავეს მძღოლი, რომელიც მიმალვას ცდილობდა და დაზარალებუ-

ლი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში.

მილიციის ზემდევმა ვ. ქისიევმა არასამუშაო საათებში დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიპყრო ჯიბის ქურდი ვ. პოტაპოვი, რომელმაც სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მილიციის მუშაკს, მაგრამ ქისიევმა მაინც შესძლო ბოროტმოქმედი მილიციის განყოფილებაში წარედგინა.

ბოროტმოქმედთა გამოვლინებისა და მათი დანაშაულებრივ ქმედობათა მხილებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების დახმარებას და მხარდაჭერას. ცოტა როდია შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრიობის უშუალო მონაწილეობით ვლინდებიან ბოროტმოქმედები.

ა. წ. 14 მაისს 23 საათზე გროზნოს ქუჩაზე დანით მიყენებული ჭრილობის შედეგად მოკლულ იქნა 18 წლის ჯემალ რუხაძე. ბოროტმოქმედი ნაფეტვარიძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მან თავი შეაფარა თავის ნათესავს მოქ. ბაზლაძეს, რომელმაც გამოიჩინა რა კეთილშობილება, არ მისცა საშუალება ბოროტმოქმედს მიმალულიყო და დაეფარა ჩადენილი დანაშაული. მან ნაფეტვარიძეს რამდენჯერმე ურჩია გამოცხადებულიყო მილიციაში პირადად, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო, რის შემდეგ ბაზლაძემ მკვლეელი პირადად წარადგინა მილიციის განყოფილებაში იმ დანით, რომლითაც ნაფეტვარიძემ ჩაიდინა ზემოაღნიშნული მკვლელობა.

მიმდინარე წლის 22 თებერვალს ღამის 2 საათზე ბოროტმოქმედები შევიდნენ „თბილვაჭრობის“ №42 მაღაზიაში, მდებარე შაუმთანის ქუჩა № 84-ში, და ცდილობდნენ სახელმწიფო ქონების გა-

ტაცებას. ეს შენიშნა იმავე დღეში მცხოვრებმა თადარიგში მყოფმა სამხედრო მსახურმა და შეატყობინა მილიციის მუშაკებს. ცეცხლმსროლელი იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედები მიღებული ზომებით შეპყრობილ იქნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრიობის ნაწილი გვერდს უვლის დანაშაულებრივ ქმედობათა წინააღმდეგ ბრძოლას და ნებით თუ უნებლიეთ ბოროტმოქმედ პირებს ხელს უწყობენ განახორციელონ თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვები და დარჩნენ დაუსჯელნი. სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვა მოითხოვს საზოგადოებრიობის ფართო მხარდაჭერას. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი გადაჭრილ იქნას ამოცანა, რომელიც სკკპ პროგრამამ დააყენა — „აღმოიფხვრას დამნაშავეობა, საბოლოო ანგარიშში სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზეგავლენისა და აღზრდის ღონისძიებებით“.

„საბჭოთა მილიციის დღის“ დაწესება გამოხატავს პარტიის, მთავრობის ზრუნვას მილიციის მუშაკებზე, ავალებს მათ კიდევ უფრო მეტი ენერგია გამოიჩინონ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

პარტიის, მთავრობისა და ხალხის ზრუნვის პასუხად მილიციის მუშაკები კვლავაც არ დაიშურებენ ძალ-ღონეს მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ. მოსკოვი,

1963 წლის 28 ივნისი.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის ზოგირითი დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის ან შეცვლის შესახებ

კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

I

ძალდაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემდეგი დადგენილებები და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სადირექტივო წერილები სამოქალაქო საქმეებზე:

1. პლენუმის 1931 წლის 10 თებერვლის 32-ე დადგენილება „ცალკე მოკავშირე რესპუბლიკების შინაარსით სხვადასხვაგვარი კანონების შეფარდების წესის შესახებ, რომლებიც აწესრიგებენ ქონებრივ ურთიერთობას“.

2. პლენუმის 1934 წლის 15 მარტის 46-ე დადგენილება „გადასავლელი საბანკო ოპერაციის გამო სარჩელის უფლების შესახებ“.

3. პლენუმის 1934 წლის 7 ივნისის 47-ე დადგენილება „საწარმოთა და საქციო საზოგადოებათა ლიკვიდაციის შემხვედრი პრეტენზიების ჩათვლის შესახებ“.

4. პლენუმის 1934 წლის 17 სექტემბრის 48-ე დადგენილება „გამოძახებითი წარმოების წესის საწარმომდგენო საბუთების იმ სახეებზე გავრცელების დაუშვებლობის შესახებ, რომლებიც ზპეციალურად არ არის ნაჩვენები კანონში“.

5. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1936 წლის 22 აპრილის სადირექტივო წერილი „კომუნალური ბანკების მოთხოვნათა მიხედვით გადახდევინების მიქცევის წესის შესახებ, რაც დამყარებულია მათ მიერ გაცემულ სესხებზე, უპქცევითი დაფინანსების შემთხვევაში“.

6. პლენუმის 1940 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №46(24)უ „სასამართლოს გადაწყვეტილებით მენარჩენის იმ საცხოვრებელ სახლზე ნარჩენების გადახდევინების მიქცევის დაშვების შესახებ, რომელშიაც მენარჩენე არ ცხოვრობს“.

7. პლენუმის 1950 წლის 3 მარტის დადგენილება №5(5)პ „უცხოეთის სახელმწიფოების სასამართლოთა სამოქალაქო საქმეებზე სასამართ-

ლო დავალებების შესრულების წესის შესახებ“.

8. პლენუმის 1951 წლის 6 აპრილის დადგენილება №4(10)უ „უცხოეთის სახელმწიფოების სასამართლოთა სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო დავალებების შესრულების წესზე“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 3 მარტის №5(5)პ დადგენილების დაწესების შესახებ“.

9. პლენუმის 1959 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №7 „იმის თაობაზე თუ რა წესით შეუფარდონ სასამართლოებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 27 ივლისის ბრძანებულება „იმის შესახებ, რომ გადაეცეს განსახილველად სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს ყველა ის დავა სახელმწიფო კოოპერაციულ (კოლმეურნეობათა გარდა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა შორის, რომლებიც ამჟამად სასამართლოების გამგებლობას ეკუთვნის“.

II

შეტანილ იქნეს ცვლილებანი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემდეგ დადგენილებებში სამოქალაქო საქმეებზე:


1. პლენუმის 1954 წლის 7 მაისის №3 დადგენილებაში „ომ ფაქტების დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა“:

ა) გამოირიცხოს დადგენილების აღწერილობითი ნაწილის მეშვიდე აბზაცი.

ბ) დადგენილების მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან გამოირიცხოს სიტყვები: „რომლებიც შედის კანონით მემკვიდრეთა წრეში (პლენუმის 1956 წლის 12 ოქტომბრის №5 დადგენილების რედაქციით)“.

გ) გამოირიცხოს დადგენილების 3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

2. პლენუმის 1960 წლის 26 მარტის №8 დადგენილებაში „სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“:



ა) დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მერვე პუნქტიდან გამოირიცხოს სიტყვები: „...და თუ ამ საკითხზე შედგა კოლმეურნეობის მმართველობის კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება (კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებისა, კოლმეურნეთა მიერ არჩულ რწმუნებულთა, ნდობით აღჭურვილ პირთა კრებისა, ან ბრიგადის კრებისა)“.

III

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე:

1. პლენუმის 1939 წლის 23 სექტემბრის დადგენილება „არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიცემის შესახებ.“

2. პლენუმის 1941 წლის 10 აპრილის დადგენილება №14(3)უ „სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც გვაროვნული ყოფაცხოვრების გადმონაშთებს შეადგენენ“, პლენუმის 1954 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით.

3. პლენუმის 1948 წლის 17 თებერვლის დადგენილება №4(2)უ „არასრულწლოვანთა მიმართ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების შეფარდების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორკინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიშანინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 8

ქ. მოსკოვი,

1963 წლის 8 ივლისი.

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად პირთა ცნობის
სასამართლო პრაქტიკის შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს დამნაშავეობასთან ბრძოლა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები (23-ე და 44-ე მუხლები) და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები ითვალისწინებენ გაძლიერებულ პასუხისმგებლობას იმ პირთათვის, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად. ასეთი პირები სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განსაკუთრებული რეჟიმით და ციხეებში, მათ მიმართ არ გამოიყენება სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით. სასამართლოების მიერ ამ კანონების გამოყენება უზრუნველყოფს დამნაშავეობასთან ეფექტურ ბრძოლას და მას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

განვიხილო რა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინება და სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ად-

ნაშნავს, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების პასუხისმგებლობის თაობაზე კანონმდებლობის შეფარდების დროს სასამართლოები უშვებენ არსებით შეცდომებს.

ზოგიერთი სასამართლო ფორმალურად უდგება განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად პირთა ცნობის საკითხის გადაჭრას, არ ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავე პიროვნების მონაცემებს, აგრეთვე საქმის გარემოებას.

არის შემთხვევები, როცა სასამართლოები განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად პირის ცნობის დროს არასწორად უთვლიან ნასამართლობას, დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე, მაგრამ, რომელიც გაიხსნა მსჯავრდების შემდეგ.

ზოგჯერ სასამართლოები სამართალში მიცემულის წარსულ დანაშაულებრივ საქმიანობას აფასებენ მხოლოდ ცნობებით ნასამართლობის შესახებ, ჩადენილ დანაშაულში მისი მონაწილეობის როლისა და ხარისხის გაუთვალისწინებლად.

კანონის პირდაპირი მითითების საწინააღმდეგოდ, ზოგიერთი სასამართლო უთვლიან ნასამართლობებს 18 წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, ან ნასამართლობებს, რომლებიც მოიხსნა ან დაიფარა კანონით დადგენილი წესით. სასამართლოები ხშირად განსახილველად იღებენ საქმეებს, რომლებშიც არ არის განაჩენები და სხვა დოკუმენტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ იმისათვის, რომ გადაიჭრას საკითხი ბრალდებულის განსაკუთრებულ საშიშ რეციდივისტად ცნობის შესახებ. განაჩენებში, როგორც წესი, არ უთითებენ თუ რა მოტივებით მიიღო სასამართლომ გადაწყვეტილება განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად პირის ცნობის შესახებ.

სასამართლოები სხვადასხვანაირად წყვეტენ სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებით დამნაშავეთა მოქმედების დაკვალიფიცირების საკითხს, რომლებიც ითვალისწინებენ გაძლიერებულ პასუხისმგებლობას განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. ერთ შემთხვევაში საქმის განხილვის დროს სასამართლოები ცნობენ სამართალში მიცემულს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, მაგრამ არ აკვალიფიცირებენ მის მოქმედებას ამ მუხლებით. მეორე შემთხვევაში ახეთ პირებს ცნობენ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად და ერთდროულად მათ მოქმედებას აკვალიფიცირებენ სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

საკასაციო ან ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის დროს ზემდგომი სასამართლოები რიგ შემთხვევებში არ იჩენენ სათანადო მომთხოვნერობას, რათა სასამართლომ დაიცვას კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად პირთა ცნობის წესსა და პირობებს, და სხვადასხვანაირად წყვეტენ განაჩენის გაუქმების საკითხს იმ შემთხვევებში, როცა წარმოიშება საჭიროება საქმე გაიგზავნოს ახალი სამსჯავრო განხილვისათვის მსჯავრდებულის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობასთან დაკავშირებული მოტივებით.

იმ მიზნით, რომ დამყარდეს ერთგვაროვნება კანონის გამოყენებაში და აღმოიფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებები სასამართლო პრაქტიკაში, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს მისცეს სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. როცა არსებობს კანონში აღნიშნული საფუძვლები, სასამართლომ საქმის გარჩევისას უნდა განიხილოს საკითხი პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის შესახებ, ყოველმხრივ გაითვალისწინოს რა მონაცემები სამართალში მიცემულის პიროვნების შესახებ, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი სა-

შიშროების ხასიათი და ხარისხი და საქმის სხვა გარემოებანი. ამასთან სასამართლოებმა ყველა შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ, რომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად კანონით შეიძლება ცნონ მხოლოდ გამოუსწორებელი დამნაშავენი, რომლებიც გაძლიერებულ საშიშროების მქონენი არიან საზოგადოებისათვის და, რომლებსაც არ სურთ გამოსწორების გზას დაადგენენ.


2. სასამართლოები მოვალენი არიან მოსთხოვონ გამოძიების ორგანოებს, რომ საქმეს დაუროთონ განაჩენის ასლები და სხვა საბუთები, რომლებსაც შეიძლება მნიშვნელობა ექნეს იმისათვის, რომ გადაიჭრას საკითხი პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის შესახებ.

იმ პირის საქმის განხილვის დროს, რომელიც შეიძლება ცნობილ იქნეს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რა ასაკში იყო ჩადენილი წინა დანაშაული, ხომ არ იყო მოხსნილი ან დაფარული ნასამართლობა, ხომ არ შეიცვალა ან არ გააუქმა განაჩენი ზემდგომმა სასამართლოებმა და ა. შ. იმ შემთხვევაში თუ პირი იცნეს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად სასამართლო მოვალეა განაჩენის აღწერილობით ნაწილში მოიყვანოს მოტივები, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა, ხოლო დადგენილებით ნაწილში ჩამოაყალიბოს თავისი გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

3. განემარტოთ სასამართლოებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ გაძლიერებულ პასუხისმგებლობას განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, შეიძლება დაკვალიფიცირდეს მხოლოდ იმ პირთა მოქმედება, რომლებიც ამ დანაშაულის ჩადენამდე უკვე ცნობილი იყვნენ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად კანონით დადგენილი წესით.

4. განემარტოთ სასამართლოებს, რომ თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე დანაშაული, მაგრამ მას მსჯავრი დაეღო მხოლოდ ერთ-ერთი მათგანისათვის, ხოლო დანარჩენი დანაშაული გაიხსნა მას შემდეგ, რაც დამნაშავეს განაჩენი გამოუტანეს პირველ საქმეზე, მაშინ შემდგომი სასამართლოებები აღნიშნული დანაშაულისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი შენიშვნის მე-40-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების ძალით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ასეთი პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის დროს.

5. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის



კოდექსების შესაბამისი მუხლების საფუძველზე პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის დროს არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ნასამართლობა დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა 18 წლამდე. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იქნეს ცნობილი პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თუ იგი სასჯელს იხდიდა 18 წლამდე ასაკში ჩადენილი დანაშაულისათვის.

6. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძველების 48-ე მუხლის შესაბამისად ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ მსჯავრდებული ცნობილ იქნეს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად დასაშვებია მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც განაჩენი კანონიერ ძალაში შევა.

7. ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრის დროს, რომელიც წინათ იცნეს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების 47-ე მუხლის შინაარსის მიხედვით პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობა თავის სამართლებრივ მდგომარეობას ინარჩუნებს მხოლოდ იმ ნასამართლობების დაფარვამდე ან მოხსნამდე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის ასეთად ცნობას.

8. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების მე-4 მუხლის ძალით სხვადასხვა

მოკავშირე რესპუბლიკაში გასამართლებული პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საკითხი უნდა გადაიჭრას ბოლო დანაშაულის ჩადენის ადგილზე მოქმედი კანონების მიხედვით.

9. საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის დროს ზემდგომმა სასამართლოებმა უნდა გააძლიერონ ზედამხედველობა განაჩენთა კანონიერებისა და დასაბუთებულობისადმი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტების შესახებ კანონმდებლობის შეფარდების ნაწილში.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმაო საფუძველი, მაგრამ სასამართლომ არ განიხილა საკითხი სამართალში მიცემულის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის შესახებ, საკასაციო ინსტანციას პროკურორის პროტესტით ან დაზარალებულის საჩივრით, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, საჭირო შემთხვევებში, შეუძლია გააუქმოს განაჩენი და საქმე გაგზავნოს ახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს მოსამართლეთა სხვა შემადგენლობით.

თუ არ არის პროტესტი, ან, როცა საკასაციო ინსტანცია განაჩენის გაუქმებას მიზანშეუწონლად ცნობს, მან კერძო დადგენილებით უნდა მიუთითოს სასამართლოს კანონის დაშვებულ დარღვევაზე.

იმ შემთხვევებში, როცა ზემდგომი სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობას, მან განაჩენიდან უნდა გამორიცხოს მითითება პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის შესახებ და შეიტანოს განაჩენში ამასთან დაკავშირებით საჭირო ცვლილებები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორკინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. პრიშინინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

რ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 9

ქ. მოსკოვი,

1963 წლის 3 ივლისი.

უზიპირთი საპითხების შესახებ, რომლებიც წამოიჭრა სასამართლო პრაქტიკაში განზრახ მკვლელობის საჩქეპებზე

სასამართლო პრაქტიკაში განზრახ მკვლელობის საჩქეპებზე წამოიჭრა რიგი საკითხები სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შეფარდების გამო. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი „განზრახ მკვლელო-

ბის საჩქეპებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ 1960 წლის ივნისის თვის № დადგენილების დამატებით ადგენს მიეცეთ სასამართლოებს შემდეგი განმარტებანი:

1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის

საფუძვლების მე-15 მუხლის შესაბამისად დამნაშავეს ქმედობა შეიძლება ცნობილ იქნას მკვლელობის მცდელობად მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა იგი უშუალოდ მიმართული იყო სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსახსობად და, მაშასადამე, ჩადენილი იყო პირდაპირი განზრახვით.

ჭრიან რა საკითხს იმის შესახებ, პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა დამნაშავე, სასამართლოებმა უნდა ინელმძღვანელონ საქმის ყველა გარემოების ერთობლიობით და გაითვალისწინონ არა მარტო დამნაშავეს და დაზარალებულის წარსული ყოფაქცევა და მათი ურთიერთობა, არამედ აგრეთვე დანაშაულის ჩადენის საშუალება, გამოყენებული იარაღი, აგრეთვე თვით ხასიათი ჭრილობებისა ან სხვა დაზიანებებისა, რომლებიც დაზარალებულს მიაყენეს. ის, რომ არსებობს პირდაპირი განზრახვა, შეუძლია დადასტუროს, კერძოდ, დამნაშავეს მოქმედებამ, რომელსაც მისი შეგნებით უნდა გამოეწვია დაზარალებულის სიკვდილი და სასიკვდილო შედეგი არ დადგა მხოლოდ დამნაშავეს ნებისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო.

2. უკეთუ განზრახ მკვლელობა ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, რომლებიც აღნიშნულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების ორ ან მეტ პუნქტში, ასეთი მკვლელობის კვალიფიკაციის დროს მითითებულ უნდა იქნას ყველა ეს პუნქტი. სასჯელი ასეთ შემთხვევებში არ უნდა აღინიშნოს ცალ-ცალკე ყოველი პუნქტის მიხედვით, მაგრამ სასჯელის განსაზღვრის დროს საჭიროა გაითვალისწინებულ იქნას რაღდენიმე დამამძიმებელი გარემოების არსებობა.

3. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ყოველგვარი მატერიალური გამორჩენის მიღების გრძნობით (ფულის, ქონების, ქონებრივი უფლებების, საცხოვრებელ ფართობზე უფლებისა და სხვ.) ან მატერიალური ხარჯებისათვის თავის არიდების განზრახვით (ვალის, აღიშენის გადახდისა და სხვ.).

4. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის „გ“ პუნქტითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით განზრახ მკვლელობის დაკვალიფიცირების დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განსა-


კუთრებული სისასტიკის ნიშანს კანონი უკავშირებს არა მარტო მკვლელობის საშუალებას, არამედ სხვა გარემოებებსაც, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ დამნაშავე მოქმედებდა განზრახვით, რომელიც მიზნად ისახავდა დანაშაულის ჩადენას განსაკუთრებული სისასტიკით.

მკვლელობა უნდა იქნეს ცნობილი განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავემ შეგნებულად, უშუალოდ სიცოცხლის მოსპობის წინ ან მკვლელობის ჩადენის პროცესში განსაკუთრებით სტანჯა ან აწვალა დაზარალებული, წამების, დიდი რაოდენობით ჭრილობების მიყენების, საშინლად მოქმედი შხამის გამოყენების გზით. განსაკუთრებული სისასტიკე შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე იმით, რომ დამნაშავემ შეგნებულად მიაყენოს განსაკუთრებული ტანჯვა დაზარალებულის ახლობელ პირთ, რომლებიც დანაშაულის აღგავლენა იმყოფებიან, მასხრად აიგდოს გვამი და ა. შ.

5. იმისათვის, რომ განზრახ მკვლელობა დაკვალიფიცირდეს როგორც ჩადენილი ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშია მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, საჭიროა დადგინდეს, რომ განზრახა რა გარკვეული პირის მკვლელობა, დამნაშავემ გამოიყენა მოკვლის ისეთი საშუალება, რომელიც დამნაშავეს შეგნებით საშიში იყო არა მარტო ერთი ადამიანის სიცოცხლისათვის.

6. დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობას არ მოიცავს ყაჩაღობის შემადგენლობა, ამიტომ განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმის დროს, უნდა დაკვალიფიცირდეს „ა“ პუნქტით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, — აგრეთვე რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმებით. ამრიგად, დამნაშავეს მოქმედება, გარდა განზრახვი მკვლელობისა, უნდა დაკვალიფიცირდეს კიდევ რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე ან 146-ე მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების ერთობლიობით.

7. განზრახ მკვლელობა, რომელიც ჩაიდინეს ბანდის მონაწილეებმა თავდასხმის დროს, ექვეშა ბანდიტიზმის ნიშნებში და არ მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.



8. განზრახ მკვლელობა, რომელსაც თან ახლავს გაუბატურება, უნდა დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

9. იმ დამნაშავეს მოქმედებანი, რომელმაც განზრახ მკვლელობა ჩაიდინა ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშტეტვისას, უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ერთობლიობით, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის და რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

10. უკეთუ დადგინდა, რომ დამნაშავეს განზრახვა მიმართული იყო ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსახპობად, ერთი ადამიანის მკვლელობა და მეორის სიცოცხლის ხელყოფა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამთავრებული დანაშაული რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ზ“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

11. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ი“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა განზრახ მკვლელობისათვის იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი განზრახ მკვლელობა, ამიტომ აღნიშნული ნორმები უნდა შეეფარდოს მიუხედავად იმისა, იყო თუ არა დამნაშავე მსჯავრდებული წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 და მე-17 მუხლები აწესებენ პასუხისმგებლობის ერთიან საფუძვლეს დანაშაულისათვის მზადებისა და დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის, აგრეთვე დანაშაულის ამსრულებელთა და სხვა თანამონაწილეთათვის. ამასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის „ი“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით უნდა დადგეს მიუხედავად იმისა, იყო თუ არა დამთავრებული ორივე განზრახ მკვლელობა და იყო თუ არა დამნაშავე ამ დანაშაულთან ამსრულებელი ან სხვაგვარი თანამონაწილე. განზრახ მკვლე-

ლობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის „ი“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, თუ დამნაშავემ წინათ ჩაიდინა ქმედობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ არის თანამონაწილეობა, არამედ არის განზრახ მკვლელობის დაფარვა, რაც წინასწარ არ ყოფილა შეპირობებული.

მკვლელობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის „ი“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, თუ ნასამართლობა დამნაშავეს მოეხსნა წინათ ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის ამნისტიის ან პატიების წესით ან თუ მოეხსნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე თუ მკვლელობის ჩადენის მომენტისათვის გავიდა აღრე ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის დევნის ხანდაზმულობის ვადები, რომლებიც აღნიშნულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 41-ე მუხლში.

12. იმ დანაშაულთა გამოიკვინისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის „ზ“ და „ი“ პუნქტებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა ხასიათდება დამნაშავეს ერთიანი დანაშაულებრივი განზრახვით და, როგორც წესი, ერთდროულად ხდება. იმ შემთხვევაში, როცა ორი ან მეტი პირი მკვლელობა მოქმედებით, რომელიც არ მოიცავს დამნაშავეს ერთიან განზრახვას, ჩადენილი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის „ი“ პუნქტით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

13. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის „ლ“ პუნქტისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების შეფარდების დროს სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ამ პუნქტით პაუხს აგებენ მხოლოდ პირნი, რომლებიც განზრახ მკვლელობის ჩადენამდე კანონით დადგენი-

ლი წესით ცნობილი არიან განსაკუთრებით სა-
შინო რევიდებისტებად.

14. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლი-
კების სისხლის სამართლის სასამართლო წარ-
მოების საფუძვლების 36-ე, 42-ე, 46-ე და 48-ე
მუხლების შესაბამისად სასამართლოს, პროცე-
სის ყველა სტადიაში, საქმის დამატებით გამო-
ძიებისათვის გადაუტყვმალად, არ შეუძლია შეც-
ვალოს დამნაშავეს მოქმედების კვალიფიკაცია
რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართ-
ლის კოდექსის 102-ე მუხლისა და სხვა მოკავ-
შირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კო-

დექების შესაბამისი მუხლების ერთი პუნქტი
მეორეთი, თუ ეს იწვევს ბრალდების ფორმული-
რების შეცვლას.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზ-
რახ მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შე-
სახებ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის
არასწორად შეფარდებული პუნქტის შეცვლა
იმავე მუხლის სხვა პუნქტით სასამართლოს შე-
უძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კვალი-
ფიკაციის ასეთი შეცვლა არ იწვევს ბრალდების
ფორმულირების შეცვლას და არ არღვევს სა-
მართალში მიცემულის დაცვის უფლებას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორკინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. გრიშინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

რეკონილიცეპა № 10

ქ. მოსკოვი,

1963 წლის 3 ივლისი.

ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო პენსიების თანხის გადახდვიწინების თაობაზე
სამოქალაქო საქმეების სასამართლო პრაქტიკის შესახებ

სასამართლოების მიერ იმ საქმეთა განხილვის
პრაქტიკის შესწავლამ, რომლებიც შეეხება მო-
ქალაქებისათვის სახელმწიფო პენსიების იმ
თანხის გადახდვიწინებას, რაც მათ უკანონოდ
მიიღეს ბოროტმოქმედების შედეგად, ცხადყო,
რომ ასეთი ბოროტმოქმედებით სახელმწიფო
დიდ ზარალს ხედავს. აღნიშნული ბოროტმოქ-
მედება, მაგალითად, გამოიხატება იმით, რომ
ცალკეული მოქალაქენი პენსიის დასანიშნავად
ადგენენ საბუთებს აშკარად არასწორი ცნობე-
ბით (შრომის სტაჟის, პროფესიის, შრომის პი-
რობების, ხელფასის შესახებ და სხვ.), ფარავენ
მიღებულ ხელფასსა და სხვა შემოსავალს, არ
ატყობინებენ ოჯახის შემადგენლობის შეცვლას,
რაც გავლენას ახდენს პენსიის ოდენობაზე. არ-
სებობს აგრეთვე ფაქტი, როცა საწარმოსა და
დაწესებულებების თანამდებობის პირნი პენსიის
დასანიშნავად გასცემენ დოკუმენტებს, რომელთა
შინაარსი სინამდვილეს არ შეესაბამება.

ამ ბოროტმოქმედებათა შედეგად მიყენებულ
ზარალს მხოლოდ უმნიშვნელო ოდენობით ანაზ-
ღაურებენ. ამ ზარალის გადახდვიწინების სარჩე-
ლებს სასამართლოებში აღნიშნავენ შედარებით
იშვიათად იმ შემთხვევებშიც კი, როცა ამა თუ
იმ პირისათვის პენსიის ზედმეტი გადახდა დიდ
თანხას შეადგენდა.


ასეთი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ

რიგ შემთხვევებში ორგანოებს, რომელთა კომ-
პეტენციაში შედის პენსიის დანიშვნისა და გა-
დახდის საკითხები, აგრეთვე სასამართლოებს
არასწორად მიაჩნიათ, რომ საპენსიო კანონ-
მდებლობა გამორიცხავს იმის შესაძლებლობას,
რომ სასამართლოებმა განიხილონ სარჩელები
სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენების გადახ-
დვიწინების შესახებ, თუ პენსიის გადახდა მოლია-
ნად არ არის შეწყვეტილი.

იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოები იხი-
ლავენ ამ საქმეებს, ისინი მუდამ როდი ეხმა-
ურებიან თანამდებობის პირთა უკანონო მოქმე-
დებასა და სერიოზულ ნაკლოვანებებს პენსიის
დასანიშნავად საჭირო საბუთების გაცემის საქ-
მეში, სუსტად უწყობენ ხელს სახელმწიფო სახს-
რების ზედმეტად გადახდის მიზეზთა აღმოფხვ-
რას.

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი
სასამართლოების მუშაობაში ამ კატეგორიის
საქმეებზე და განმარტება მიეცეს პრაქტიკაში
წამოჭრილ საკითხებს პენსიონერებისათვის მა-
თი ბოროტმოქმედების შედეგად ზედმეტად მი-
ღებული პენსიის თანხის გადახდვიწინების შესა-
ხებ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს
პლენუმი ადგენს:

1. მიეცეს სასამართლოების ყურადღება იმას,
რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სამოქალაქო



საქმეების თავის დროზე და სწორად გადაჭრას, რომლებიც შეეხება პენსიონერებისათვის მათი ბოროტმოქმედების შედეგად ზედმეტად მიღებული სახელმწიფო პენსიის თანხის გადახდევინებას. ამ საკითხთა განხილვამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, ხელი შეუწყოს ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლას.

2. სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გადახდის წესის დებულების 178-ე პუნქტის შესაბამისად, დებულებისა რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 აგვისტოს № 1044 დადგენილებით (1968 წლის იანვრის რედაქციით), პენსიონერებისათვის მათი ბოროტმოქმედების შედეგად ზედმეტად მიღებული პენსიის თანხის გადახდევინება შეიძლება მოხდეს პენსიიდან დაქვითვის გზით პენსიების დანიშვნის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამასთან ერთად, ზედმეტად გადახდილი პენსიის თანხების გადახდევინების ასეთი წესი არ გამოირცხვას იმის შესაძლებლობას, რომ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ სარჩელი წარადგინოს სასამართლოში, თუ ეს საჭიროდ იქნება მიჩნეული, რათა გადახდევინება მიტყვეულ იქნეს არა მარტო პენსიაზე, არამედ მოვალის ქონებაზედაც. სასამართლოს ექვემდებარება ასეთი სარჩელები იმ შემთხვევებშიც, როცა პენსია დანიშნეს სხვა ორგანოებმა.

3. პენსიის თანხა, რომელიც პენსიონერმა ზედმეტად მიიღო მისი ბოროტმოქმედების შედეგად, გადახდევინებული უნდა იქნას სახელმწიფოს სასარგებლოდ მთელი დროისათვის, რომლის განმავლობაშიც ეს თანხა იყო გადახდილი, თუ სარჩელი წარდგენილი იყო სასარჩელო ხანდაზმულობის იმ ვადის ფარგლებში, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების მე-16 მუხლით, ან როცა ეს ვადა სასამართლომ აღადგინა.

4. სასამართლოს შეუძლია პენსიონერის მიერ

ზედმეტად მიღებული პენსიის თანხის გადახდევინების საქმეზე თანამოპასუხედ ჩააბას თანამდებობის პირი, რომელმაც ანგარიშით ან სხვა პირადი დაინტერესებით გასცა აშკარად არასწორი საბუთი, რომელიც საფუძველად დაედო პენსიის უკანონოდ მიღებას. ამ შემთხვევაში მოქალაქეს, რომელმაც უკანონოდ მიიღო პენსია, და დამნაშავე თანამდებობის პირს ეკისრებათ სოლიდარული ქონებრივი პასუხისმგებლობა, ვინაიდან სახელმწიფოს ზარალი მიადგა მათი ერთობლივი მოქმედებით.

5. უკეთეს იმ დროს, როცა სასამართლო იხილავს პენსიონერისათვის ზედმეტად მიღებული პენსიის თანხის გადახდევინების საქმეს, წამოიჭრა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია პენსიის უფლებასა თუ დანიშნული ან გადასახდელი პენსიის ოდენობასთან, სასამართლომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველების მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება და მასალები შესამოწმებლად გაუგზავნოს მშრომელთა დეპუტატების შესაბამის რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ან სხვა ორგანოს, რომლის კომპეტენციაშიც შედის აღნიშნული საკითხების გადაჭრა. მასალების შემოწმების შემდეგ სასამართლო განაახლებს საქმის წარმოებას.

6. თუ დადგინდა არსებითი ნაკლოვანებანი თანამდებობის პირთა მუშაობაში პენსიის დანიშნავად საბუთების გაცემისას, აგრეთვე იმ ორგანოთა მუშაობაში, რომლებიც ნიშნავენ და იხდიან პენსიებს, სასამართლოებმა უნდა გამოიტანონ კერძო დადგენილებანი და გაუგზავნონ ისინი შესაბამის ორგანიზაციებს საჭირო დონისძიებების მისაღებად. თუ პენსიის უკანონოდ დანიშვნასა და გადახდაში დამნაშავე პირის მოქმედებაში აღმოჩნდა დანაშაულის ნიშნები სასამართლოებმა ამის შესახებ უნდა შეატყობინონ პროკურორს, ან აღძრან სისხლის სამართლის საქმე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორბინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიშინი



დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 11

ქ. მოსკოვი,

1963 წლის 3 ივლისი.

სასამართლოები მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები 23-ე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს, რომ პირთა, რომლებმაც მოიხადეს პატიმრობის სულ ცოტა ნახევარი, იმ პირობით, თუ ისინი სანიმუშო ყოფაქცევას გამოიჩინენ, სასამართლოს შეუძლია პატიმრობა შეუცვალოს კოლონიაში მოთავსებით. იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი სასამართლო ამ კანონს უფარდებს იმ პირებსაც, რომლებსაც პატიმრობა დაენიშნათ არა განაჩენით, არამედ სასამართლოს დადგენილებით შრომა-გასწორების კოლონიაში დაწესებული რეჟიმის ბოროტად დარღვევისათვის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების 30-ე მუხლის შესაბამისად შემოვიდა წარდგინებით, რათა მიეცეს სასამართლოებს სათანადო განმარტებანი.

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას შეცდომები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის შეფარდების სასამართლო პრაქტიკაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ადგენის:

1. განემარტოთ სასამართლოებს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუ-

ძვლების 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით პატიმრობის შეცვლა შრომა-გასწორებით კოლონიაში მოთავსებით პირთათვის, რომლებმაც მოიხადეს პატიმრობის სულ ცოტა ნახევარი, იმ პირობით, თუ ისინი სანიმუშო ყოფაქცევას გამოიჩინენ, ამ კანონში მოცემული პირდაპირი მითითების თანახმად არ შეიძლება გავრცელდეს იმ პირებზე, რომლებსაც პატიმრობა დაენიშნათ შრომა-გასწორებით კოლონიაში დაწესებული რეჟიმის ბოროტად დარღვევისათვის.

2. სასამართლოებმა ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მასალების განხილვის დროს იმ პირთათვის შრომა-გასწორებით კოლონიაში თავისუფლების აღკვეთის პატიმრობით შეცვლის შესახებ, რომლებიც ბოროტად არღვევენ დაწესებულ რეჟიმს, მათ გულდასმით უნდა გამოარკვიონ ამოწურულია თუ არა პატიმრებზე სხვა ღონისძიებებით ზემოქმედების შესაძლებლობანი, რომლებიც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს შრომა-გასწორებითი კოლონიებისა და ციხეების დებულებით. პატიმრობის ვადის განსაზღვრისას სასამართლოებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გათვალისწინონ პატიმრის პიროვნება და მის მიერ დაშვებული დარღვევის ხასიათი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორკინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიშანინი

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 12

ქ. მოსკოვი,

1963 წლის 3 ივლისი.

დანაშაულებრივი მიზნით რადიოგადაცემა მოწყობილობათა გამოყენებასთან დაკავშირებული მოქმედებების კვალიზიტივის უმსახურესი

სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმ პირთა მოქმედებების კვალიზიტივის შესახებ, რომლებიც რადიოგადაცემის მოწყობილობას იყენებენ საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამოთხატვად რადიოგადაცემე-

ბისათვის, აგრეთვე სხვა დანაშაულებრივი მიზნით. ითვალისწინებს რა იმას, რომ მოქმედი კანონების მიხედვით პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის დგება მიუხედავად მისი ჩადენის



ფორმისა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში ადგენს:

განემართოთ სასამართლოებს, რომ განზრახი მოქმედებანი, გამოხატული იმით, რომ წარმოებს რადიოგადაცემები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამოვლენასთან, თავხედობის მიზნით, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან დაბრკოლებას უქმნის რადიომაუწყებლობასა და სამსახურებრივ რადიოკავშირს, უნდა დაკვალიფიცირდეს, მათი სასიათის მიხედვით, რუსეთის სუს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის II ან I ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.


იმ შემთხვევაში, თუ რადიოგადაცემი მო-

წყობილობანი გამოყენებულია სხვა დანაშაულებრივი სასიათის გადაცემებისათვის ანეთი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, ესე იგი ისევე, როგორც აკვალიფიცირებენ ამ მოქმედებებს რადიოგადაცემი მოწყობილობათა გამოუყენებლად მათი ჩადენის დროს.

სასამართლოებმა ყურადღება მიაქციონ ამ დანაშაულის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას, იმას, რომ საჭიროა გულდასმით და ყოველმხრივ გამოკვლეულ იქნას საქმის ყველა გარემოებანი, იმას რომ განხილულ იქნას საკითხი ამ მიზნებისათვის გამოყენებული მთელი რადიოაპარატურის კონფისკაციის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორპინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრინზანინი

უკუბრძოლის საიდუმლო



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო

10 ნოემბერს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა საბჭოთა მილიციის დღე. ამ ნაწარმოებში, რომელიც გადმობეჭდილია უბრალო „Советская милиция“-დან მითხრობილია მილიციის მუშაკთა თავდადებულ საქმიანობაზე.

1. „აბბრაჰის“ საქმე

მილიციის სამმართველოს კიბეზე მაიორ ემ-მჩუენის კინაღამ არ დაეტაკა ცისფერ კოსტუმში გამოწყობილი გოგონა, რომელმაც სწრაფად ჩაურბინა მას გვერდზე და ცხვირსახოცით ცდილობდა აცრემლებული თვალების დაფარვას. „სად მინახავს?“ — გაიფიქრა მაიორმა და გოგონას ვახედა. მერე გაახსენდა და უნებლიედ ჩაილაპარაკა: „ნეტა, აქ რა უნდოდა?“.

...ერთ-ერთ კვირა დღეს მაიორმა ჩვეულებრივად ბაღში გაისეირნა. მას ძალზე მოსწონდა დილის სიჩუმე, უკაცრიელი ხეივანი, დანამული ბალახი, ნორჩი ჭვავილი. პავლიონთან სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონა გამოჩნდა, რომელიც გორგოლაჭებიან ციგურებზე შემდგარიყო და ტლანქად ადგამდა ფეხებს, მაგრამ როგორც კი მოასფალტებულ ბილიკზე გამოვიდა, სიტლანქე უეცრად გაქრა და მოქნილი, წერწყეტა ტანი ისე სწრაფად გაქანდა წინ, რომ კაცს შეეხარებოდა.

„მეც ხომ არ ვცალო ბედი?“ — გაიფიქრა მაიორმა, რომელსაც უეცრად ბავშვით მოუნდა სრიალი.

როგორც კი მაიორი ბილიკზე გამოვიდა, მაშინვე იგრძნო, რომ გორგოლაჭებზე დგომას დიდხანს ვერ შესძლებდა და მართლაც გაირბინა თუ არა რამდენიმე მეტრი, ხელები სასაცილოდ აიქნია და სწორედ იმ გოგონას ფეხქვეშ გაიშლართა. გოგონამაც თავი ვერ შეიკავა და დაეცა.

— ხომ არაფერი იტყინეთ? — უხერხულად შეეკითხა მაიორი და წამოდგომაში მოეხმარა.

— რა თქმა უნდა ვიტყინე, — შეეპასუხა გაბრაზებული გოგონა, — ჯერ უნდა ისწავლოთ და სასრიალოდ მერე გახვიდეთ...

— გთხოვთ მაპატიოთ, — ჩაიბურღლუნა მაიორმა ძლივს გადაღვა ფეხი და პავლიონისკენ გაემართა.

...და ახლა, მაიორი მიმავალ გოგონას რომ გასცქეროდა, სურდა დაეძახა, მაგრამ გადაიფიქრა. მერე კი მოახსენეს უფროსი გინზობსო. სამძებრო განყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა კერძინმა კრიტიკულად შეხედა და გაილიმა.

— სუქედები, ამხანაგო მაიორო.

— წლოვანების ბრალია, ამხანაგო პოლკოვნიკო, — უპასუხა ემჩუენიმ.

— არსებობს გახდომის საშუალება. „აგარაკის“ საქმეს იცნობ?

— კუტირინისას? ისე რა.

— ბეჯითად გაცენი და გამოძიებაც დაიწყე.

ემჩუენი გაოცდა. „სააგარაკოს“ ექანდნენ ახლანან მოკლულ პროფესორ ზაბოლოცის საქმეს, რომელსაც ერთ-ერთი უძველესი და ძალზე გამოცდილი განყოფილების თანამშრომელი, პოლკოვნიკი კუტირინი იძიებდა.

— არაფერი მესმის, — უპასუხა ემჩუენიმ, — კუტირინი?

— ინფარქტი დაემართა, — ამოიოხრა კერძინმა, — გუშინ დააწვინეს საავადმყოფოში.

ემჩუენი ჩაფიქრდა. საწყალი კუტირინი. გამოჯანმრთელდება, გავა პენსიაზე და მასთან ერთად წავა ქალაქის მილიციის წარსულის კი-



დევ ერთი ცოცხალი მატინე. კუტირინის გარეშე სისხლის სამართლის გამოძიებანი რაღაც ძნელი წარმოსადგენი იყო...

— კიდევ ვინ მუშაობდა ამ საქმეზე? — რამდენიმე წუთის ფიქრის შემდეგ იკითხა შემჩუქნი.

— პარამანოვი და რიჟოვი. — თუმც ამ საქმეში ისე დაეხმათ თავგზა, რომ შეიძლება ითქვას, — კისერი პირდაპირ მარჯუქში გაჰყვეს.

„ნუთუ კუტირინმაც ვერ აუღო ალღო?“ გაოცდა შემჩუქნი, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— გაეცნობი მასალებს, მომანსენებ შენს მოსაზრებებს და მერე მოვითათბირებთ, — უთხრა კერშინმა.

კერშინის სიმართლეში შემჩუქნი მაშინვე დარწმუნდა, როგორც კი საქმის მასალებს გაეცნო. თავიდანვე აწეწილი საქმე გამოძიების პროცესში კიდევ უფრო აიბურდა.

სლავური ენების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნის, პროფესორ ზაბოლოცკის მეკვლეობა მართლაც იღუმალეობით იყო მოცული. მისი გვამი, კვირა დღეს, აგარაკზე, თავისივე სამუშაო კაბინეტში ნახეს.

ოთახი შიგნიდან ჩაკეტილი დახვდათ. ბაღში გამავალი ფანჯარა ღია იყო... პროფესორისთვის ძალზე ალესილი ფინური დანა ბეჭეტში გაერკოთ. სამედიცინო ექსპერტის დასკვნით იგი მომკვდარა ღამე, გულში სისხლის ჩაქცევით.

მკვდარი იწვა ხალიჩაზე, პირქვე, პატარა მაგიდის წინ, სადაც ჭადრაკი იდო. იქვე მახლობლად სეარქელი იდგა, ჭადრაკის დაფაზე რამდენიმე შავი და თეთრი ფიგურა ელაგა, დანარჩენი გროვად ეწყო მაგიდაზე — ყოველივე ეს იმაზე ლაპარაკობდა რომ, პარტია დაუმთავრებელი იყო.

ოთახის შუაგულში, დიდ სასადილო მაგიდაზე თეფშები, ჭიქები და ღვინის ბოთლები ეწყო. აშკარა იყო, რომ სუფრა რამდენიმე ადამიანისთვის გაეშალათ. იქვე ეყარა ნამწვავები და ფერფლი, ეტყობოდა ოთახში სიგარას ეწეოდნენ. საწერი მაგიდის მწვანე მაუღს სისხლის ლაქა აჩნდა, პროფესორის რომელიღაც სტუმარს თურმე ხელი გაეჭრა უსაშიშრო სამართებელზე, რომლის ნატეხი შუშაზე იდო. მაგიდის ქვეშ იპოვეს მამაკაცის ხალათის ღილი. გაღებულ სეიფზე გასადებები ეკიდა. შიგნით რვეულები იდო. პროფესორი ძველი სლავების ისტორიაზე მუშაობდა და ხელნაწერებს სეიფში ინახავდა. წინაღობით გამომცემლობაში სამი ათას მანეთამდე ფული მიეღო. სადილობისას ულაპარაკია მიღლებულ ჰონორარზე, რომელიც სეიფში აღარ აღმოჩნდა. ფანჯარაზე ექსპერტმა ძლივსძლი-

ვობით ამოიციწო ვილაცის კვალე, რომელიც წვიმის მიერ იყო წაშლილი.

ვინ იყვნენ სტუმრები? ყემჩუქნი აიღო ფურცელი, რომელზედაც კუტირინის ხელით ჩამოწერილი იყო რამდენიმე გვარი და სახელი:

- ვალია
- მასლოვი
- ვერა ტიმოთეს ასული — მასლოვის მეუღლე
- პოლკოვნიკი ხმარა
- სიზოვი.

სიზოვის, ხმარასა და მასლოვის გვარს წითელი ფანჯარი ჰქონდა გასმული — ისინი ზაბოლოცკის მეზობლები იყვნენ, ხოლო ვალია — პროფესორის ნათესავი, რომელიც ბოლო დროს მასთან ცხოვრობდა. თადარიგის პოლკოვნიკ ხმარასა და ექიმ მასლოვს საკუთარი აგარაკი ჰქონდათ. ლაბორანტი სიზოვი დაქირავებულ ოთახში



ცხოვრობდა. სტუმრები დაახლოებით თერთმეტ საათზე დაშლილან. პროფესორს უკითხავს: — ხომ არ სურს ვინმეს ერთი ხელი ჭადრაკი მეთამაშოსო? ყველას უარი უთქვამს. მასლოვი მეუღლეს წაუყვანია სახლიში. ხმარა წუნდა ქალიშვილზე, რომელიც ქალაქიდან ჯერ არ დაბრუნებულყო. სიზოვი მთელი დღე რა-

ტომად ადევნებული ჩანდა. პროფესორს უკითხავს კიდევ — ხომ არაფერი გაწუხებდა?

— თავი მტკივა, — უთქვამს სიზოვს, — ცოტას გავივლი და შეიძლება მერე ჭადრაკის სათამაშოდ შემოვიარო.

ხმარაც დაპირებია მოსვლას იმ შემთხვევაში თუ ქალაქიდან დაბრუნებული ქალიშვილი ლენკა სახლში დახვდება.

ვალის გაუცილებია მასლოვები, უკან დაბრუნებულა, ასულა ზემოთ, თავის ოთახში დასაძინებლად. პროფესორთან არ შეუხედავს, თუმცა იქ სინათლე ენთო და საუბარიც მოისმოდა. დილით ზაბოლოცკი მოკლული ნახეს.

2. ნათესავები და სტუმრები

ყემჩუენიმ კიდევ ერთხელ გადაიკითხა საქმე. აი, ზაბოლოცკის ქალიშვილის, ერთი-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლის, მარია ლვოვის ასულის ჩვენება: მე ცალკე ვცხოვრობ, თუმც ხანდახან დავდიოდი მამასთან ავარაკზე. დამოკიდებულება ჩვენს შორის დაძაბული იყო. ბოლო დროს მთლად გაუარესდა.

საქმეში ნათლად ჩანდა დაკითხვის არსი:

„— მამასადამე, მამა ცალკე ცხოვრობდა?

— ცალკე, რადგან ვერ შევეგუე დედინაცვალს. მერე, როცა ის ქალი მიატოვა, მე ვერ ვაბატიე მამას, დედის სიკვდილს წიხ მიცემული ფიცი რომ გატეხა და ცოლი შეირთო.

— დიდი ხანია რაც მამათქვენი გაშორდა იმ ქალს? სად ცხოვრობს ამჟამად იგი?

— მამა ჯერ კიდევ ომის დროს გაშორდა მას. ჩვენ მაშინ შუა აზიაში ვცხოვრობდით. ის ქალი ამჟამად იქ ცხოვრობს ვაჟიშვილთან ერთად, რომელიც მას პირველი ქმრისაგან ჰყავს, მუშაობს თეატრში, მსახიობია, მისი შვილი ახლა, ალბათ, ოც წელზე მეტის იქნება...

— რა დამოკიდებულება ჰქონდა მამათქვენთან იმ ქალს განქორწინების შემდეგ?

— არავითარი. უბრალოდ გამორდნენ და ამით დამთავრდა ყველაფერი. მიმოწერაც შეწყვიტეს.

— ერთმანეთს აღარ შეხვედრიან?

— როგორც ვიცი, არა. მხოლოდ ერთხელ უნახავს მამას შემთხვევით. ფულიც გაუგზავნია, არ მახსოვს რასთან დაკავშირებით.

— რა შეგიძლიათ თქვათ ვალის შესახებ? ვინ არის და ჰყავს თუ არა მეგობრები ქალაქში?

— ვალა მამაჩემის მამიდაშვილის შვილია. მორიდებული, სტუდენტი გოგონაა. სწავლობს იურიდიულ ფაკულტეტზე. სად დადის და ვის ხვდება, მართალი გითხრათ არ ვიცი“.

ყემჩუენიმ თვალი გადაავლო საქმეს. „საი-

დან დავიწყო? — ჩაფქურდა და ბოლოს გადაწყვიტა: „უპირველეს ყოვლისა უნდა დავდინდეს ყველა იმ პირის ვინაობა, ვინც იცოდა, რომ პროფესორმა ჰონორარი აიღო“. დიდი ხნის ფიქრისა და ბეჭითი ანალიზის შემდეგ მიიჩნია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მთავარი ამ საქმეში ვაწმამზე მონაწილენი იყვნენ.

ყემჩუენიმ სუფთა ქალაღი აიღო და დიდი ასოებით დაწერა:

„ვალა ჩერენცოვა. ოცდაორი წლის.“ საინტერესოა, როგორ ექირა თავი დაკითხვისას? გულწრფელი იყო თუ ცბიერობდა? ხშირად ძნელია ამაზე მსჯელობა ოქმის მეშვეობით. არაა ქვეტექსტი. არ ჩანს ცოცხალი ადამიანის სიტყვა, რომლის აზრი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა წარმოთქმული.

მაიორმა გულდასმით გადაათვალიერა კიდევ ერთი ოქმი. ის იყო დაკითხვის სრული სტენოგრამა, რომელიც პარამანოვს თვითონ ჩაუწერია და გაუშიფრავს. ყემჩუენის შეეხარბა კიდევ: როგორ აუცილებელია გამომძიებლისთვის სტენოგრაფიის ცოდნა?

სტენოგრამა იწყებოდა ასე:

„— როგორ იმოქმედა სტუმრებზე პროფესორის მიერ ნათქვამმა ამბავმა ფულის შესახებ? — ეკითხებოდა პარამანოვი ვალენტინას.

— ზუსტად არ მახსოვს. მგონი ვაიციენს. ვილცამ ტაშიც შემოჰყრა და ხუმრობით ბიძას უთხრა: ეგ ფული სწრაფად ჩაკეტე სეიფში თორემ უკვე შუაღამეა და შესაძლოა ეშმაკმა შემაცდინოსო.


— რა ჰქნა სიზოვმა?

— მანაც გაიხუმრა, მხოლოდ ძალზე პირქუშად. საერთოდ იმ დღეს არ იყო ხასიათზე.

— მაინც რა თქვა?

— მეც მაკ აზრის ვარო... დაახლოებით ამგვარი რამე...“

ყემჩუენის მოეწონა დაკითხვის ხასიათი. მაგრამ პარამანოვი რატომ ამხეილებს ყურადღებას სიზოვზე? ნუთუ იმ სულელურ ხუმრობის გამო? შესაძლოა იმიტომ, რომ სიზოვი დაპირდა უკან დაბრუნებას და ჭადრაკის თამაშს? ხმარამაც ხომ უთხრა პროფესორს მოვალო? თუმცა, როცა ვალიმა მასლოვები გააცილა და უკან დაბრუნდა, პროფესორთან აშკარად იყო ვილცა. „იკებზე, სადაც პროფესორის კარია, — კითხულობდა ყემჩუენი ვალა ჩერენცოვას ჩვენებას, — ერთი წუთით შეგჩერდი ფეხის გასაწმენდად. გარეთ ტალახი იყო. ბიძის ოთახიდან შუქი გამოკრთოდა და საუბარიც ისმოდა. ყურე მოვკარი კიდევ, ბიძა ვილცას რომ შევიკითხა: „რატომ გაცვია ხელთათმანებიო?“ უცნობმა რა უპასუხა, ვერ გავიგონე. როცა მალა, ჩემს ოთახში ავედი და ფანჯარა მივხურე, უეცრად ბაღში ანთებული ბა-



პირის ცეცხლს მოვკარი თვალი. დიდხანს ვიყურებოდი, ვეოავინ დავინახე, მხოლოდ ვიღაცის ფეხის ხმა გავიგონე“.

დაახლოებით თერთმეტ საათზე, ბალში ანთებული პაპირის შეუმჩნეველი სიზოვისა, რომელიც სეირნობიდან ბრუნდებოდა. (შესაძლოა ვალიას სწორედ მისი ფეხის ხმა მოესმა.) პროფესორის ოთახში ლამაზ ენთო. ფანჯარა ღია ყოფილა. სიზოვი კარიბჭესთან შეჩერებულა, უფიქრია შევიდეთ თუ არაო, მაგრამ გვიან იყო და შინ წასვლა გადაუწყვეტია.

მასლოვებზე არ მოსულან. ვალიას ისინი ქუჩის ბოლომდე მიუტოლებია და მარტო დაბრუნებულა. არ შემოთვლია პროფესორთან ხმარასაც, რომელიც ქალაქიდან დაბრუნებულ ქალიშვილთან საუბარში გართულა და გვიან დაუძინია. პოლკოვნიკ ხმარას ჩვენება დადასტურა მის გვერდით, დაქირავებულ ოთახში მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელმაც განაცხადა: პოლკოვნიკი სახლში დაახლოებით თერთმეტ საათზე დაბრუნდა და აღარსად წასულაო.

კიდევ ერთმა ფაქტობამ მიიქცია ექიმუქნის ყურადღება. კუტირინს ქალაქის ნაფლეთზე წვრილი ასობით ჩაეწერა რამდენიმე სტრიქონი. მიიორმა ძლივსძლივობით ამოიკითხა. აშკარად ჩანდა, რომ პოლკოვნიკს ნაჩქარევად ჩაეწერა მოსაზრებები, რომელიც აწუხებდა:

ვინ იყო პროფესორთან ღამით?
ერთი აღამიანი თუ ორი? ნუთუ შეცდა ვალია?

„რატომ გაცვია ხელათმანები?“
იქნებ ჰკითხა — რატომ „გაცვიათო?“
ვინ თამაშობდა ჭადრაკს?
ვინ იყო ბალში?

ექიმუქნიმ დაკვირვებით გადაათვალიერა საქმეები, რომელიც კუტირინის სეიფში აღმოჩნდა. მან იცოდა, რომ პოლკოვნიკს ჩვეულებად ჰქონდა ქალაქის ნაფლეთებზე ეწერა თავისი მოსაზრებები და დაკვირვებები, მაგრამ არსებითი რამ სეიფში არ აღმოჩნდა. ეტყობოდა კუტირინს, ჯერ კიდევ, არ მოეფიქრებინა მოქმედების გეგმა.

8. საოცარი პარტია

კარებზე დააკაუნეს. თითქოს აღლუმზე იმყოფებოდა ოთახში ისე ვაჭიშული შემოვიდა სუფთად წვერგაპარსული ლეიტენანტი პარამანოვი.

— დღეს კუტირინის სეიფში ვნახე რამდენიმე ჩანაწერი,— დინჯად უთხრა ექიმუქნიმ,— ისინი პროფესორის საქმეს ეხება. ხომ არ იცით, რა ვერსია ჰქონდა პოლკოვნიკს ამ საქმეზე?

პარამანოვმა ხელები გაასავსავა.

— მოგეხსენებათ, ლეონიდ ნიკოლოზის ძეგ, რომ პოლკოვნიკი სანამ ყველაფერს არ დააზუსტებს, მანამ არავის არაფერს არ ეუბნება.

— აი, აქ, ხანია გასმული სიზოვისა და პოლკოვნიკ ხმარას გვარებზე, ხომ არ იცით რატომ?

— ეგ მეც მაქვს ხაზგასმული. ისინი პროფესორის მეტოქეები არიან ჭადრაკში.

— პროფესორის?

— დიახ. ხმარამ თავის დროზე სამხედრო ოლქის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ მოხუცი ადვილად უგებდა. აი, სიზოვის კი... — არ დაუთმავრებია წინადადება ლეიტენანტს.

ექიმუქნი ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

— ძლიერი მოთამაშეა?

— პირველთანრიგისანია.

ექიმუქნიმ უნებლიედ გადახედა კუტირინის ჩანაწერებს: „ვინ თამაშობდა ჭადრაკს?“ — წაიკითხა მან. პარამანოვმა შეამჩნია და ბავშვით გაიღიმა.

— აი, გამოცანა. ვის შეეძლო ვთამაშა პროფესორთან? ალბათ, რომელიმე სტუდენტისა. განს. გამორიცხული არაა ქალბატონი მასლოვიც — ირონიულად წარმოთქვა ლეიტენანტმა.

— ფიგურების განლაგება ჩაწერილი გაქვთ? — შეცრად იკითხა ექიმუქნიმ.

— აი! — პარამანოვმა მაგიდაზე დადო ფოტოსურათების დასტა. ერთ-ერთ მაგიდაზე აღბეჭდილი იყო ჭადრაკის დაფა მასზე განლაგებული ფიგურებით. ეტყობოდა პარტია დასასრულს უახლოვდებოდა. ორივე მოთამაშეს თითო ეტლი, ცხენი და პაიკი ჰქონდათ, მაგრამ შევების პაიკს მიეღწია უკანასკნელ უჯრედადღე. თეთრების გამოუვალი მდგომარეობა აშკარად ჩანდა.

— გაარჩიეთ ლეონიდ ნიკოლოზის ძეგ?

ექიმუქნიმ თავი დაუქნია, დასცქეროდა სურათს და ვერასგზით ვერ მიმხვდარიყო თუ რატომ განაგრძობდნენ თეთრები წინააღმდეგობას.

— საოცარი პარტიაა! — წარმოთქვა მიიორმა.

— რატომაა საოცარი? — გაიკვირვა პარამანოვმა. — შევები იგებენ, ესაა და ეს.

— რომლით თამაშობდა პროფესორი?

— თეთრებით. ჩვენ ამოვიცანით მისი ხელის ანბეჭდი. აი, აქ, კი... ხედავთ? — პარამანოვმა გაუწოდა მეორე სურათი, რომელზედაც სიმეტრიულად ათი თითის ნაკვალევი ეტყობოდა.

— ეტლზე, ცხენზე და პაიკზე სიზოვის ხელის ანბეჭდია, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა მან.

მოღუშული ექიმუქნი თითქოს ყურს არ უგებდა.

— სისულელეა, შეუსაბამოა... — წარმოთქვა

საქართველო
საბჭოთაო

წარმუშეკმუნულმა ექმჩუენიმ. — შეუძლებელია პროფესორის თეთრებით ეთამაშა. პარამანოვი ვერ მიხვდა რის თქმა სურდა ამით მაიორს.

ექმჩუენიმ სურათი გაუწოდა.

— შეხედეთ თეთრებს... განაგრძობდით თამაშს ამგვარ მდგომარეობაში? არა, რა თქმა უნდა, არა, მეც არ ვითამაშებდი, მითუმეტეს პროფესორი, რადგან ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა. რატომ არ დანებდა?

— ალბათ, დანებდა. თეთრებს სვლა ხომ აღარ გაუყევებიათ?

მაგრამ ექმჩუენი სურათს ყოყმანით დასცქეროდა, რაღაც აეჭვებდა ეს პარტია.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენთვის მთავარია თუ ვის ეთამაშებოდა. ამაზე ნათლად მეტყველებს თითების ანაბეჭდები — ჯიუტობდა პარამანოვი.

— სიზოვი კატეგორიულად უარყოფს პროფესორთან თამაშს.

— თქვენ გსურთ, რომ მაშინვე გამოტყდეს?

— მე მსურს, რომ ნაადრევ დასკვნებს თავი დაანებოთ.

პარამანოვი გაჩუმდა და კიდევ რამდენიმე სურათი გაუწოდა მაიორს.

ჭიქას, რომელიც პატარა მაგიდაზე იდო, სწორი ხაზები გასდევდა.

— ეგ ხმარას თითების კვალია, — თქვა პარამანოვმა. — იგი არ უარყოფს, რომ სწორედ მაგ ჭიქიდან სვამდა, მხოლოდ საერთო მაგიდაზე და არა საქადრაკო დაფასთან. — ხომ შეიძლება ჭიქა გადაედგათ?

— შესაძლოა, მაგრამ საფერფლეში რომელიც საერთო მაგიდაზე დევს „პრივის“ უპირადი ნაშვია, რომელსაც მხოლოდ ხმარა ეწევა. პატარა მაგიდაზე კი მხოლოდ „ბელომორის“ და ორი „ყაზბეგის“ ფერფლია. პირველს ეწევა ექიმი, ხოლო „ყაზბეგს“ — სიზოვი. აი, იმ ნაშვებს პომადის კვალი ეტყობა. მაშ, ვინ თამაშობდა შავებით?

პარამანოვს სიხარულით თვალები აუცრემლდა, მას სიამოვნებას ჰგვრიდა ეს დახლართული საქმე.

— ვალია ჭადრაკს თამაშობს? — დაინტერესდა მაიორი.

— არა. ის დედოფალს ეტლისგან ვერ არჩევს. თან ტუჩებსაც არ იღებავს, — ამაყად წარმოთქვა ლეიტენანტმა.

ექმჩუენი სდუმდა. სურდა პარამანოვი აელაპარაკებინა და მიადწია კიდევ ამას. ლეიტენანტი ოდნავ შებოკილი შემოვიდა, მზრალად, თავდაჭერილად და ოფიციალურად დაიწყო საუბარი, მაგრამ ექმჩუენიმ იცოდა, რომ ახალგაზრდის ფანტაზია დიდხანს ვერ შეუტივდებოდა ამ როლს.

„გამომძიებლისთვის ფანტაზია სიმდიდრეა, ხოლო მოჭარბებული კი ინფლაცია“, — ასე უყვარდა თქმა კუტირინს.

— იცი, რას ვფიქრობ იმ დაწყვეტილ მაგიდაზე? — აჩქარებით, თითქოს რაღაც საიდუმლოებას მიაგნო წამოიძახა უცერად პარამანოვმა.

— იცი, — ღინჯად უპასუხა ექმჩუენიმ, — ინსცენირებაა.

— სწორია! — აღტაცებით წარმოთქვა პარამანოვმა. — საიდან იცი? უკვე მოასწარი აგარაკზე მისვლა?

— არა, კოლია, — გაიღიმა ექმჩუენიმ, — ეტყობა ჭიქა და საფერფლე იქ მკვლელობის შემდეგ გადაუდგამთ, — ყოველ შემთხვევაში, — ჩაფიქრდა მაიორი, — ეს მხოლოდ ვარაუდია,

— ამის გაკეთება შეეძლო რომელიმე სტუმართაგანს, — ცხარედ ჩაიბურღლუნა პარამანოვმა. — მასლოვები „მოსკვიჩზე“ ოცნებობენ. რიგი მოუახლოვდით, მაგრამ ფული არ ყოფნით. ამბობენ, რომ პროფესორს ესესხნენ კიდევ. ხმარას აგარაკის დაშენება სურს. სიზოვს ცოლი ჰყავდა ავად, სადაც ჩრდილოეთში მკურნალობს და კისრამდე ვალებში ჩაფლული.

— დავუშვათ, რომ ერთ-ერთი მათგანი უკან დაბრუნდა, მაგრამ ფინური დანა სადღა იშოვა?

— მკვლელს შეეძლო ეპოვნა ქუჩაში, თბრილში, სადღურზე. — გამოეხმაურა პარამანოვი. — ამასთანავე სიზოვის სისხლის ჯგუფი მაგიდაზე აღმოჩენილ სისხლის ლაქას ემთხვევა. — ლეიტენანტმა გადახედა ექმჩუენის, სურდა გაეგო, რა გავლენა მოახდინა მისმა ნათქვამმა, მაგრამ მაიორი სდუმდა.

ოთახში პოლკოვნიკი კერძინი შემოვიდა.

— ამ ორ დღეში შეგეძლებათ საავადმყოფოში კუტირინის ნახვა, — უთხრა ექმჩუენის. — მიდი, მოეთათბირე. მერე, გადახედა აღზნებულ პარამანოვს და ირონიულად გაიღიმა: — აი, ლეიტენანტმა, ალბათ, უკვე გაარკვია საქმის ვითარება.

— ჯერჯერობით მხოლოდ ექვი, ამხანაგო პოლკოვნიკო, — დაიბნა პარამანოვი.

კერძინმა პასუხი არ გასცა და ექმჩუენის მიუბრუნდა:

— როდის მიემგზავრებით ადგილზე?

— ხვალ დილით.

— ახლოს გაცნით ჩერენცოვას. დააუხსტეთ, მარტო დაბრუნდა შინ იმ ღამით თუ არა. და საერთოდ, კიდევ ერთხელ, დეტალურად გაესაუბრეთ პროფესორის მეზობლებს და გაარკვეეთ, იმ დღეებში უცხო ვინმე ხომ არ შეუნიშნავთ აგარაკზე.

4. კოლკოვნიკი ხმარა

მეორე დღეს შემჩუქნი და პარამანოვი ზაბოლოცკის სახლის სანახავად გაემგზავრნენ. აგარაკი ლერწმიანი ტბის ნაპირას იყო გაშენებული.

ისინი მიაღწენ აკაცისა და ფიჭვის ხეებით გარშემორტყმულ მესერს, რომლის იქით ცნობისმოყვარე თვალი ვერაფერს შეამჩნევდა. ამ კვირა დილას აგარაკი უკაცრიელი ჩანდა. მხოლოდ ერთ-ერთი მესერის მახლობლად, კაიხზე, გახუტებულ პერანგინა მსუქანი მამაკაცი იჯდა. მისი ვაპარსული თავი მზეზე ლაპლაპებდა. მან იცნო პარამანოვი, თავი დაუკრა და ცნობისმოყვარეობით შემჩუქნის მიაჩერდა.

— ეს ხმარაა, — ჩასჩურჩულა პარამანოვმა მაიორს და მერე გააცნო კიდევ.

— მზეზე თბებით? — შეეკითხა ზრდილობიანად ლეიტენანტი.

— გული მაქვს ცუდად და ჰაერზე გამოვედი, — უხასისოდ უპასუხა მან და თან აღმოცურად გადახედა მაიორს.

— ჰო... ამოიხვენე მაიორმა, გვერდზე მიუჯდა, ამოიღო პაპირისი „ყაზბეგი“ და გაუწოლა.

— არ ვეწვივი, — აღშფოთებით ჩაიბუზღუნა ხმარამ.

შემჩუქნი ვერ მიხვდა თანამოსაუბრის გაბრაზების მიზეზს, მერე, როცა ზაბოლოცკის აგარაკისკენ გაემართნენ პარამანოვმა განუმარტა.

— ხმარა ფიჭობს, თითქოს ჩვენ პაპირის „ყაზბეგის“ მეშვეობით მისი გამოჭერა გესურს, რადგან დაკითხვის დროს განაცხადა, რომ ეწევა მხოლოდ და მხოლოდ „პრიმას“.

„მასხადამე, რაღაცის ეშინია, — გაიფიქრა შემჩუქნიმ. — ამას ადასტურებს მისი დაძაბული გამოხედვა... რაზე გაიწია განზე, როცა პაპირისი ვაუწოდებ?“

„გამოჭერის ეშინია?“ რატომ წარმოთქვა ასე მშვიდად ეს სიტყვები პარამანოვმა: ნუთუ დააშინეს?

5. ტელეფონი რეპავს

ვერანდის კიბეზე კაცი და ქალი იჯდა. როცა კარის ჭრიალი გაისმა, გოგონა წამოდგა, იცნო პარამანოვი და მისკენ გაეშურა.

— კოლია! დაიყვია მან და ენა ველარ მოაბრუნა, რადგან ეგონა რომ პარამანოვს კუტირინი მოყვებოდა, რომელთანაც დამეგობრება მოეწრო.

— ვალია, გაიცანით! — თქვა პარამანოვმა და ზრდილობიანად განზე გადასა. — ჩვენი გიორგი ივანეს-ძე კუტირინი ავად ვახდა და, მის მაგი-

ერ საქმეს, აი ეს ამხანაგი ლეონილ ნიკოლოზის ძე შემჩუქნი გამოიძიებს.

გოგონა ადგილზე გაშეშდა. ფართოდ დაქყეტილი თვალებით მაიორს შესცქეროდა და სდუმდა. სდუმდა შემჩუქნიც, რადგან მის წინ ის ქალიშვილი იდგა, რომელიც ერთხელ კულტურის პარკში შეხვდა, ხოლო გუშინ მილიციის სამმართველოს კიბეზე შეეფეთა. ჩივის წითელ წინწყლებიან კაბაში გოგონა ადრინდელზე უფრო გამხდარი ჩანდა. სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი ვალიამ დაარღვია:

— თუ ისეთივე იურისტი ბრძანდებით როგორც მოციგურავე, მაშინ, თქვენს მიმართ შურით არ ვიქნები გამსჭვალული. — ეშმაკურად გაიღიმა გოგონამ.

— შესაძლოა, — სიტყვა მოუჭრა შემჩუქნიმ. — ახლა, რომ ნახოთ, როგორ დავკრივარ ციგურებზე, მართლაც შეგშურდებოდათ.

უხერხულობა იმწამსვე გაქრა. ვალია ყოველგვარი ცერემონიის გარეშე სტუმრებს ვერანდისკენ წაუძღვა.

— ნეტავ სად ჩაიყლაბა იური კონსტანტინეს ძე? ის ხომ ახლახან აქ იჯდა. — გაიკვირვა ვალიამ.

— ვინაა იური კონსტანტინეს ძე? — ჰკითხა მაიორმა.

— ეს უკვე დაკითხვაა? — გამომწვევად გადახედა ვალიამ.

— არა, ჯერჯერობით შეკითხვა!

— სიზოვია. ჩვენი მეგობარი და საერთოდ შესანიშნავი ადამიანი. დიახ, დიახ! შესანიშნავი! — მიუბრუნდა იგი პარამანოვს.

გოგონას რეპლიკის კილოზე და პარამანოვის შემაწყნარებელ ღიმილზე მაიორი მაშინვე მიხვდა, რომ ეს იყო მათი ადრინდელი კამათის გაგრძელება.

— თუმცა, ეს ვისი რა საქმეა. — აიჩიჩა გამხდარი მხრები ვალიამ, მიუბრუნდა პარამანოვს და მშრალად და ოფიციალურად დაუმატა: — თქვენი თხოვნა შეეასრულე. სამრეცხოდან ხალათები მოვატანინე და საწერ მაგიდაზე დავალაგე. შეგიძლიათ ნახოთ. — თქვა ესა და წავიდა. პარამანოვმა ირიბად გადახედა შემჩუქნის. მაიორი მაშინვე მიხვდა, რატომ დაჭირდა ლეიტენანტის პროფესორის ხალათები, მაგრამ ისეთი გამომეტყველება მიიღო თითქოს სრულიად არ აინტერესებდა.

მკვლელობის ადგილას ნაპოვნი ღილი პროფესორის არც ერთ ხალათს არ მოუღვა.

შემჩუქნი კი იმ ოთახის დათვალიერებას შეუდგა, სადაც ღამის ტრაგედია დატრიალდა, თუმცა დათვალიერებამ ახალი არაფერი შესძინა. მერე, მაიორმა წყნარად გაიარა ვერანდა და ბალში ჩაივია, სადაც ქარი აშრიალებდა ვერხვებს, ფიჭვებსა და ოქროსთავთაიან გვირგ-

ლებს. ალაგ-ალაგ გათელილ ბალახზე ნაბილი-
კარი ეტყობოდა. ერთ-ერთი ასეთი ბილიცი მე-
სერთან გადიოდა.

— ვალენტინა ვასილის ასული! — ხმამაღლა
შეჰყვირა მაიორმა.

— მე მეძახით? — გამოიხედა ვალიამ ფანჯ-
რიდან.

— ვინ გაიარა, აქ?

— სად? ხეებთან? მე დავკრიფე ყვავილები.

— აი, ეს ბილიცი საიდანაა გაჩნდა? — აჩვე-
ნა ქემჩუქნიმ ოდნავ მარჯვნივ.

არ ვიცი, — ჩაფიქრდა ვალია, — შეიძ-
ლება მე, ან რომელიმე სტუმართაგანმა გაიარა.

ქემჩუქნი ჰიშკრიდან მდუმარედ გავიდა, მე-
სერზე დაეყრდნო და ბაღში გადაიხედა. უეც-
რად ოდნავ გაწეული მესერი შეამჩნია. ბეჯი-
თი დათვალიერების შემდეგ მესერზე მიმხმარი
ტალახი დაინახა.

— თქვენ ვერსიას ამოწმებთ ლეონიდ ნიკო-
ლოზის-ძევე? — შეეკითხა პარამანოვი, — თუ
უბრალოდ გაინტერესებთ რაიმე ხომ არ გამო-
გვრჩია მხედველობიდან?

— ნუ ჩქარობთ, ირონია ნაადრევია. — დინ-
ჯად უპასუხა ქემჩუქნიმ, რომელმაც ფრთხილად
დაიწყო ბალახში ფათური და ხელით რაღაცას
შეეხა.

„დინჯად, დინჯად! — გაიფიქრა გონებაში. —
ჭერ ადრეა აღეღება“.

— რამე იზოვნეთ? — ჰკითხა პარამანოვი.

— ჭერჯერობით, უბრალო ასანთის ყუთი.

ეტიკეტზე ესაბა ხეზე ამძვრალი ციყვი. ქვე-
მოთ ეწერა:

„გაუფრთხილდით სასარგებლო ბეწვიან ცხო-
ველებს“.

„ბარნაულის ასანთის ქარხანა“.

პარამანოვმა მოისურვა როგორმე გამოესწო-
რებინა თავისი უადგილო ხუმრობა, მიბაძა მა-
იორს და ბეჯითად შეუდგა ბალის დათვალიე-
რებას. ბოლოს მისი ყურადღება მიიპყრო ვე-
რხემა, რომელზედაც აბრეშუმის ძაფები იყო
მიმხმარი.

— აი, ნახეთ — უთხრა ლეიტენანტმა ქემჩუ-
ქნის. — ალბათ, კოსტუმისაა. ნეტა, ადრე რა-
ტომ ვერ შევამჩნიეთ? შესაძლოა, მაშინ არ
იყო.

ქემჩუქნიმ დაკვირვებით დაათვალიერა და
თავი დაიქნია.

— შეიძლება, გამოგვადგეს...

როცა ვალია მოვიდა მათთან, ქემჩუქნის უკ-
ვე ყველაფრის დათვალიერება მოესწრა.

— აი, იმ ბილიცის ამბავი მოცეხს. სტუმ-
რების მოსვლამდე არ იყო.

— გმადლობთ ვალენტინა. — მაიორს სურდა
შამის სახელით მიემართა, მაგრამ რატომღაც
თავი შეიკავა.

ქემჩუქნიმ ნაპოვნი საგნები პარამანოვს გადას-
ცა.

— კოლია, ესენი წაიღე და ექსპერტს გადა-
ეცი. მე ვალენტინას გავესაუბრები. — მაიორმა
გოგონას გადახედა. — ხომ არ გწყინთ, რომ ვა-
ლენტინას გეძახით?

ვალიამ პასუხი დაუგვიანა. დღხანს შესცქე-
როდა მაიორს, მექანიკურად კაბას კმუქნიდა
და ბოლოს წარმოთქვა:

— დამიძახეთ, გეთაყვა. მე ყველანი ეგრე
მეძახიან. — ბოლოს, მოულოდნელად ჰკითხა:—
თქვენ ყოველთვის სამოქალაქო ტანსაცმელი
გაცევიათ თუ ფორმას ატარებთ?

— როგორც მომიხერხდება... — გაიღიმა მა-
იორმა.

— დიდი ხანია მილიციაში მუშაობთ? — წა-
რმოთქვა ვალიამ ისე, თითქოს ამას დიდი მნიშ-
ვნელობა ჰქონდა.

ქემჩუქნიმ ომის შემდეგ დაიწყო მილიცია-
ში მუშაობა. ამყამად უმადლესი იურიდიული
განათლება ჰქონდა, მაგრამ არ სურდა ყოვე-
ლთვის ვალიასთვის ეთქვა.

ვგონა კი განაგრძობდა:

— დირიჟორობით ჯობით?

— ვდირიჟორობდი. ვუსტვენდი კიდევ, რო-
ცა გადაასწავლეს სწორედ არ ვადალიოდით
და თქვენი კავალრებიც დამყავდა გამოსაფხი-
ზლებელში.

— მე არ მყავს კავალრები. მით უმეტეს ლო-
თები. — ვარაზულა ვალია.

— შეეწყვიტეთ არაფრისმთქმელი საუბარი.
— რაც შეიძლება რბილად თქვა მაიორმა. —
უმჯობესია საქმეზე გადავიდეთ.

— თქვენი ნებაა.

— მითხარით, გეთაყვათ, რა ვინდოდით გუ-
შინ სამმართველოში?

— ვიცი, რომ სიზოვზე აქვთ ეჭვი და ეს არა
მარტო სისულელე, ველურობაცაა...

ქალი გაჩუმდა. ხანგასმული შემფოთება სი-
ზოვის მიმართ რატომღაც არ ესაიამოვნა ქემჩუ-
ქნის. „ბოლოს და ბოლოს მას ხომ ჭერჯერობით
არაფერში სდებენ ბრალს?“ — გაიფიქრა მაი-
ორმა.

— სხვათა შორის, სიზოვს თქვენთან საუბარი
სურს. რატომღაც ჩუმად ჩაიხურჩულა ვა-
ლიამ.

— სიამოვნებით. დაუძახეთ აქ და ერთად
ვისაუბროთ.

ვალია დაიბნა. არ ეგონა, რომ მაიორი მისი
თანდასწრებით დაუწყებდა სიზოვს საუბარს და
ამიტომ დასძინა:

— ჩაის ხომ არ მიირთმევთ?

— რა თქმა უნდა, დავლევ! — გაიღიმა მაიორ-
მა.

— ექმნუენის სრულიად არ უნდოდა ჩაი, მაგრამ საუბრისათვის სურდა არაოფიციალური ხასიათი მიეცა.

სიზოვი ულამაზო, მოუხეშავი, ასე ოცდახუთმეტი წლის კაცი აღმოჩნდა.

— არაოფიციალური დაკითხვა ჩაისთან? — მკვახედ სთქვა მან მოსვლისთანავე და გახელა მაგიდას, სადაც ის-ის იყო ვალიამ მურაბა მოიტანა.

— იური კონსტანტინეს-ძვე — ჩაერია საუბარში ვალაი. — რას ამბობთ?

— იცით, რა არის მთავარი გამოძიებაში, მშვიდად წარმოთქვა მაიორმა და თან ჭიქაში შაქრის ნატეხს ურევდა, — შექმნას ნდობის ატმოსფერო და თან გადალახოს მოსაუბრის შინაგანი წინააღმდეგობანი. აი, თქვენ, შინაგანად მტრულად ხართ განწყობილი ჩემდამი. რატომ? არ გჯერათ, ელთი ყოველგვარ ხრიკს, თავგზა-ასახნევ კითხვებს. მე კი მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს-მოგისმინოთ. შესაძლოა თქვენ გვითხრათ ისეთი უმნიშვნელო რამ, რაც ჩვენთვის ძვირფასია და ხელს შეგვიწყობს საქმის გარკვევაში.

— რალა ვითხრათ? — სიტყვა შეაწყვეტინა აღელვებულმა სიზოვმა, რომელიც ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყო. — რაც ვიცოდი უკვე გამომწურეს.

ტელეფონით საუბარი? — უეცრად გაიხსენა ვალაი.

სიზოვი ჩაფიქრდა.

— ეგ ძალზე უმნიშვნელო რამაა... დამავიწყდა კედეც.

— საუბარიო? — დაინტერესდა ექმნუენი.

— შაბათს, მე პირველი მივედი პროფესორთან. ეს თქვენც იცით. როცა ღია ფანჯარას ჩავუარე, დავინახე რომ ტელეფონით ვილაცას ესაუბრებოდა. დამამახსოვრდა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა: „შეუძლებელია! საიდან სადო“. მე შევეცადე რომ ხელი არ შემიშალა და ოთახში შევედი მაშინ, როცა საუბარი დამთავრდა.

— პროფესორს ხომ არ უთქვამს ვის ელაპარაკებოდა?

— მას სურდა თქმა. — უპასუხა ვალაი. — როცა ღვინო შემოვიტანე ბიძამ დამიძახა: „იცი ვინ მირეკავდაო?“ მაგრამ ამ დროს მასლოვები შემოვიდნენ, დაიწყეს საუბარი და ველარ გავიგე ვინ ურეკავდა. ვალაი ჩაფიქრდა და არც თუ ისე დამაჯერებლად განაცხადა: — ბიძის მიერ წარმოთქმულ ვაკვირებული კილოთი თუ ვიმსჯელებთ, მე უნდა ვიცნობდე იმ ადამიანს.

— იქნებ მარია ლვოვის ასული ურეკავდა?

— არა, ვილაც სხვა იყო, თორემ არ მეტყოდა, იცი ვინ მირეკავდაო?

— მართალი ბრძანდებით — შენიშნა ექმ-

ნუენი და თან უნებლიედ გაციებულ ჩაისს ჭიქაში კოვზს ურევდა.

6. ახალი სტუმარი

ამ დროს კარიბჭე გაიღო. კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი ვერანდისკენ გამოემართა. იგი დინჯი ნაბიჯით მალა ამოვიდა, ჩემოდანი დასდო და იქ მყოფთ ვაკვირვებით გადახედა.

— ხომ არ შეეცდი? ეს ზაბოლოცკის აგარაკია?

— დიას, არ შემეცდარხართ — უპასუხა ვალაი.

— თვითონ სადაა?

სტუმარი კითხულობდა თამამად, მოუტირებულად, ისე როგორც მის ასაკში სჩვევიათ. იგი ერთი შეხედვით ასე ოცი წლის ჭაბუკი იქნებოდა.

— ნება მომეცით შეგეკითხოთ, ვინა ბრძანდებით?

— რა თქვენი საქმეა? თავხედურად უპასუხა სტუმარმა ვალაის. — მე პროფესორი მინდა და არა თქვენ. ვალიამ ექმნუენის გადახედა, და აგრძობინა: „როგორ მოვიტყო?“ მაიორი გამომწვევად სდუმდა და ათვალეირებდა ჩემოდანზე დამაგრებულ იარაღს „მოსკოვი“.

— უთხარით პროფესორს, რომ ვიქტორი ჩამოვიდა-თქო და იგი, ალბათ, თქვენზე უფრო თავაზიანობას გამოიჩენს.

— ვიქტორი? — გაოცდა ვალაი და სტუმარი ათვალეირ-ჩაათვალეირა — აი, თურმე როგორი ყოფილხართ.

— მაშ, როგორი გსურდათ ვყოფილიყავი, ქალბატონო?

ვიქტორის უხეში ლაპარაკით დაბნეული ვალაი თვალებით ემუდარებოდა მაიორს „ჩაერიეთ საუბარშიო“. ექმნუენი წამოდგა.

— ახალგაზრდავ, აგერ მოსწიეთ სავარძელი და დაბრძანდით.

— საინტერესოა. — ირონიულად გააგრძელა სიტყვა სტუმარმა. — თქვენ ვინა ბრძანდებით? ამ გოგონას ქმარი?

ვალაი შეცბა, მაიორმა არაფერი შეიმჩნია. — მე მილიციის სამმართველოდან ვარ.

— საოცარია, რა უნდა ჩაედინა ჩემს გამოჩენილ მამობილს?

— მოკვდა. — მშრალად უპასუხა ექმნუენი. — უფრო ზუსტად, მოკლეს.

ამ ამბავმა თითქოს თავზარი დასცა სტუმარს. მან გადახედა ექმნუენის, მერე ვალაის, მაგიდაზე თითები აათამაშა და ამოილულულა.

— არ მოველოდი. ძალზე არასასიამოვნო ამბავია. მე კი მისი იმედი მქონდა.

— საიდან ჩამოფრინდით? — ჰკითხა მაიორმა.

— აშხაბადიდან და აეროდრომიდან პირდაპირ აქეთ წამოვედი.

— გთხოვთ საბუთები მაჩვენოთ. — ზრდილობიანად უთხრა მაიორმა.

— ოფიციალურად მოითხოვთ?

— დიახ.

სანამ ყემჩუქნი სინჯავდა აშხაბადის მილიციის მიერ ვიქტორ შესტაკოვზე გაცემულ პასპორტს და კინოსტუდიის ცნობას, რომ ვ. ა. შესტაკოვი მუშაობდა მათთან და მონაწილეობდა კინოსურათ „უდაბნოს შვილებს“ გადაღებაში, ვიქტორი უცერემონიოდ ათვალეირებდა ვერანდაზე მისდამთ. მიუხედავად ახალგაზრდის მიწვიდველი შეხედულებისა, მისი თავხედური მანერები არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— რისთვის ჩამოხვედით აქ? — ჰკითხა მაიორმა და საბუთები დაუბრუნა.

— ინსტიტუტში მინდა მოვეწყო. აშხაბადში როგორც მოგეხსენებათ, ცოდნას ვერ მიიღებს კაცი. ვაგისხენე მამობილი, მოეწერე მოკლე წერილი, შესძლებდა თუ არა გერის დროებით შეფარებას და პასუხად, აი, ეს მივიღე და ჭიბიდან ბარათი ამოიღო.

პროფესორი, არც თუ დიდი თავზიანობით ატყობინებდა, რომ თანახმა იყო ვიქტორს მასთან აგარაკზე ეცხოვრა და გამოცდებისათვის მომზადებულიყო.

— ესაა მთელი ისტორია, — ხელები გაშალა ვიქტორმა. — ჩამოვედი მოხუცის თხოვნით და ის კი საიქიოს გამგზავრებულა.

— რას იზამთ, დარჩით პარასკევამდე. — უბასუხა ვალიამ. — მარია ლვოვის ასული ჩამოვა და მას მოელაპარაკეთ.

— კეთილი, — თქვა ვიქტორმა, — მაგრამ უფულოდ როგორ ვიცხოვრო?

— დროებით ჩვენ დაგეხმარებით. მერე თქვენ თვითონ მოისაზრეთ. მე მგონს მარია ლვოვის ასული აგარაკზე ცხოვრების ნებას დაგრთავთ.

— ჰმ! ამგვარ ამბავს არ მოველოდი. — ნაღელიანად თქვა ვიქტორმა.

ყემჩუქნი და სიზოვი ქუჩაში გავიდნენ. მაიორმა იქვე, თხრილში, ვილაცის მიერ გადაგდებული „ყაზბეგის“ ყუთს მოჰკრა თვალი და აიღო.

— ნივთებს აგროვებთ? — გაიცინა სიზოვმა.

— ერთი საათის წინ, აქ არაფერი ეგდო. — მაიორმა ხელში გადაატრიალ-გადმოატრიალა კოლოფი, თითქოს რაღაც საიდუმლოების ამოხსნა სურსო და ლურჯი მელნით წანაწერი დაინახა: „ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ“.

— კალმით ვარჯიშს გავს. — კბილები დაკრიჭა სიზოვმა. — ნეტა რას უნდა ნიშნავდეს?

ყემჩუქნის თვითონაც არ შეეძლო ამის

ამოხსნა. იგი განაგრძობდა კოლოფის დეკოდირებას, რომელიც უთუოდ ვიქტორს ეკუთვნოდა, რადგან ნაპოვნი „ყაზბეგი“ ბაქოს ჭარხნის მიერ იყო გამოშვებული და აშხაბადიდან ვიქტორი ბაქოს ვაკეში უნდა გადმოფრენილიყო. სწორედ ამან შეაჩერა მაიორი და კოლოფს უკანვე თხრილში არ გადაუქაბა.

მერე მაიორი დიდხანს საუბრობდა სიზოვთან. აზუსტებდა ზოგიერთ დეტალს; აინტერესებდა მისი დამოკიდებულება პროფესორთან და კერძოდ, რაზე საუბრობდა ჭადრაკის მაგიდასთან მჯდომი პროფესორი სტუმრების მისვლამდე.

— არაფერზე, — მშვილად პასუხობდა სიზოვი. — უმნიშვნელო ამბებზე. მთხოვდა ჭადრაკი მეთამაშნა. მე უარზე ვიყავი. ბოლოს და ბოლოს დამითანხმა, ვაკეკეთეთ რამდენიმე სვლა და ამდროს სტუმრებიც მოვიდნენ. პარტია გადავდეთ. მაგრამ არა იმ მდგომარეობაში როგორც თქვენს სურათშია აღბეჭდილი.

შემდეგ მაიორი მასლოვებს ეწვია. ისინი ძალზე გულკეთილი და მოსაუბრე ხალხი აღმოჩნდნენ. ცოლ-ქმარი მეგობრულად ცხოვრობდა. მასლოვის ცნობილი ქირურგი ვახლდათ, რამდენიმე საავადმყოფოს კონსულტაციას უწევდა და კარგი გამოქმუშებაც ჰქონდა. მთ ვერაფერი თქვეს ისეთი, რაც მაიორმა არ იცოდა.

იმ დღეს, ყველაზე მთავარი, აგარაკზე ვიქტორ შესტაკოვის გამოჩენა იყო. ამ დასკვნამდე მოვიდა ყუმჩუქნი და პოლკოვნიკი კერშინიც დაეთანხმა.

— სანამ ვერსიის შემუშავებას დაიწყებ, კუტირინს მოელაპარაკე. — ურჩია კერშინმა მაიორს. — ექიმებმა ნახვის ნება დავგვრთეს...

7. პერსია ისახება

დილით ყუმჩუქნიმ კუტირინის მკურნალ ექიმს დაურეკა და პარამანოვთან ერთად, საავადმყოფოსაკენ გაემართა.

კუტირინი ცალკე ოთახში იწვა, ფართოდ გაღებული ფანჯარა ბაღს გადასცქეროდა.

პოლკოვნიკმა ყურადღებით მოუსმინა მაიორს. მისი ჰკეიანი თვალები, თითქოს ამბობდნენ: „ვიცოდ, რომ მოხვიდოდი. ეს ისეთი საქმე არაა, რომ ხელის მოსმით გაიხსნასო“.

— რას ფიქრობთ გამომცემლობაზე? — იქნომ იცოდნენ ფულის ამბავი — შეეკითხა კუტირინი.

— არა, გამომცემლობა გამორიცხულია.

— მეც ასე ვფიქრობ. არავის შეეძლო წინდაწინ სცოდნოდა სად წაიღებდა პროფესორი ფულს. ამასთანავე პირადად შევამოწმე, იმ დღეს სამსახურიდან არავინ განთავისუფლებულა, მაგრამ საქმეში აღნიშნა ვერ მოვასწარი.



აქამდე მღუშარე პარამანოვი უეცრად ალბა-
რაკდა.

— იქნებ, გამომცემლობის ბუღალტერიაში
ადრევე იცოდნენ, თუ რა დროს უნდა მიეღო
პროფესორს ფული? დაუშვათ, მდივანს ან ჰო-
ნორარის გამომწერ გოგონას ყავს ქურ-
ლობაში დახელოვნებული კავალერი, რომე-
ლიც წინააღინ გაფრთხილებული, დანიშნულ
დროს მიდის გამომცემლობაში, მორცხვად
დგება რიგში, უცდის როდის გადაუხდინა პრო-
ფესორს ფულს, მერე უკან მიყვება ტაქსით მის
მანქანს. ღამით შეძებრება აგარაკის ბაღში, შეი-
ხედავს ფანჯარაში და... ხომ შეიძლება ასე მომხ-
დარიყო? რა თქმა უნდა. ამგვარი ვერსია გამო-
რიცხული არაა!

— არის. — უბასუხა კუტირინმა.

— რატომ?

— იმიტომ რომ, თქვენ მიერ წარმოსახული
გოგონას კავალერი პროფესორის ახლობელი
უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი „შენობით“
საუბრობდნენ. ასე რომ, თქვენი მოსაზრება და-
მაჯერებელი არაა. — ამჟამად ლიეტენანტს პა-
სუხი ემჩუენიმ გასცა.

— იქნებ მოესმა ჩერენცოვს?

— ვალიამ თქვა, კარგად გავიგონე, რადგან
პროფესორი ძალზე ხმაშედილა ლაპარაკობდა.

— არა, არა, — ფარ-ხმალს არ ყრიდა პა-
რამანოვი, — ეგ დამაჯერებელია იმ შემთხვევაში
თუ ჩერენცოვა სიმართლეს ამბობს ან თუ
სტრუობს?

— დაუშვათ სტრუობს, — დინჯად დაეთანხმა
ემჩუენი. — რად სჭირდება ტყუილი? რომ
თანამონაწილის მიმართ ეჭვი გაუანტოს? ვის
მიმართ? ვთქვათ სიზოვის. იგი მასთან მეგობ-
რობს. დიახ. ვითარება ისე წარიმართა, რომ
სტუმრების წასვლის შემდეგ, სიზოვს შეეძლო
დაბრუნება, ბაღში დამალვა და ჩერენცოვას სა-
შუალებით თათხში შეპარვა.

ამჟამად არა მარტო პარამანოვი, არამედ კუ-
ტირინიც ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა
მაიორს.

— უდავოა ერთი რამ — თუ სიზოვი დამნაშა-
ვეა, შერენცოვას ჩვენება მას არ შეეღის და ეს
საერთოდ არავის შეეღის. ამასთანავე რა საფუ-
ძველი გვაქვს, რომ ასე ვიფიქროთ: სიზოვის თი-
თების ანაბეჭდი რამდენიმე ფიგურაზე? ის რომ
მას სჭირდებოდა ფული? განა, ავადმყოფი ცო-
ლის გამო მკვლელობას ჩაიდენდა? სისულელეა.
კიდევ რა? ის რომ ჭადრაკს კარგად თამაშობს?
იმ საღამოს სიზოვის გარდა შეუძლებელია ვინმე
ყოფილიყო პროფესორის პარტნიორი, ამაში
თითქოს ჩანს ჭეშმარიტება, მაგრამ არ მჯერა,
ყოვლად დაუშვებელია. მეცნიერების მიერ არაა
აღიარებული, მაგრამ ეს ასეა, რომ ბნელ საქმე-

ებში მხოლოდ ბნელი ადამიანები არიან დახე-
ლოვნებულნი. და ეს არაადამიანური მკვლელო-
ბაც სწორედ ამორალური, გახრწნილი კაცის
მიერ არის ჩადენილი.

კუტირინმა გაიღიმა და თვალები მოხუტა.

— რა ვიცით მკვლელის შესახებ? პირველი
რომ პროფესორი ახლოს იცნობდა და
„შენობით“ ელაპარაკებოდა. შესაძლოა სწორედ
მას ესაუბრებოდა პროფესორი სიზოვის მოსვ-
ლამდე ტელეფონით? მეორე — მკვლელი, აგარაკ-
ზე შეიარაღებული, წინააღინ მოფიქრებული
განზრახვით მივიდა.

ემჩუენი აზრების მოსაკრებლად ოდნავ შე-
ჩერდა.

— ბაღში ადრევე შეძებრა, ხოლო სახლში,
სტუმრების წასვლის შემდეგ შეიპარა. მკვლელს
გარეთ მხოლოდ ფანჯრიდან შეეძლო გამოსვლა,
რასაც, ალბათ, კვალის მეშვეობით მალე ექს-
პერტიც დაადასტურებს. დაბოლოს, მკვლელი
კარგად თამაშობდა ჭადრაკს, დაჯანა მოწინააღმ-
დეგე და მოგების აშკარა შესი ჰქონდა. თუმცა...
მაიორი ჩაფიქრდა, — ამ პარტიაში ჩემთვის ჯერ
კიდევ ბევრი რამა გაურკვეველი.

კუტირინმა ირიბად გახედა.

— თქვენ ვერ გაარკვეით თუ რატომ არ და-
ნებდა პროფესორი და განაგრძო თამაში, არა?

— დიახ, სწორედ მაგას ვერ მივხვდი. მის
ადგილზე ყოველი მოჭადრაკე უწყვეტდა თა-
მას.

— მართალი ხართ. პროფესორის ხასიათს არ
გავს, — დაეთანხმა კუტირინი. — ახალი ხომ
არაფერია?

ემჩუენი მოუყვა ვიქტორის ჩამოსვლის ამ-
ბავს.

— გუშინ ჩამოვიდა? საინტერესოა, — გამო-
ცოცხლდა კუტირინი. — შეამოწმეთ, რომ ნამდ-
ვილად გუშინ ჩამოფრინდა?

— განკარგულება უკვე გავეცი.

ოთახში ექიმმა შემოიხედა:

— მეგობრებო, დროა დასტოვოთ ავადმყოფი.

— ღმერთს გეფიცებით, სიკვდილს არ ვაპი-
რებ, — გაიხუმრა კუტირინმა, — ერთი ხუთი
წუთიც დავგაცალეთ, ექიმო.

მაგრამ ექიმი არ დაეთანხმა და სტუმრები
წასასვლელად გაემზადნენ.

— იცით რა, გიორგი ივანეს ძე, — დინჯად
თქვა მაიორმა, — ჩემი აზრით ვიქტორის ჩა-
მოსვლასა და მთელ ამ საიდუმლოებით მოტულ
საქმეს შორის რაღაც კავშირი არსებობს. ასე
ფიქრობს კერწინიც.

კუტირინმა ეშმაკურად თვალები მოხუტა.

— უეჭველად უნდა მონახოთ ხალათი!

— რომელი?

— რომელსაც ღილი აქვს აწყვეტილი.

8. ხალათი მოინახა

ხალათი მოინახა იმავე ღამეს, ძალზე უცნაურ გარემოებაში. მაგრამ შემჩუქნიმ მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო. საავადმყოფოდან დაბრუნებული მთავარი კერძინთან შევიდა, რათა კუტირინთან შეხვედრის ამბავი მოეხსენებინა. პოლკოვნიკი მარტო არ იყო. მის პირდაპირ იჯდა ბერდიანსკიდან ახლახან ჩამოსული, კოხტად გამოწყვებილი მილიციის უფროსი ლეიტენანტი იური შატრინი. ორივენი რვეულიდან ამოხეულ რაღაც დაკმუჭუნულ ქაღალდს დასცქეროდნენ.

— მოხალისე თანაშემწეები გვპირდება, — გაიხუმრა კერძინმა და ქაღალდი შემჩუქნის გაუწოდა. — აი, დახედე.

ქუჭყიან ქაღალდზე ბეჭდვური ასოებით ეწერა:

„უფროსო“ თუ გინდა დაიჭირო „სოკო“, გავზავნე შენები „პრალაში“. საღამო ყამს იქ იქნება კინოთეატრ „პროგრესის“ მწითურ მოლარე ლუსიასთან ერთად. ამჟამად ცხვირი გატეხილი აქვს და ამიტომ ახლა მას ზედმეტ სახელად „ბოქსიორი“ შეარქვეს ამფსონებმა“.

შემჩუქნი ვერაფერს მიხვდა.

— კრასილინოვიცის შემნახველ სალაროზე თავდასხმა გახსოვს? სხვათაშორის ფომენკოს ახლაც სტივია მხარია.

შემჩუქნის გაახსენდა. „სოკო“ ამ საშინელ თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე იყო, სამწუხაროდ მაშინ ხელიდან დაუძვრათ.

— ერთი წელია დავდევთ და ვერ შეგვიპყვრია, — ცხარობდა კერძინი. — რას იტყვი, ვინ ფავავზავნო?

მაიორმა მხრები აიჩეჩა: მან იცოდა, რომ პოლკოვნიკი მხოლოდ ფორმალურად ეკითხებოდა და ყველაფერი უკვე წინააღმდეგობა გააწვეტილი.

— კეთილი, კეთილი, შენებს არ გავავზავნი. შატრინს და მატვეევს დავავალე. ახლახან დაბრუნდნენ შვებულებიდან, — დაასვენა პოლკოვნიკმა და შემჩუქნის შეხედა. — აბა, რა არის ახალი?

შემჩუქნი მოუყვა საავადმყოფოში კუტირინთან საუბარს, აგრეთვე პარამანოვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზაბოლოცის მკვლეელი შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო გამომცემლობის რომელიმე მუშაკთან.

კერძინი დაინტერესდა.

— აიღე და მასვე დაავალე. დაე, კიდევ ერთხელ შეამოწმო.

კაბინეტში დაბრუნებულმა შემჩუქნიმ პარამანოვი გამოიძახა და კერძინის მოსაზრება გააცნო.

— კეთილი, წავალ — თქვა მან და საყვედუ-

რის ნიშნად თავი გადააქნია. — რას ვიხამებ მომიჭიროთ, ამხანაგო მაიორო.

— წადი, წადი. ეგ ხომ შენი ინიციატივია. — გაუღიმა შემჩუქნიმ. მეგრ ტელეფონის მილიაილო და რიჟოვს დელაპარაკა:

— ახლავე წადი ზაბოლოცის აგარაკზე. გაესაუბრები პროფესორის გერს ვიქტორ შესტაკოვს. მისი დედა, პროფესორის ყოფილი მეუღლე ამჟამად აშხაბადის თეატრის მსახიობია. საინტერესოა თუ მოუყოლია მას შელისთვის პროფესორის ხასიათზე, მეგობრებზე და კეთილმოსურნეებზე. მხედველობაში იქონივ, რომ თითქოს ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვაქვს ვიქტორზე და უზრალოდ დამატებითი ჩვენება გვსურს საქმისათვის. ესაუბრეთ არაოფიციალურად. არაფერი ჩაიწეროთ. ეცადეთ საერთო ენა გამოინახოთ. თქვენ უკვე იცით ჩემგან, თუ რა ჩიტიც ბრძანდება. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, მაღლულად გადავღებ სურათი.

საღამოს აგარაკიდან დაბრუნებული რიჟოვი ლაბორატორიაში შევიდა, მეგრ მაიორს გამოეცხადა და, ჯერ კიდევ სველი სურათი დაუდო წინ. სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ვიქტორი, ბაღში მარია ლეოვის ასულს გაცხარებით ეკამათებოდა.

— ფანჯრიდან გადავუღე, — მოახსენა, რიჟოვი.

— დაჯექით და ყველაფერი მომახსენეთ.

— მოსახსენებელი არაფერი მაქვს. იქ ისეთი ატურზაური იყო და ისე ლანძღავდნენ ერთმანეთს, რომ ვიქტორთან გამოლაპარაკების საშუალება ვერ გამოვნახე.

— ვინ ილანძღებოდა და რაზე?

— ყველანი აგარაკზე იყვნენ. შესლა-შემოსლა შემეკვიდრებოდაზე მოუვიდათ. შესტაკოვი ფეხიფეხ გადადებოდა იჯდა. ვალია ბრახობდა, პროფესორის ქალიშვილი სდუმდა. ვიქტორი ხმამაღლა გაიძახოდა: „ჩემი მამობლი დედას ყოველთვის ეხმარებოდა და წილი რომ არ მომცეთ უკანონობა იქნებაო. ვალია ჟინიანობდა — „ბიძას, თქვენ არასოდეს გახსენებხართო“. უფერად პროფესორის ქალიშვილი შეეკითხა: „მანც რას მოითხოვთ?“ ვიქტორმა ირგვლივ მიმოიხედა. „ოუნდაც ნახევარ აგარაკს. გავყვილი ოსლომეჟ ათას მანეთად. ხუთს მე ავიღებ და დანარჩენს დედას მივცემ. აი, ეს სამართლიანი იქნება“. პროფესორის ქალიშვილი სიბრაზისაგან გაწითლდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა.

შემჩუქნის არაფერი უთქვამს და ერთხელ კიდევ გადახედა ფოტოსურათს. თვითკამყოფილი ვიქტორი იღიმებოდა. მისიგან მოკუტუხილი თვალები კი ზემოზდნენ: „აი, ნახეთ, თუ შემეკვიდრებოდნენ წილი არ მივიღოო“.

— ოჰ, რა ტიპია! — თქვა შემჩუქნიმ.

— სტილიაგა, — გააგრძელა რიჟოვმა.

— არა, გაიძვერა, ძალზე დიდი გაიძვერა. ერთი სიტყვით, ხვალ აეროდრომზე წადი და სურათი თვითმფრინავის გამცილებელს აჩვენე.

— გასაგებია, — უბასუხა რიჟოვმა და სურათი ჯიბეში ჩაიღო.

სამმართველოდან გამოსული მთავარი შინისაკენ ფეხით გაემართა. არ სურდა რაიმეზე ეფიქრა და ეოცნება, მაგრამ ცისფერთვალზე ვალია სულ თვალწინ ედგა, თუმც მთავარი თავის თავს არწმუნებდა, რომ არაფერზე არც ფიქრობდა და არც ოცნებობდა. ვაიარა მთავარი ქუჩა და რესტორან „პარლის“ შესასვლელთან იური შატრინს შეეფეთა. ახალთახალ კოსტუმში გამოწყობილმა შატრინმა გვერდზე ჩაუარა ისე, რომ სალამი არ უთქვამს. შემჩუქნიმ გზა განაგრძო და ჩაფიქრდა: „შესაძლოა სასიკვდილოდ მიძღეს. ყველაფერია მისალოდნელი. სწორედ ამგვარ ობერაციის დროს დილუბა კაპიტანი ვერშინინი. მილენუშკინს ზურგში ესროლეს, როცა ქურდების ბუნავის ლიკვიდაციას აპირებდა. რამდენჯერმე თვითონაც გადაურჩა ბანდიტის მიერ ნასროლ ტყვიას.“

ამ დროს შატრინი დინჯად ადიოდა რესტორნის კიბეებზე. იქ ერთ-ერთ მაგიდასთან მეგობარი უცდიდა და მისკენ გაემართა.

სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ლეიტენანტმა მატყევემა მღუმარედ გაუწოდა სკამი.

— ცოლი ჭირვეულობდა, ძლივს დავადარე თავი! — ხმამაღლა თქვა შატრინმა და ნარზანის წყალი შესვა.

— ცოლებმა და ჭკუისდამრიგებლებმა პირდაპირ გავგიჭირეს საქმე. — ასევე ხმამაღლა გამოელაპარაკა ლეიტენანტი, ნარზანი დაისხა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— მარცხნივ, უკანასკნელ მაგიდაზე... ამფონებიც თან ახლავს.

შატრინმა ფრთხილად გაიხედა. მაგიდას ოთხი შეზარხონებული კაცი შემოსხდომოდა. ქერა გოგონა, რომელსაც თმა ცხენის შეკერეული კუდს მიუვავდა, შესცქეროდა ცხვირგატეხილ, ჩაფსკენილ, ფართოყვრილიან ვაჟს. მაგიდას მოპირდაპირე მხარეს იჯდა ცისფერკოსტუმიანი ახალგაზრდა. იგი ყურადღებას არ აქცევდა გვერდით მჯდომ შავგვრემან ქალს და სიმთვრალისაგან ამღვრეული თვლებით ჯიუტად მისჩერებოდა ფართოყვრილიანს.

— კიდევ ერთი შამპანური, — გასძახა ფართოყვრილიანმა ოფიციანტს და ქერა გოგონას მხარზე აკოცა.

— „ბოქსიორი“, თავი დაანებე ლუსიკს, — მუქარით წარმოთქვა ცისფერკოსტუმიანმა და ფეხზე წამოხტა.

შავგვრემანმა ქალმა შიშით შეკვივლამეზობელ მაგიდებთან მსხდომნი გასინდინა.

— ნამდვილად ისაა, — წაიჩურჩულა მატყევემა.

— ქვემოთ, ჩვენებთაგანი ვინაა? — იკითხა შატრინმა.

— როდიონოვი და კოლიშკინი.

— მაშ, უნდა დავაკავოთ. შენ ცისფერკოსტუმისან მოუარე, მე ფართოყვრილიანს.

— ხმაურს არ ასტეხენ?

— ამ მათთვის ხელსაყრელი არაა აურზაური, მაგრამ ქუჩაში „ბოქსიორი“ უქვევლად შეედდება გაქცევის და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

ასეც მოხდა. სამმართველოსაკენ მიმავალი „ბოქსიორი“ შეეცადა შატრინისთვის კისერში ჩაერთყა და გაქცეულიყო, მაგრამ ანგარიშში შეეცადა—მაღე გამომძიებლების მიერ ხელებდაგრებილი ძირს ფართხალებდა და კენესოდა. ცისფერკოსტუმისან ახალგაზრდას მშვიდად ეჭირა თავი. დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ მან ყასიდად ატეხა ჩხუბი, რათა „ბოქსიორი“ დაეპატიმრებინათ. ამის მიზეზი კი მისი სატრფო ლუსია ყოფილა, რომელიც „ბოქსიორს“ ფულებით მოუხიბლავს.

გაჩხრევის დროს „ბოქსიორს“ ოაჩნდა პარსპორტი ნიკოდიმ სინციმის გვარზე, ბაქოდან მომავალ თვითმფრინავის ბილეთი და სამი ათას მანეთამდე ფული. მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამ იყო როცა „ბოქსიორი“ დაკითხვაზე შეიყვანეს, პოლკოვნიკმა მაშინვე ყურადღება მიაქცია პატიმრის ახალთახალ ხალას, რომელსაც აკლდა ერთი დილი და სწორედ ისეთი, როგორც ზაბოლოცკის აგარაკზე იბოვნეს. „ნუთუ?!“ — გაოცდა კერშინი. — თუმც ცოტაა ერთნაირი დილები?.

საშინელი ეჭვი მაინც მოსვენებას არ აძლევდა პოლკოვნიკს. მან რამდენიმე უმნიშვნელო კითხვა მისცა პატიმარს, ბრძანა: დაბლა მოეთავსებინათ იგი და თვითონ შემჩუქნის დაურეკა:

— გთხოვთ, ჩემთან შემოხვიდეთ და აგარაკზე ნაპოვნი დილიც შემოიტანოთ.

— იქნებ უბრალო დამთხვევაა? — წარმოთქვა შემჩუქნიმ და გაკვირვებით შეაქცერდა პოლკოვნიკს. — მაგრამ ფული? თითქმის იმდენივეა პროფესორს რომ სეიფში ჰქონდა.

— დაახუსტეთ, ჩვენს ქალაქში „ბოქსიორის“ ჩამოსვლის მიზეზი. ბილეთის მიხედვით, ამ კვირას ჩამოფრენილა. და აი, კიდევ რა.. — კერშინმა საქაღალდედან ამოიღო „ბოქსიორის“ ფოტოსურათი. — გაემგზავრეთ აგარაკზე და შეიტყვეთ, ხომ არ უნახავთ ეს ტიპი იქაურ

მცხოვრებთ. ერთი სიტყვით, იმოქმედეთ და რაც შეიძლება ჩქარა.

9. „შეგების საიდუმლო“.

ქემჩუენი სადგურის მახლობლად შეხვდა ვაჟი. გოგონას ნაქსოვი შარვალი და მამაკაცის წითელი ხალათი ეცვა და ველოსიპედს ბიჭვით მიაქროლებდა. როცა მათორს მოჰკრა თვალი, ისე სწრაფად შეაჩერა, რომ კინაღამ თხრილში გადავარდა.

— გადარჩი, — რაღაც არაჩვეულებრივად გაიღიმა ვალიამ და თავისი ცისფერი თვალები მათორს სინარულით შეაშუქა.

ქემჩუენის ძალზე აწყობდა ასეთი შეხვედრა სოფლის განაპირა ადგილას. ისინი იქვე კუნძუზე ჩამოვდნენ.

— ერთი მითხარით, როგორ იქცევა თქვენი ძვირფასი ნათესავი?

— თავხედობს, — ვალიას თვალებში ცეცხლოვანი ნაბერწყლები აელვარდა.

— მერე და ვერ გააგდეთ სახლიდან კასრისტეხვით.

— მარია ლვოვის ასულს შეეცოდა. საცოდავს, სულ თავგზა დაებნა ვიქტორის თავხედობით.

— იცით რა, ვალენტინა? მე ცოტა დრო მაქვს, — უეცრად ბოდვის კილოთი წამოიწყო მათორმა, — ამიტომ პირდაპირ საქმეზე მინდა გადავიდე. სიხოვს დიდი ხანია იცნობთ?

— არა, მაგრამ იგი ძალზე წესიერი კაცია. — მოკლედ და ნაწყენი კილოთი უბასუხა ქალიშვილმა.

ამგვარ შეკითხვის გამო მათორი გონებში კიცხავდა თავის თავს, რადგან სიხოვის უღანაშაულობაზე თვითონაც მთელი არსებით დარწმუნებული იყო.

— მამაკით, ვალია. მერწმუნეთ, რომ მე სულ სხვა რამის გაგება მსურდა.

ვალიამ თავი ასწია და ისე შეხედა თითქოს დღეს პირველად ხედავდა ამ ადამიანს.

— რის გაგება გსურთ?

— აი, — მათორმა „ბოქსიორის“ სურათი გაუწოდა, — შემთხვევით, თვალი ხომ არ მოგიკრავთ სადმე ამ ტიპისათვის?

ვალია სურათს დააქებდა.

— არა. ვინ არის?

— საშინო პირიყვება, ცინიდან გამოიქცა. ამ კაცს, ჩვენი აზრით, უშუალო კავშირი აქვს მკვლელობასთან.

— რას ამბობთ? მერე და დაიჭირეთ?

— ჰო, გუშინ ღამით, რესტორან „პარადში“ შევიპყარით.

იმ დღეს მათორი დიდხანს დადიოდა ჩოფელში, იმ მიზნით, რომ გაეგო ვინმეს ხომ არ ენახა „ბოქსიორი“ ამ არე-მარეში. მაგრამ იმედო

გაუტრუვდა. არაქათგამოღებული სადგურის ბუფეტში ლუდის დასაღევად შევიდა.

— ლუდი გამოგველია, — უთხრა კუბატივით ჩასუქებულმა გამყიდველმა ქალმა, — არაყს ხომ არ მიირთმევთ?

— ვმადლობთ, არ ვსვამ.

მებუფეტე ქალი ენაჭარტალა აღმოჩნდა. მაიორმა გადაწყვიტა „ბოქსიორის“ სურათი ეჩვენებინა (ნეტავ ადრე რატომ არ მოიფიქრა?).

ნინამ, ასე ეჩქვა მებუფეტეს, მაშინვე იცნო ფართოყვრილიანი.

— ვიცნობ. გუშინ ბუფეტი რომ დაგვეტე, მეცა და არაყს მთხოვდა.

— შემოუშვით?

— რა თქმა უნდა, არა.

მაიორი ღამის მატარებლით გაემგზავრა ქალაქში. გზაში დაღლილობა მთლად გადაავიწყდა და მღეროდა კიდევ, რადგან საქმეს კარგი პირი უჩანდა.

რიჭოვი, იმ დღეს, მეორედ წავიდა აეროდრომზე. მონახა გამცილებელი, რომელმაც სურათში ვიქტორი და „ბოქსიორი“ ამოიცნო.

— პირველი აშხაბადიდან მოფრინავდა, მეორე ბაქოში ჩავდა, — უბასუხა მან.

რიჭოვმა, ყოველივე ეს, მეორე დღესვე მოახსენა მათორს, მაგრამ ამ ამბავმა უფრო დააფიქრა ქემჩუენი.

— ეს იგი, ყველაფერი ჩაიფუშა, — თქვა მათორმა, — რაშია საქმე? ნუთუ, მებუფეტე შეცდა? მაგრამ დამაჯერებლად რომ ამბობდა?

— მათორი წამოდგა. სტილი გააღო და ასანთის კოლოფი გამოიღო.

— გინახავთ ოდესმე ბარნაულის ასანთის კოლოფი?

— ბარნაულის? არ მახსოვს. მგონი არა. რაზე კითხულობთ?

— აი, ეს კოლოფი, პროფესორის ბაღში ვიპოვნე. ვაიგეთ, გეთაყვა, იყიდება თუ არა ჩვენთან, ბარნაულის ასანთი? როგორც ვიცი, ამგვარი რამ ჩვენს ქალაქში არ შემოაქვთ.

— კეთილი, გავიგებ. მიგვხვდით თქვენს აზრს,

— უბასუხა ლეიტენანტმა.

— ჭადრაკი გვაქვს? — უეცრად იკითხა მათორმა.

— ალბათ, გვაქვს. მოვიტანო? — პირი დააღო გაოცებულმა რიჭოვმა.

როცა ჭადრაკი მოიტანეს, მათორმა უბრძანა ლეიტენანტს, რომ მასთან არავინ შემოეშვათ.

ქემჩუენიმ ჭადრაკის დაფაზე განალაგა ფიგურები ისე, როგორც ფოტოფირზე იყო აღბეჭდილი. დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული, მერე გაითამაშა ერთი ვარიანტი, მეორე... მესამე...

მდგომარეობა ამკარა გახლდათ. პაიკი გადიოდა და თეთრებს სრული განადგურება ელოდა.

ამგვარ მდგომარეობაში წინააღმდეგობა უპრობა იყო. მაგრამ პროფესორი განაგრძობდა თამაშს, რაც დასტურდებოდა ფერფლით და თითების ანაბეჭდებით.

გავიდა ერთი საათი... ორი... მათი წამოღება, სახელურით უნებლიედ შეეხო დაფას, საიდანაც ძირს გადმოვარდა პაიკი და დედოფალი. მათი აიღო, უნდოდა კვლავ დაფაზე დაედო, მაგრამ შეეყოვნა, ფიგურები ვეერღზე გადადო და კვლავ ჭადრაკის დაფას მიუჭდა. ნახევარი საათის შემდეგ პარამანოვს დაურეკა სახლში.

- რას აკეთებთ ამჟამად?
- არაფერს. ჩაის გეახლებით.
- მაშ, მოდით სასწრაფოდ. არ ინანებთ.
- პარამანოვი იქვე ცხოვრობდა და რამდენიმე წუთში მათთან გაჩნდა.
- რაშია საქმე?
- აი, შეხედეთ ამ პარტიას.
- ვხედავ.
- წინააღმდეგობა ხომ სისულელეა?
- რა თქმა უნდა.

— აიღეთ პაიკი და დედოფალი, მხოლოდ შავი. აი, ასე. ახლა დაუკვირდით.

— ამჟამად თითქოს თეთრები იგებენ... ანდა ყაიშია, — თქვა ჩაფიქრებულმა ლეიტენანტმა.

— არავითარი ყაიში, ნამდვილად იგებენ, — ხაზგასმით თქვა მათთან. — თეთრები იწყებენ და იგებენ.

— იწყებენ და იგებენ... მექანიკურად ვაიმეორა ლეიტენანტმა ისე, რომ დაფისათვის თვალი არ მოუცილებია. — ეტიუდი? — უეცრად გამოცოცხლა პარამანოვი.

— ჩვეულებრივი, ერთსვლიანი ეტიუდი, მე უკვე ამოვხსენი.

— რაშია საქმე? — გაცოცხლა ლეიტენანტი. შემუხუნე მავიდას მიუახლოვდა და ორი შავი ფიგურა აიღო.

ხსნიდა.—მათორმა ფიგურები კვლავ ჭადრაკის დაფაზე დააწყო.—როცა სტუმარი მოვიდა, პროფესორი წამოდგა, რასაც მოჰყვა საუბარი, რომლის შინაარსი ჩვენთვის უცნობია. პროფესორს უკითხავს: რატომ გაცვიათ ხელთათმანები?



სტუმარს შეეძლო ეპასუხა: თითები მტკიავდა ან ამის მსგავსი რამ. ჭადრაკის სათამაშოდ არადინ დამეცარა. ფინალი ცნობილია. მკვლელს დაჯახება, ან უნებლიედ შეეხება ჭადრაკის დაფას, საიდანაც ძირს გადმოვარდნილა ფიგურები. აი, ასე. — მათორმა ძირს დაყარა პაიკი და დედოფალი. — რა ქნა მკვლელმა? მან ფიგურები აიღო და მექანიკურად დასდო დაფაზე. აი, ხედავ, პაიკი და დედოფალი ოდნავ დაცილებულია უჯრედებს. სწორედ მაშინ, დაებადა ბოროტმოქმედს აზრი, მოეწყო ჭადრაკის ინსცენირება, რათა გამოიღებისათვის გზაკვალი აეზნია. იმ არამზადამ, აიღო საერთო, დიდ მაგიდიდან პირველივე ჭიქა, საფერფლე, ჭადრაკის მახლობლად დასდო, საფარტელიც მოსწია და ამგვარად დაიბადა ვერსია მოჭადრაკე მკვლელზე.

— მაშ, ფიგურებზე რატომაა სიზოვის თითების ანაბეჭდები? — ჰკითხა პარამანოვმა.

— სიზოვმა ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ მგონი ვესმარებოდი პროფესორს ფიგურების განლაგებაში, ზუსტად არ მახსოვს, რადგან ცოლისგან არასასიამოვნოდებეშა მივიღე და გონება არეული მქონდაო. იცი რა კოლია, ხვალვე აშხაბადში უნდა გაფორნდე. ნუ ჭუტავ გაცივრებებით მავ თვალებს. ახლავე ავიხსნი რატომ...

10. ახალი კვალი

როცა პარამანოვი ავტობუსით აშხაბადის სასტუმრო „ოქტომბერს“ მიადგა, ძირს ჩამოსულს მოეჩვენა, რომ ასფალტი დადნა. თერმო-



მარცხნივ—ფოტოსურათზე აღბეჭდილია მდგომარეობა ჭადრაკის დაფაზე. წრეში ნაჩვენებია შავების ზედმეტი ფიგურები. მარჯვნივ—ჭადრაკის დაფა ზედმეტი ფიგურების გარეშე. ეტიუდი: თეთრები იგებენ.

— ესენი, აი, აქ იღო, — მათორმა ფოტოზე აღბეჭდილ პატარა მავიდაზე მიუთითა, სადაც უამრავი ფიგურები ელაგა. პროფესორს ნამდვილად პარტნიორი არ ყავდა, უბრალოდ ეტიუდს

მეტრი ჩრდილში ორმოც ვრადუსს უჩვენებდა. აშხაბადის მილიციის თანამშრომლებმა ურჩიეს პარამანოვს, ვიქტორის დედა, მსახიობი ელენსკაია პირადად ენახა. რაც შეეხება „ბოჭ-



სიორის“ შესახებ კატეგორიულად განაცხადეს — აქაური არააო.

— მსახიობი ელენსკაიას ნახვა, არც თუ ისე ძნელი აღმოჩნდა. იგი ცხოვრობდა მილიციის ვეზრდით მდებარე ახალ სახლში, რომლის ფანჯრები ვადაწყურებდა ეზოს, სადაც აკაციის ხეები შრიალდნენ. აქ უფრო გრილოდა, ვიდრე ქუჩაში და პარამანოვმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ორმოცი წლის თეთრთმიანი ელენსკაია ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

— რით შემოძლიათ გემსახუროთ?—ჰკითხა მან ლეიტენანტს.

— თქვენი ყოფილი ქმრის შესახებ თუ იცით რამე?

ქალი წელში გაიმართა.

— ვიცი, ვაზეთებში ამოვიკითხე მისი სიკვდილის ამბავი. ნეტა რითი მოკვდა?

პარამანოვი დეტალურად მოუყვა ყველაფერს. თავდახრილი ქალი დიდხანს დუმდა.

—საშინელებაა... პირდაპირ საშინელება, — ამოილულულა ბოლოს მან. — ჩემგან რაღა გასურთ?

მე ჩამოვედი იმიტომ, რომ გამერკვია, ხომ არ იცოდით ისეთი რაიმე დეტალი, რომელიც საქმის გახსნაში დაგვეხმარებოდა. ამასთანავე მსურდა გამეგო, ხომ არ აცხადებთ პრეტენზიას მის შემკვიდრებაზე?

— პრეტენზიაო? რატომ? რისთვის? მე არავისი არაფერი არ მინდა!

— აი, თქვენი შვილი კი ხუთი ათას მანეთს მოითხოვს.

ალბათ, ვერ შეეძელი აღზრდა. რას აკეთებს და რითი ცხოვრობს არ ვიცი. ხანდახან შემობრბენს ხოლმე და ფულს მთხოვს, მეც ვაძლევ. შვილია, რა ვქნა. თავის საქმიანობაზე არაფერს ამბობს. მგონი რომელიღაც კინოსურათში მონაწილეობდა, მაგრამ მსახიობი ვერ გამოვა, რადგან სულ რესტორნებში დაეხეტება. ნეტა, ხომ არაფერი შეეშობება?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ მისი ყოფილი ცევა...

— კინოსტუდიაში ბევრი მეგობრები ჰყავს,— გამომშვიდობებისას უთხრა დიასახლისმა ლეიტენანტს, — იქ შეუძლიათ დეტალურად მოგიყვანონ მის შესახებ.

კინოსტუდიაში ვიქტორზე ახალი არაფერი უთქვამთ. სამაგიეროდ ვიქტორის ყოფილმა მეუღლემ, ლეიტენანტს საინტერესო ამბავი მოუთხრო: „პროფესორთან გამგზავრების წინ, ვიქტორი ბაქოში იყო. თუმცა მიმალავდა, მაგრამ შემთხვევით მის ჯიბეში ბილეთი ვნახეო“.

ლეიტენანტმა „ბოქსიორის“ სურათი აჩვენა. გენრიეტამ გულგრილად უპასუხა: არ ვიცნობ და არც სადმე შემეხვედრიაო.

პარამანოვმა მამინვე დაუტყვა ექმიუქნის. მაიორმა უბრძანა:

— ახლავე ჩადით ბაქოში. ისინი, ალბათ, ჩვენთან სწორედ იქიდან ჩამოფრინდნენ. სიაში ვერ მონახავ. სხვის გვარებით გატარდებოდნენ რეგისტრაციაში. ფოტოსურათები თვითმფრინავის გამოცილებელს აჩვენე, იქნებ ამოიცნოს.

11. თეთრები იწყებენ და იგაგან

კერშინმა ექმიუქნის თანდასწრებით კვლავ დაკითხა პატიმარი.

„ბოქსიორს“ ფართო ყვრიმალინი სახე შესიებოდა და გამაძლარ კატას მიაგავდა.

— მოკატუნებას თავი დაანებე. შენ ხომ ჭკვიანი ვატი ხარ, რა საჭიროა საქმის გაჭიანურება? — უთხრა პატიმარს კერშინმა.

— გაჭიანურება? — დამცინავად გაიმეორა „ბოქსიორმა“ და აღმაცერად გადახედა ექმიუქნის. „ნეტა, ამას რაღა უნდაო?“—ლაპარაკობდა მისი თვალები, მაგრამ სულ სხვა რამ წამოაყრანტალა: — ვაჭიანურებ და ვაჭიანურებ! ბოლოს და ბოლოს სულელობისთვის რამდენიმე დღით ჩამსვაგენ და, ამაზე, განა ღირს ნერვების აშლა, ამხანავო უფროსო?

— ღირს, — განაგრძობდა კერშინი. — სერიოზული საქმეა.

— მერე რა რომ, რაღაცის გადაბრალება გასურთ. პროკურორი ყურს არ დაგივდებთ. დამამტკიცებელი საბუთები არ გაგაჩნიათ..

— მალე საბუთებიც მოიქებნება.


— ნეტა რომელი? — სრულიად გულგრილად ჰკითხა „ბოქსიორმა“.



— დეკრთო ჩემო! — წამოიყვირა ქალმა. — რა უფლება აქვს? — ახლავე, ახლავე დებე-შით ვაცნობებ, რომ კაპიკი არ მისცენ...

ქალმა ვედარ შესძლო საუბრის გაგრძელება. მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა და ხელებით ისრესდა ჩამუქებულ თვალებს. როცა დაწყყნარდა საუბარი განაგრძო:

— ბავშვი სრულიად დამშორდა ბოლო დროს.



— თუნდაც დილი, — დინჯად უბასუხა პოლკოვნიკმა. — დილი და პროფესორის ბაღში ნაპოვნი თქვენი კოსტუმის ძაფები, რომელსაც ექსპერტიზაც აღასტურებს.

— ექსპერტიზა შემცდარა.

— ფულიც ზუსტად ისეთივე და იმდენივე აღმოგჩნდათ, რამდენიც ზაბოლოცკის სეიფში იყო, — განავრძობდა კერწინი და ყურადღებას არ აქცევდა პატიმრის ლაპარაკს.

— ვანა ბანკში ცოტაა მსგავსი ფული? — დაიჯღანა „ბოქსიორი“.

— სწორედ ბანკის მეშვეობით დავადგინეთ... ამასთანავე მკვლელობის დროს აგარაკზე უნახიხართ, რაშიც მეტუფეტეს პირზე დადგომის შემდეგ გამოტყდით.

— გავისვირნე, რა მოხდა. — უბასუხა „ბოქსიორმა“.

— ხომ არ იცნობთ ვიქტორ შესტაკოვს? — ჩაერია საუბარში ყემჩუყნი.

— შესტაკოვს? არა. — გულგრილად წარმოთქვა მან.

— მაინც რა მიზნით წახვედით ქალაქგარეთ?

— საოცარია. რატომ დადიან ქალაქგარეთ? მხოლოდ თევზის საჭერად!

— იქ რომ მდინარე არაა?

— ცდებით. არის ტბა, თუმცა თევზების რა მოგახსენოთ. ორიოდ საათი ვიყავი და ხელცარიელი წამოვედი.

— შესტაკოვთან ერთად?

— რომელ შესტაკოვთან? მე გეუბნებით, რომ მარტო ვიყავი. კერწინმა პატიმარს ვიქტორის სურათი აჩვენა. „ბოქსიორის“ თვალეში თითქოს რაღაც ნაებრწყლები აელვარდა, რომელიც მყისვე ჩაქრა.

— არ ვიცნობ და არც ოდესმე მინახავს.

— ვიცოდი რომ ასე იტყოდით. თქვენ ხომ ერთმანეთს არ უნდა იცნობდეთ, ეს ხომ მისი იდეაა? აი, აქედან ჩანს. — პოლკოვნიკმა ყემჩუყნის მიერ თხრილში ნაპოვნი პაპირისის ყუთი გაუწოდა.

— როდის ჩამოფრინდით ბაქოდან? — სწრაფად შეეკითხა მაიორი.

— შაბათს.

— შესტაკოვს არ შეხვედრიხარ იქ? — პატიმარმა ზიზღით თავი ვაღიქნია.

მაიორი მიხვდა, რომ მათი პოზიცია მერყევი იყო. საჭიროება მოითხოვდა სწრაფად მიეყვანათ ვიქტორი და თვითმფრინავის გამცილებელი ქალი. მაგრამ „ბოქსიორი“ გაიყვანეს თუ არა, ტელეფონი აწყრიალდა. მილი კერწინმა აიღო.

— დღეს სადამოთი? — ყურები ცქვიტა კერწინმა, მილი დაკიდა და მაიორს მიუბრუნდა

— დარეკა ვალენტინამ. ვიქტორი თურმე სადღაც აპირებს გამგზავრებას.

* * *

ყემჩუყნი და რიეოვი დინჯად უახლოვდებოდნენ ზაბოლოცკის სახლის გაჩახჩახებულ ვერანდას.

სიზოვი და ვალია ჩაის სვამდნენ.

ოთახიდან ვერანდაზე პირში პაპიროსგაჩრილი ვიქტორი გამოვიდა, ნაფაზი დაარტყა და ნამწვი ბაღში ისროლა.

— ამ ქვეყნად რომეოსა და ჯულიეტას რომანზე უკეთესი არაფერია. — გამკილავედ წარმოთქვა მან.

ყემჩუყნი და რიეოვა ნაბიჯს შეუწელებს. სმენა გაამახვილებს. აინტერესებდათ რა პასუხს გასცემდნენ ვიქტორს.

ვალია შეიშშუშნა. სიზოვმა შემოღობრუნებლად უბასუხა.

— თქვენ ძალზე ურცხვი და თავხედი ხართ შესტაკოვ!

— გეწყინათ? — გაიჯღანა ვიქტორი. — საწყენი აქ არაფერია, ისა სჯობია, ჩაით გამიმსპინძლედეთ?

— ჩაი უკვე გაცივდა. — უხეშად მიმართა ვალიამ.

— რა იქნებოდა, ისე, ზრდილობის გულისთვის გაგაცხულებინათ!

— მეც მიწა ჩაი! — მხიარულად წაშიძახა ამ დროს კიბზე ამოსულმა ყემჩუყნიმ, რომელმაც მაშინვე შენიშნა სამი განსხვავებული რეაქცია: სიზოვის უკმაყოფილება, ვიქტორის დამკინიანი ცნობისმოყვარეობა და ვალიას სიხარული.

— ლეონიდ ნიკოლოზის-ძევე, კარგია რომ მობრძანდით. ახლავე მოგართმევთ ჩაის.

სიზოვი წამოდგა და ყემჩუყნის და რიეოვს ხელი გაუწოდა.

— როგორაა საქმეები „შერლოკ ხოლმსებო“, მონახეთ ჩემი მამობილის მკვლელი? — თავხედურად იკითხა ვიქტორმა.

— წარმოიდგინეთ რომ მოვნახეთ.

სიზოვს შუბლზე ოფლმა დაასხა და სწრაფად ცხვირსახოცით მოიწმინდა. ვალიამ მექანიკურად ჩართო ელექტრონის ჩაიდან და გაკვირვებით მიამტერდა ყემჩუყნის.

— მერე და დააპატიმრეთ? — ირონიულად თქვა შესტაკოვმა.

— დიახ, დავაპატიმრეთ.

— გამოტყდა? — ვიქტორის ხმაში იგრძნობოდა არა მარტო ირონია, არამედ დაუფარავი ცნობისმოყვარეობაც.

— ჯერჯერობით, არა, მაგრამ ამ ორ დღეში ყველაფერს დავაფქვევინებთ.

— ვინაა? — იკითხა ვალიამ.

— გახსოვთ, სურათი რომ გაჩვენეთ? ჯიბეში სამი ათასი მანეთი აღმოჩნდა. ხალათზე სწორედ იმგვარი ღილი აკლდა, აქ რომ ვიპოვნეთ. ამასთანავე შალის ძაფები მისი კოსტუმისა გამოდგა.

— ღილი? აი, თურმე რატომ აინტერესებდა ხალათები პარამანოვს.

— სისულელეა. — ღიმილით უგულებელყო ვიქტორმა. — ჯერ უნდა დადასტურდეს, რომ ღილი ნამდვილად მისია, ამასთანავე ფული არაა დამამტკიცებელი საბუთი.

— ჭრილობა?.. — სიტყვა ბანზე აუგდო მთორმა.

— რა ჭრილობა?

— როცა მკვლელს მაგიდიდან გასაღები აუღია სამართებელზე გაუჭია ხელი. ექსპერტის დასკვნით პატიმრის სისხლი მაგიდაზე დაღვრილს ედრება.

ვიქტორმა უნებლიედ ხელზე დაიხედა. ასევე მოიქცა სიზოვიც.

ჟემჩუჟნიმ გამოცდილ მეთევზესავით კვლავ ანკესი ისროლა.

— ამასთანავე ის, აქ სადგურში უნახავთ!

— მერე და რა მოხდა? — აღუშფოთებლად თქვა ვიქტორმა. ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ კვლავ გულგრილად იკითხა — ვის შეეძლო ენახა?

— თუნდაც თქვენ, ვიქტორ პეტრეს-ძევ? — მაიორმა „ბოქსიორის“ სურათი გაუწოლა.

ვიქტორმა სწრაფად დახედა, მაიორის ხმამ შეაკროთ, მაგრამ როგორც კი გულლიათ მომღიმარ ჟემჩუჟნის შეხედა, დაწყნარდა.

— ჰო, მართალი ბრძანდებით — სიტყვა გააგრძელა მან — მოფრინავდა ჩემთან ერთად. უფრო ადრე, ბაქოს რესტორანში შემხვდა.

„მთლად შტერი არაა — გაიფიქრა მაიორმა — მიხვდა, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით და სწრაფად გამოიტანა დასკვნები“.

— აი, სწორედ ეგ მინდოდა გამეგო. თქვენ ბილეთები ერთი და იგივე რეისისა.

— ნება მომეცით, — ჩაერია საუბარში აღუშფოთებული სიზოვი — შესტაკოვი ხომ ამ კვირის ჩამოფრინდა? მკვლელობა კი...

მაიორი სდუმდა და მშვიდად იღიმებოდა.

— შესაძლოა სცდებით, ლეონიდ ნიკოლოზის-ძევ? — წამოცა ვალიას.

— არა, ვალია. შეცდომა გამორიცხულია.

— მაშ, ეს როგორ?

— ხომ შეეძლო მეორედ გადმოფრენა?

— რატომ? — გაოცდა ვალია. — რა საჭიროა გაფრენა და მერე ხელმეორედ გადმოფრენა, როცა უფრო საიმედოა უშიშარ ადგილას თავის შეფარება?

მაიორი კვლავ ისეთი ღიმილით შესცქეროდა ვალიას, თითქოს ვიქტორის დაძაბულობას ვერ

ამჩნევსო. მხოლოდ სიზოვი მიშტერებდოდა ცნობისმოყვარეობით შესტაკოვს.

— ძალიან გაინტერესებთ საქმის ვითარება? — დაიწყო ჟემჩუჟნიმ, რომელიც მხოლოდ ვალიას შესცქეროდა და ცდილობდა ვიქტორისთვის ყურადღება არ მიექცია. — თქვენ როგორც იურისტი და მომავალი გამოძიებელი შეეცადეთ წარმოიდგინოთ დანაშაულის აი ამგვარი სურათი. საღამოა... თქვენ სტუმრები გააცილეთ..

— ბიძია ფანჯარასთან იჯდა — განაგრძო ვალიამ. — მას ხშირად უყვარდა იქ ჯდომა. უცნობმა მოხუცი მარტო დაინახა და მესრებს შორის შეუმჩნევლად შემოძვრა. მერე, რაც მოხდა, ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილია... — დაამთავრა მან.

— ვიქტორმა რაღაც არადადამიანურად გაღიხარხარა.

— ხან ღილი და ხან კი ფულიო?! ღმერთს გეფიცებთ, თვითშემოქმედებით მხატვრულ ინსცენირებას ჰვავს. უმჯობესია, ის ავციხნათ მაიორო, სახელგანთქმული თუ რაიონის მასშტაბის მოჭადრაკე დაპატიმრეთ? თორემ გაუგებრობას აქვს ადგილი. კაცი გასაქურდად შემოვიდა და ჭადრაკის თამაში დაიწყო?

— ჭადრაკი არავის უთამაშია — ირონიულად გაიღიმა მაიორმა.

— რაო? — ფეხზე წამოხტა სიზოვი. — მაშ, დაუმთავრებელი პარტია?

— არაფერთარი პარტია არ შემდგარა. უბრალოდ, პრაფესორი ეტიულს სწყევტდა. მერე გაჩვენებთ. დიახ, ეტიულს — გაიმეორა მაიორმა. — რაც შეეხება ორი ზედმეტი ფიგურა, ყასიდად დასდო დაფაზე მკვლელმა, რათა პარტიის ინსცენირება მოეწყო.

ფეხზე მდგარი ვიქტორი უეცრად დაჭდა, ხელები აუკანკალდა, გაღიმება სცადა, მაგრამ მხოლოდ ყბა მოედრიცა.

ბალის სიღრმეში კაჭკაჭმა ხმამალა დაიჩხავლა.

— ვინ არის? — შეკრთა ვალია.

— არავინ, ჩიტია — გადაიხედა სიბნელეში მაიორმა. მერე ვიქტორს მიუბრუნდა.

შესტაკოვი ღუმიდა და ტუჩებს იკვნეტდა.

— ბაღში, ბარნაულის ქარხნის მიერ გამოშვებული ასანთის კოლოფი ვიპოვნეთ. მაგღაგვარი რამ ჩვენს ქალაქში არ იყიდება. აი, აშხაბაღში კი... მაიორმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ვიქტორს — თავსაყრელადაა. ასე არაა?

— არ ვიცი — უპასუხა მან მისუსტებული ხმით.

— არსებობს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი — დაუმბატა ჟემჩუჟნიმ. — მესერზე კრემისფერი კოსტუმის ძაფები აღმოვაჩინეთ.

ვიქტორი უხერხულად ამოძრავდა, სავარძელი ააჭრიჭინა და ხელები მაგიდაზე ბრტყლად დასდო. „მოტყდა — გაიფიქრა შემჩუქენიმ. — მალე სულიერადაც დაეცემა“. მართლაც, ვიქტორმა უცერად ხელები თვალებზე აიფარა.

— რა მოვივიდით? — შეეკითხა ვალია.

— დიდი ხანია რაც თვალები მტკივა. ვადა-ოებაზე გამიფუჭდა, — თქვა ვიქტორმა, წამოდგა და წასვლა დააპირა.

— მოიცადეთ — უთხრა შემჩუქენიმ. — ისეთი რამე მსურს ვთქვა, რომელიც თქვენც დაგინტერესებთ... მაიორმა სიზოვს გადახედა.

— მიგიხვდით — ღიმილით თვალი ჩაუკრა სიზოვმა — თქვენ ვინდით განგვიმარტოთ, პროფესორი ბოროტმოქმედს „შენობით“ რატომ მიმართავენ, ხომ სწორია?

— დიას, ბოროტმოქმედი ორი იყო. — დაიწყო შემჩუქენიმ. ვიქტორი ნელ-ნელა კარებისკენ მიიწვიდა. — მოიცადეთ, საით მიგეჩქარებათ?

იმწამსვე შესტაკოვი ვერანდაზე შეხტა და ბალის სიბნელეში გაუჩინარებდას შეეცადა, მაგრამ სიზოვმა დაასწრო ყველას, ხელი ჰკრა და ვერანდაზე გაშხლართა.

რჩეოვი ვიქტორს მაშინვე თავზე დაადგა.

— გმადლობთ, — თქვა შემჩუქენიმ და სიზოვს ხელი ჩამოართვა.

— პირიქით — გაიღიმა სიზოვმა. — მოხარული ვარ, რომ თქვენი ლეგენდის მთავარი გმირი გახვდით... ესენი ვინდა არიან? — შემოტრიალდა ხმაურზე იგი.

ბალში ორნი მორბოდნენ: შატრინი და ახლახან ბუქოდან ჩამოფრენილ პარამანოვი.

— დასახმარებლად მოვიჩქაროდით — ქლოშინით თქვა პარამანოვმა.

— საჭირო აღარაა — უპასუხა მაიორმა.

შატრინმა და რჩეოვმა მაგრად ჩასჭიდეს ხელი ბოროტმოქმედს და წაიყვანეს.

ვიქტორი დამორჩილებოდა ბედს, ცხვირპირი ჩამოეშვა და ბავშვივით სლუქუნებდა.

— ოჰ, რა არამზადაა — ზიზლით წამოიძახა სიზოვმა. — ნეტა, რომელ მათგანმა მოჰკლა?

— გავარკვევთ — თქვა წარბშეკმუნულმა შემჩუქენიმ. — ჩემის აზრით, „ბოქსიორი“ ბალში უცდიდა. ვიქტორმა კი ზურგში ჩასცა დანა პროფესორს იმ დროს, როცა იგი ფანჯარაში გადასახედად შემობრუნდა. მერე ორივემ ერთად მოუღეს ბოლო...

— თქვენ რატომ აღარ დამირიქეთ? — ახლა პარამანოვს მიუბრუნდა მაიორი.

— ხაზი დაზიანებული იყო. ყველაფერი დავაუსტეს.

— ბაქოში შეთანხმებულან, გადმოფრენილან და ისევ იქ აპირებდნენ დაბრუნებას...

— ვერ გამოვია?! — გაისმა ვალიას აღელვებული ხმა — ხელმეორედ რაღაზედ მოვიდა?

— მემკვიდრეობისათვის, ვალია — მკაცრად თქვა შემჩუქენიმ — ზუსტად გამოიანგარიშა, არამზადამ, რამდენი შეეძლო მის მიერვე მოკლული ადამიანის ნათესავეებისაგან წაეგლიჯა.

სიჩუმე კვლავ ვალიამ დაარღვია. იგი აღტაცებული შესცქეროდა მაიორს და მოულოდნელად წამოიძახა:

— დემეტო ჩემო, მე მხოლოდ ახლა შევამჩნიე თუ როგორ დავსვრით თეთრად გაქათქათებული კიტელი.

— გაიკონეთ? თეთრები იწყებენ და ივებენ — თვალი ჩაუკრა პარამანოვმა სიზოვს და კარებისკენ გაემართა. სიზოვიც უკან დაედევნა.

შემჩუქენი ბურანში იყო, ვერავის ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. მხოლოდ ვალიას შესცქეროდა და მისი ხელი ისე ჩაებლუჯა თითქოს ეშინია არავინ წამართვასო.

— კვლავ როდის ვისრიალოთ გორგოლაჭებზე — ჰკითხა ბოლოს მაიორმა.

— ხვალ მოსკოვში გადავიდვარ. კვირას დილით... თვალები მოჭუტა ვალიამ. — უეჭველად კულტურის პარკში მობრძანდით.

თარგმნა ბორის მირცხულავამ.

საპარტიო სსრ უმაღლესი სასამართლო პლენუმი

15 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

ინფორმაციით — „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 15-23 ოქტომბრის პლენუმის შედეგები“; — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. მიისურაძე.

— სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, — ამბობს მომხსენებელი, — განიხილა სასამართლოების საქმიანობის გაძლიერების საკითხები, იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლინებისა და აღმოფხვრისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებას.

— პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სოციალისტური საკუთრების გატაცების საქმეებზე საჯარო სასამართლო პროცესების ჩატარებას, მის ფართოდ გაშუქებას პრესაში, საზოგადოებრიობის ჩაბმას საქმეთა განხილვაში დიდი გამაფრთხილებელი და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს.

პლენუმმა სასამართლოებს მიუთითა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების აცილების ღონისძიებანი მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ სასამართლოები დროულად განიხილავენ საქმეებს, გამოიტანენ დასაბუთებულ განაჩენებს და გამტაცებლებს შეუფარდებენ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრ ზომებს, გამოავლენენ ყველა პირს, ვინც მონაწილეობდა გატაცებაში.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე მოხსენებები სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ სახლების, აგარაკებისა და ნაგებობების აუნაზღაურებელი ჩამორთმევის საქმეებზე, რომლებიც აშენებულია ან შექმნილია არაშრომითი შემოსავლით.

— პლენუმმა მიიღო დადგენილება „სასამართლო პრაქტიკის შესახებ ზარალის ანაზღაურების სარჩელის გამო“.

— პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კულიკოვის ინფორმაცია სასამართლობის მდგომარეობის შესახებ 1963 წლის პირველ ნახევარში. პლენუმზე აღინიშნა, რომ

სასამართლობა კვლავ კლებულობს, მათ შორის მძიმე დანაშაულობათა გამოც.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მოისმინა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ვ. იოსავას მოხსენება „საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკა სამუშაოზე აღდგენის საქმეების შესახებ“.

მიღებულ დადგენილებით სასამართლოებს დავალათ მტკიცედ დაიცვან მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებები, ამ კატეგორიის საქმეები გააჩინონ დროულად, გამოიტანონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები და განიხილები. სასამართლოებს რჩევა მიეცათ ჩაატარონ ლექცია-მოხსენებები და საუბრები მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხებზე.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ვ. დევდარიანის მოხსენება „საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკის შედეგები იმ იურიდიული ფაქტების დადგენის საქმეებზე, რომლისაგანაც დამოკიდებულია მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა და მოსპობა“.

პლენუმმა მიიღო საოქმო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ალ. ლუღუნაშვილის მოხსენების ირგვლივ „მაიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობის შესახებ“.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა, ქალაქ თბილისის რაიონების სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებმა.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები კონკრეტულ საქმეებზე.

წ. მენაშენიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.


კომუნისტური
პარტია

**ღონისძიებანი მიქვნილი პარტიის ხანსრალური კომისიის
ინისის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის შესახებ, სერიოზული ამოცანები დასახა კადრების პოლიტიკური აღზრდის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

ასრულებენ რა პლენუმის გადაწყვეტილებებს საქართველოს სსრ პროკურატურის ხელმძღვანელობამ პარტიულ-პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად პროკურატურის ცენტრალურ აპარატში მომუშავე თანამშრომელებისათვის ჩაატარა მთელი რივი შინაარსიანი ღონისძიება.

მოეწყო თეორიული კონფერენცია მიძღვნილი პარტიის იენისის პლენუმისადმი, სადაც მოხსენებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორები გ. გვასალია, ს. ჯინჯიხაშვილი, შ. ჭანტურია და სხვები.

პარტიის იენისის პლენუმს მიეძღვნა თემატური საღამო. საღამოში მონაწილეობა მიიღეს პლენუმის მონაწილეებმა, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა, პოეტ-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ და პოეტმა ი. ნონეშვილმა.

თემატური საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ.

დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი ი. აბაშიძის, ი. ნონეშვილის სიტყვები. მათ ილაპარაკეს პარტიისა და მთავრობის უდიდეს ზრუნვაზე ლიტერატურის, ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის, აგრეთვე მომავალ შემოქმედებით გემგებზე, წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები.

საყურადღებო იყო კრიტიკოს ბ. ჟღენტის მოხსენება. მან ილაპარაკა საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ, ქართული მწეოლობის ამოცანებზე.

რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორებმა ი. ჩაღუნელმა და ო. ზანგურმა სღამოზე თავიანთი გამოსვლა მიუძღვნეს პროკურატურის მუშაობის, მწერლების, ერთობლივი მუშაობის აუცილებლობას ახალი ადამიანების აღზრდის საქმეში.

სერიოზული ყურადღება ექცევა პროკურატურის თანამშრომლებში ლექციურ პროპაგანდის გაშლას. ლექცია-მოხსენებებს კითხულობენ როგორც მოწვეული ისე ადგილობრივი ძალები. დიდი ინტერესი გამოიწვია პარტიის იენისის პლენუმის მონაწილის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. მერკვილაძის გამოსვლამ, დოცენტ ა. ავალიანის, თადარიგის გენერალ-მაიორის გ. ყურაშვილის ლექციებმა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, განყოფილების პროკურორების შ. ხანაშვილის, გ. ჟორჯოლაძის მოხსენებებმა პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობას პარტიულ-პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გათვალისწინებული აქვს ბევრი სხვა ღონისძიების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს პარტიის იენისის პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას პროკურატურის მუშაკთა თეორიული და კულტურული ღონის ამაღლებას.

გ. გოგუაძე,

საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე აღსრულებაზე კონტროლის დარგში, იუსტიციის მრჩეველი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაიფურცლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ზეპირი ჟურნალის — „მართლმსაჯულების სადარაჯოზე“ — მორიგი ნომერი.

პირველი გვერდი მიეძღვნა თემას — „კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია“, რომელზეც ისაუბრა დოც. გრ. ერემოვმა.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით წინაშეწინდელი საქმეთა გამომძიებლის, იუსტიციის უფროსი მრჩეველის დავით ქორიძის გამოსვლა — „გამომძიებლის დღეურიდან“. მან დამსწრეთ გაუზიარა თავისი მუშაობის გამოცდილება, მოიყვანა რამდენიმე საინტერესო მაგალითი მის მიერ გამოძიებული რთული საქმეების გახსნისა.

„გებრძოლთ ახალგაზრდობაში დანაშაურობის შემთხვევებს“ — ამ თემას მიეძღვნა მილიციის პოლკოვნიკის ქ. გიორგაძის გამოსვლა. მან დაასახელა ახალგაზრდები, რომლებიც გაურბიან შრომას, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, რასაც ისინი დანაშაულობამდე მიჰყავს.

ჟურნალის მეორე გვერდი მიეძღვნა ლიტერატურასა და ხელოვნებას. დამსწრეთ ესაუბრა

გაზეთ — „ლიტერატურული საქართველოს“ — რედაქტორი, პოეტი იოსებ ნონეშვილი, რომელმაც შემდეგ წაიკითხა საკუთარი ლექსები.

ჟურნალის მესამე გვერდი სპორტს დაეთმო. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. გვახარია ილაპარაკა საქართველოს, კერძოდ, თბილისის წყალბურთელთა შედეგებზე, ვრცლად შეეხო იმ ახალ ამოცანებს, რაც ქართველ წყალბურთელების წინაშეა დასახული.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჟურნალის მეოთხე გვერდმა — „ნიურნბერგის პროცესის მონაწილის შთაბეჭდილებანი“. ნიურნბერგის პროცესის მონაწილემ პროფ. ნ. კვესელავამ მოიყვანა მაგალითები პიტლერელთა აღვირახსნილობაზე, ბრალდებულთა დაკითხვისა და საერთოდ ნიურნბერგის პროცესის მსვლელობაზე, მან პასუხი გასცა მსმენელთა შეკითხვებს.

მეხუთე გვერდი დაეთმო მხატვრულ განყოფილებას. ნაჩვენები იქნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები — „კეთილი ადამიანები“.

დ. ნანობაშვილი



კონსერვაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო

მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა ჩაატარეს კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, საქართველოს სსრ პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ოპერატიული მუშაკებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა დოც. გ. ინწკირველმა. მან აღნიშნა, რომ კონფერენცია მიძღვნილია სისხლის სამართლის პროცესის ისეთი მნიშვნელოვანი სტადიისადმი, როგორცაა წინასწარი გამოძიება და მიზნად ისახავს მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკების აზრთა ურთიერთგაზიარების გზით გადაჭრას პრაქტიკაში წამოჭრილი მრავალი საკვანძო და სადავო საკითხები.

კონფერენციამ ინტერესთა მოსიძინა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ბ. ფურცხვანიძის მოხსენება „წინასწარი გამოძიების საკითხები ახალი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით“.

მოხსენების პირველ ნაწილში პროფ. ბ. ფურცხვანიძემ ანალიზი გაუკეთა იმ ცვლილებებს, რაც მიმდინარე წელს განიცადა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. მან ვრცლად გააშუქა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 6 აპრილის ბრძანებულების „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მინიჭების შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 29 მაისის ბრძანებულების „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და 28 ივნისის ბრძანებულების „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ მნიშვნელობა და შინაარსი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში ობიექტური ჭეშმარიტების საკითხს. გააკრიტიკა რა ამ საკითხში ა. ვიზინსკის და მის მიმდევართა—გოლუნსკის, ჩელცოვის, თადევოსიანის შეხედულება, რაც თეორიულად ასაბუთებდა პიროვნების კულტის პერიოდში თვითნებობისა და კანონიერების უხეშად დარღვევის ფაქტებს, მან დაასკვნა, რომ კანონის მოთხოვნა სისხლის სამართლის

თლის საქმის განმეორებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ გულისხმობს ყოველ კონკრეტულ საქმეზე ობიექტური, აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენას.

მომხსენებელი ასკვნის, რომ სისხლის სამართლის პროცესში ჭეშმარიტება გულისხმობს არა განვითარებაში მყოფ ბუნების ან საზოგადოებრივ მოვლენათა საერთო კანონზომიერებათა დადგენას, არამედ მხოლოდ რომელიმე ერთი კონკრეტული ფაქტის (დანაშაულებრივი შემთხვევის) დადგენას.

მოხსენება თემაზე—„ბრალდებულის დაცვის უფლების საკითხისათვის წინასწარი გამოძიების პროცესში“ წაიკითხა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დოც. ბ. ხარაზიშვილმა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის მინიჭებამ გაართულა ჭეშმარიტების საკითხის გადაწყვეტა. მისი აზრით, გამოძიების ოპერატიულად წარმართვის მიზნით, უმჯობესი იქნებოდა ყველა იმ საქმეზე, რომელიც აღიძვრება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებში, გამოძიების დამთავრების კომპენტენცია ჰქონდეთ ამავე ორგანოების გარდა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ზედამხედველი პროკურორის შეხედულებით კონკრეტული საქმეების გამოძიება მიზანშეწონილია პროკურატურის ორგანოებში.

შემდეგ მომხსენებელი ჩივრდება ბრალდებულის დაცვის უფლების მნიშვნელობაზე, როგორც მატერიალური ისე ფორმალური გაგებით და აღნიშნავს, რომ ბრალდებულის დაცვის უფლებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ უკანასკნელის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, არამედ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვისაც.

მომხსენებელი ეხება საპროცესო კანონმდებლობაში ბრალდებულის დაცვის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტისას დაშვებულ ზოგიერთ შეუსაბამობას, რომლებიც ერთგვარ გაუგებრობას იწვევენ ამ ნორმების პრაქტიკულად გამოყენების დროს. კერძოდ იგი იხილავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 42-ე, 44-ე და 45-ე მუხლების შინაარსს და მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებულის დაცვის უფლება, ერთის მხრივ აღიარებულია როგორც სუბიექტური უფლება, ხოლო მეორეს მხრივ მთელი რიგ საქმეებზე სავალდებულო დამცველის მონაწილეობა, ამასთან არასრულწლოვანის ან

ისეთი პირის მიერ დამცველზე უარის თქმა, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია პირადად განახორციელოს თავისი დაცვა, სასამართლოსათვის ან გამომძიებლისა და პროკურორისათვის სავალდებულო არ არის.

მომხსენებელი არასწორად მიიჩნევს აგრეთვე კოდექსის 279-ე მუხლის კონსტრუქციას, რომლის თანახმად პირი, რომელიც შუამდგომლობას აღძრავს, მოვალეა მიუთითოს, რომელი გარემოების დასადგენად არის საჭირო დამატებითი მოწმის და ექსპერტის დაბარება და სხვა დამამტკიცებელი საბუთების გამოთხოვა. იგი თვლის, რომ ასეთი კონსტრუქციის დროს ერთი მხრივ ზდება ბრალდებულის უფლებების ერთგვარი შეზღუდვა, ხოლო მეორეს მხრივ მტკიცების ტვირთი ნაწილობრივ გადადის ბრალდებულზე.

დოც. ბ. ხარაზიშვილმა აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის პროცესის შემდგომი დემოკ-

რატიზაციისა და საქმეზე კეშმარტების დადგენის თვალსაზრისით მიზანშეწონილია დამცველის დაშვება საერთო წესით სისხლის სამართლის დევნის აღძვრის სტადიიდან.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსი გ. სოგორაშვილი. მან ვრცლად ილაპარაკა ახლადშექმნილი სამმართველოს მნიშვნელობის შესახებ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების საქმეში, მსმენელებს გააცნო მისი სტრუქტურა და ამოცანები, შეჩერდა სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობისა და სამმართველოს პრაქტიკულ საქმიანობაში წამოჭრილ საკითხებზე.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა დოც. გ. ინწკირველმა.

უ. კოზიაშვილი



საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებამ და იურიდიული კომისიის კრიმინალისტურმა ლაბორატორიამ 12-13 ოქტომბერს ჩაატარეს სასწავლო-მეთოდური სემინარი საქართველოს სსრ პროკურატურის აპარატის, ქალაქებისა და რაიონების პროკურორებისა და თანაშემწეებისათვის.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. მეგრელიშიძემ.

მოსმენილი იქნა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის გ. სოგორაშვილის მოხსენება — „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს სტრუქტურისა და ამოცანების შესახებ“.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის გამოძიების უფლების მინიჭება, — მიუთითებს გ. სოგორაშვილი, — იმით არის გამოწვეული, რომ გაძლიერდეს ბრძოლა დანაშაულობის წინააღმდეგ და უფრო ეფექტური გახდეს გამოძიება და დამნაშავეთა გამოვლინება.

საგამომძიებლო სამმართველო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქმეზე გამოძიების ობიექტურად წარმართვას. საჭირო შემთხვევაში ახდენს საქმის საგამომძიებელზე ჩამოცილებას და მის გადაცემას სხვა საგამომძიებელზე აწარმოებს მის მიღებას სამმართველოს აპარატის წარმოებაში.

„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებში წინასწარ გამოძიებასა და მოკვლევაზე ზედამხედველობის მუშაობის ორგანიზაცია საგამომძიებლო განყოფილებებსა და ქალაქისა და რაიონპროკურატურებში“ გააშუქა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ი. კოჩაროვმა.

1963 წლის 6 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, — აღნიშნავს გ. ი. კოჩაროვი, — გამოსცა ბრძანებულება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების უფლების მინიჭების შესახებ“, რამაც კიდევ უფრო გაზარდა სა-

ზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ფუნქციები.

საგამომძიებლო სამმართველო თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს სსრ სწდს მოკვლევის ორგანოებთან კონტაქტში. სამმართველოს აპარატში წარმოებულ საქმეთა გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სსრ პროკურატურა. საგამომძიებლო სამმართველო და გამოძიების ორგანოები თავიანთ საქმიანობას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოებთან მჭიდრო კავშირში; ასეთი ურთიერთკავშირი ხელს უწყობს გამოძიების მაღალ დონეზე დაყენებას.

მოხსენებით — „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებში გამოძიებასა და მოკვლევაზე საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი გ. გვასალია.

წინასწარი გამოძიების სტადიაში ბრალდებულის დაცვის უფლების საკითხზე ილპარაკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტმა ბ. ხარაზიშიძემ.

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორ-კრიმინალისტი ო. ჟღენტი სემინარის მონაწილეებს ესაუბრა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაზე.

მოხსენებების ირველივ გაიმართა კამათი.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმ დიდ პასუხსავებ ამოცანებს და მოვალეობებს, რაც მათ აკისრიათ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, საბჭოთა ხალხის ინტერესების დასაცავად.

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ.

საქმიანმა, საგულისხმო საუბარმა, რომელიც სემინარზე გაიმართა საშუალება მისცა მის მონაწილეებს ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, გამოეცლინათ მუშაობის ნაკლოვანებები, რომლებიც აფერხებენ მათი მუშაობის აღმავლობას.

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1968 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

მოწინავე და სარედაქციო წერილები

იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობისათვის № 3, გვ. 3-6

იურიდიული მეცნიერება კომუნისტური მშენებლობის პირობებში № 6, გვ. 3-17.

თარიღები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, შინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მისალმება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსადმი, უმაღლესი სასამართლოს 40 წლისათვის დაკავშირებით № 5, გვ. 3.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მისალმება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსადმი, უმაღლესი სასამართლოს 40 წლისათვის დაკავშირებით № 5, გვ. 4.

გ. აფრიდონიძე — მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებელი № 3, გვ. 16-25.

ვ. მაისურაძე — 40 წელი საბჭოთა მართლმსაჯულების სადარაჯოზე № 5, გვ. 7-12.

ვ. ლაფერაშვილი — ვ. მაიაკოვსკი მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი პოეტი № 4, გვ. 78-81.

ა. ოხეჯაიშვილი — საბჭოთა ხალხის ერთგული გუშაგი № 6, გვ. 56-59.

დ. ჭიბლაძე — ლენინური პარტიის მებრძოლი რაზმი № 4, გვ. 15-23.

მ. ჭინჭელაშვილი — რსდმპ მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა № 4,

სტატიები

უ. ბახტაძე — ლ. ანდრონიკაშვილის საიურისკონსულტო მოღვაწეობის პერიოდიდან № 3, გვ. 40-49.

ფ. გაჩეჩილაძე — სამეთვალყურეო კომისიების საპატიო მოვალეობა № 6, გვ. 23-29.

ა. ვაჩიშვილი — სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი № 5, გვ. 16-24.

დ. ზემლიანსკი — ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა ახალი ამოცანების დონეზე № 3, გვ. 7-13.

ე. მაღრაძე — კონან დოილის შერლოკ ჰოლმსი და სისხლის სამართალი № 3, გვ. 60-65.

ო. მგელაძე — კრიმინალისტური ექსპერტიზა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეებზე № 5, გვ. 44-45.

მ. ნიკოლაიშვილი — მოქალაქეთა წლოვანების დადგენის ზოგიერთი საკითხის შესახებ № 4, გვ. 65-68.

ხ. როგავა — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ორგანიზატორი № 4, გვ. 30-38.

შ. რჩეულიშვილი — მარქსისა და ენგელსის ერთი დებულების გაგებისათვის № 4, გვ. 24-29.

ი. სარაჯიშვილი — საბჭოები და მათი როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში № 2, გვ. 5-12.

ვ. სიღამონიძე — პირველი იურიდიული ჟურნალი საქართველოში № 2, გვ. 69-72.

მ. ჯაფარიძე — შუამდგომლობის აღძვრა ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ № 1, გვ. 27-31.

სსრ კავშირის ახალი საპაერო კოდექსი (მიმოხილვა).

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა, კომენტარები

უ. კობაშვილი — სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის საკითხისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში № 1, გვ. 9-16.

ლ. თალაკვაძე — დაზარალებულის უფლებანი და მოვალეობანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით № 5, გვ. 25-32.

გ. მოხესიანი — დამცველის მტკიცების მოვალეობის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში № 5, გვ. 33-37.

გ. ლეჟავა — დანაშაულის განმეორება, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება № 6, გვ. 30-34.

ა. ულენტი — პასუხისმგებლობა ზოგიერთი სამეურნეო დანაშაულისათვის საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით № 1, გვ. 41-49.

თ. შავგულიძე — აუცილებელი მოგერიების ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში № 1, გვ. 17-26.

თ. შავგულიძე — აფექტში ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში № 3, გვ. 26-34.

ა. შუშანაშვილი — სისხლის სამართლის საქმეთა სამსჯავრო განხილვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა № 4, გვ. 49-56.

საგოქალაქო სამართალი, პროცესი, არბიტრაჟი, კომენტარები

გ. იოსავა, გ. დედარიანი — სასამართლო პრაქტიკა მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლების წარმოშობის, შეცვლის ან მოსპობის ფაქტის დადგენაზე № 2, გვ. 23-29.

ს. ჯაფარიძე — მემკვიდრეობის სამართლის ზოგიერთი საკითხი ახალი კანონმდებლობის მიხედვით № 1, გვ. 50-55.

ს. ჯაფარიძე — არაპრობითი შემოსავლით შექმნილი ქონების ჩამორთმევის წესის საკითხისათვის № 3, გვ. 35-39.

ნ. წერეთელი — მიწოდებათა ვალდებულების შეუსრულებლობისას სოციალისტური ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხისათვის № 6, გვ. 35-43.

ა. ხოჭოლავა — საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების საზღვრები № 4, გვ. 39-48.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

ვ. დოლიძე — სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობა № 2, გვ. 30-33.

ვ. მაისურაძე — სასამართლო ორგანოების ამოცანები სსკპ ცენტრალური კომიტეტის ნომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე № 1, გვ. 3-8.

ა. ულენტი — სწორად შევასამოთ დასჯითი და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი № 4, გვ. 61-64.

ა. ფალიაშვილი — საგამომძიებლო-სასამართლო და საექსპერტო ორგანოების მოღვაწეობა დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობა გარემოებათა აღსაკვეთად № 2, გვ. 13-22.

ო. ქავთარაძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს ფუნქციებისა და ამოცანების შესახებ № 6, გვ. 18-22.

დ. ქორიძე — წინასწარი გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებისათვის № 2, გვ. 34-38.


ადვოკატურა

ა. პაიჭაძე — დაცვითი პოზიციის საკითხისათვის სასამართლო პროცესში № 5, გვ. 38-73.

ო. ჩაიკოვსკაია — ადვოკატები № 2, გვ. 39-41.

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

ბ. ბარამია — სისხლის აღების საქმეებზე შემარიგებლური კომისიების შექმნისათვის № 4, გვ. 57-60.



ვ. ლორია — ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის საკითხისათვის № 1, გვ. 32-40.

ს. ჯორბენაძე — ავტორები და მემკვიდრეები (საავტორო მემკვიდრეობის კანონმდებლობის სრულყოფისათვის) № 6, გვ. 44-55.

გამოჩენილი ქართველი იურისტები

ვ. მაყაშვილი — ლ. ანდრონიკაშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა № 2, გვ. 59-68.

ი. სურგულაძე — პროფ. ი. სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა № 3, გვ. 50-59.

თ. წერეთელი — ლ. ანდრონიკაშვილი როგორც პოლიტიკური დამცველი № 2, გვ. 50-58.

ს. ჯორბენაძე — ი. გ. ქილაშვილი — დიდი მოაზროვნე და სახელოვანი იურისტი № 1, გვ. 63-71.

დანაშაულის კვალდაკვალ

ო. მგელაძე — მკვლელობა ხმელნიცკის მოედანზე № 2, გვ. 47-49.

გ. ცხვარაძე — თაღლითი იუველირი № 5, გვ. 47-48.

კორტრეტები, ნარკვევები, ეპიგრამები

ა. აბესაძე — მამა № 1, გვ. 79-80.

ა. აბესაძე — გაწყვეტილი ჯაჭვი № 5, გვ. 49-53.

ა. აბრამოვი — შავების საიდუმლო № 6, გვ. 59-86.

ა. გელოვანი — ეპიგრამები № 3, გვ. 94-95.

ვ. გოგუაძე — პროკურატურის მდივანი თამარ მაისურაძე № 5, გვ. 46.

კონან დოილი — ცისფერი ლალი № 3, გვ. 66-71.

ლ. ისაკაძე — უფროსი ნოტარიუსი — თ. მოღვაწეობა № 2, გვ. 45-46.

ლ. ქანტარია, მ. ვაყელიშვილი — გულისხმიერი და გულმართალი ადამიანი № 2, გვ. 42-45.

უცხოეთში

ლ. ბეზიმენსკი — გლობკეს სასამართლო № 5, გვ. 72-80.

კ. ფაღავა — ქარიშხალზე მიწობილი გული № 1, გვ. 72-80.

პრინტიპა და ბიბლიოგრაფია

კ. ლიუტოვი — ვ. გ. მაყაშვილი, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის № 5, გვ. 81-88.

ი. სურგულაძე — მნიშვნელოვანი ნაშრომი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში № 1, გვ. 81-86.

ოფიციალური მასალა

ინფორმაცია № 1, გვ. 87-96, № 2 გვ. 73-83, № 3 გვ. 82-91, № 4 გვ. 82-96, № 5 გვ. 89-96, № 6 გვ. 87-93.

სასამართლო პრაქტიკა № 2 გვ. 90-94.

არბიტრაჟის პრაქტიკა № 2 გვ. 84-89.

ნოტარიატის პრაქტიკა № 2 გვ. 95.

ნეკროლოგები: ი. გ. პავლიაშვილი № 2 გვ. 96, გ. ი. ფურცელაძე № 2 გვ. 96, ა. მ. ქიქინაძე № 3 გვ. 96.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 14, № 3 გვ. 72.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 15, № 3 გვ. 73-76.


სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 16, № 3 გვ. 76-79.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 17, № 3 გვ. 79-81.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, № 3 დამატება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 1, № 4 გვ. 69-72.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 2, № 4 გვ. 72-77.



სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 3, № 5 გვ. 54-57.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 4, №5 გვ. 57-60.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 5, № 5 გვ. 60-62.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 6, № 5 გვ. 62-68.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 7, №5 გვ. 69-74.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 8, № 6 გვ. 60-62.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 9, № 6 გვ. 62-65.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 10, №6 გვ. 65-66.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 11, №6 გვ. 67.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 12, № 6 გვ. 67-68.



0 3 / 8 9

ფან 50 333.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР